



**იურიდიული დახმარების საბჭო**

N 120

24 ნოემბერი, 2023 წელი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ**

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N107-ე გადაწყვეტილება შესაბამის N1 დანართთან ერთად;
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე - სოფო ჩაჩავა

საბჭოს წევრები:

თორნიკე ჭეიშვილი

რამაზ ჩინჩალაძე

ირაკლი გვარამაძე

თორნიკე ბაქრაძე

თეა ჭეიშვილი

ელენე ლუღუშაური

ნატო ირემაძე

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული  
კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების

წესი და კრიტერიუმები



თბილისი  
2023 წელი

## კარი I.

### თავი I. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ვალდებულება

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ამ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, კონვენცია ითვალისწინებს უფლებების დაცვას არა თეორიულად და ილუზორულად, არამედ პრაქტიკულად და ეფექტურად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Sakhnovskiy v. Russia), ადვოკატის მხოლოდ დანიშვნა მხარისათვის არ უზრუნველყოფს ეფექტურ დახმარებას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Kamasinski v. Austria, R.D. v. Poland) და იურიდიული დახმარების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს გარანტიებს, რათა გამოირიცხოს თვითნებობა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Gnahoré v. France).

სისხლის სამართლის პროცესში ექვმიტანილი ან ბრალდებული პირებისთვის იურიდიული დახმარების უფლების შესახებ ევრო კომისიის 2013 წლის 27 ნოემბრის რეკომენდაციის მე-3 ნაწილის თანახმად, უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში მიწოდებული სამართლებრივი დახმარება, უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის სამართლიანობა. იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველსაყოფად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სისტემა.

ევრო პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 26 ოქტომბრის #2016/1919 დირექტივის მე-7 მუხლის (იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხი და ტრენინგები) პირველი პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ: ... ა) არსებობდეს ეფექტური იურიდიული დახმარების სისტემა, რომელიც არის ადეკვატური ხარისხის; და ბ) იურიდიული დახმარების მომსახურეობა, იყოს სათანადო ხარისხის, რათა გარანტირებულ იქნეს პროცესის სამართლიანობა, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის სათანადო დაცვის ფარგლებში.

გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესების (იურიდიული დახმარების სფეროში სისხლის სამართალში) მე-13 პრინციპის (იურიდიული დახმარების პროვაიდერების კომპეტენცია და ანგარიშვალდებულება) თანახმად, 37. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რათა



უზრუნველყოს, რომ ყველა იურიდიული დახმარების პროვაიდერს ჰქონდეს განათლება, ტრენინგები, უნარები და გამოცდილება, რომელიც შეესაბამება მათი საქმიანობის ბუნებას.

## **თავი II. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების პრინციპები**

სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები ეფუძნება ადვოკატის დამოუკიდებლობის, პროფესიული საიდუმლოების დაცვისა და პირადი ცხოვრების (პერსონალური მონაცემების) დაცვის პრინციპებს.

## **თავი III. ადვოკატის როლი და დანიშნულება**

ადვოკატის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალიან დიდი და მრავლისმომცველია. ადვოკატის ვალდებულება მხოლოდ მარწმუნებლის წარმომადგენლობით არ შემოიფარგლება და იგი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. ადვოკატის უპირველესი და უმტავრესი ვალდებულებაა, რომ ეფექტურად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის უფლებები. ამასთან, ადვოკატს აქვს დამატებითი ვალდებულებებიც მართლმსაჯულების სისტემის, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და თავად საზოგადოების მიმართ.

ევროკავშირის იურისტთა ქცევის კოდექსის (Code of Conduct for European Lawyers), პრეამბულის თანახმად, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადვოკატს აკისრია განსაკუთრებული როლი. ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს ... ადვოკატს აქვს ვალდებულება მარწმუნებლის, სასამართლოს, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების და საზოგადოების წინაშე, რომელთათვისაც თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა არის ფუნდამენტური რათა დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები სახელმწიფოს ძალაუფლებისა და საზოგადოების სხვა ინტერესებისაგან.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის კომენტარების მე-6 პუნქტის თანახმად, ადვოკატის როლი, რომელიც ასრულებს ფიზიკურ პირის, კორპორაციის თუ სახელმწიფოს დავალებას, მდგომარეობს შემდეგში: იყოს კლიენტის სანდო მრჩეველი და წარმომადგენელი, პროფესიონალი, რომელსაც პატივს სცემს მესამე მხარე და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების შეუცვლელი მონაწილე. ყველა ზემოაღნიშნული ელემენტის გაერთიანებით, ადვოკატი, რომელიც ერთგულად ემსახურება საკუთარი კლიენტის ინტერესებს და იცავს კლიენტის უფლებებს, ასევე ასრულებს ადვოკატის ფუნქციებს საზოგადოებაში, რაც მდგომარეობს კონფლიქტების თავიდან აცილებაში, სამოქალაქო, საჯარო ან სისხლის სამართლის აღიარებული პრინციპების შესაბამისად და ასევე, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით კონფლიქტების მოგვარებაში, კანონის შემდგომ განვითარებაში, თავისუფლების, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვაში.



ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს CCBE-ს ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის პრინციპების შესაბამიად, ადვოკატის სპეციალური სტატუსი ანიჭებს მათ ცენტრალურ ადგილს მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავალს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის. სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების გარანტორები, რომელთა დანიშნულება მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების მხრიდან ნდობით. ამ სფეროში ადვოკატის მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, ლეგიტიმურია მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატმა წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებაში და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა.

მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნის, თანახმად, კანონის უზენაესობის და ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებაა. როგორც მოსამართლეები, ასევე ადვოკატები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზემოაღნიშნული მიზნების ეფექტურად შესრულების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველესად, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტის უფლებების ეფექტურად დაცვა. ადვოკატი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და უნდა მიმართოს ყველა კანონიერ საშუალებას კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზაციისათვის.

ამასთან, ადვოკატს განსაკუთრებული როლი აქვს მართლმსაჯულების განხორციელებაშიც და ეს როლი მან უნდა შეასრულოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის რწმენითა და პატივისცემით. ადვოკატი უნდა იღვწოდეს, რომ თავისი კვალი დატოვოს კვალიფიციური მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაში.

მართლმსაჯულების განხორციელება მოსამართლის უფლებამოსილებაა, თუმცა მართლმსაჯულების ხარისხი მხოლოდ მოსამართლის საქმიანობით არ განისაზღვრება.

მოსამართლეები და ადვოკატები სხვადასხვა როლს თამაშობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ ორივე პროფესიის წვლილი აუცილებელია, რათა კანონის მოთხოვნების დაცვით სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება იყოს მიღებული თითოეულ საქმესთან დაკავშირებით.

მხარეთა სათანადო წარმომადგენლობის გარეშე მართლმსაჯულების დანიშნულება ვერ მიიღწევა. მოსამართლე შებოჭილია იმ მოთხოვნითა და მტკიცებულებებით, რომლებსაც მხარეები წარმოადგენენ და სწორედ მათ საფუძველზე წარმართავს საქმეს და განსაზღვრავს დავის შედეგს. შესაბამისად, სათანადო წარმომადგენლობის გარეშე კანონიერება და სამართლიანობა ვერ აღსრულდება.



სასამართლოში საქმის წარმოებისას ადვოკატი უნდა ცდილობდეს გარკვეულწილად "გააუმჯობესოს კანონი". ადვოკატი მის ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდება იმ პრობლემებს, რომლებსაც კანონის ჩანაწერი ან პრაქტიკაში მისი არასწორი გამოყენება ქმნის. ადვოკატის ვალდებულებაა ეს პრობლემა მიიტანოს სასამართლოს თვალთახედვამდე და შეეცადოს კანონი მოქმედებაში - პრაქტიკული გადასახედიდან დაანახოს სასამართლოს და დაეხმაროს მას კანონის სწორად განმარტებაში და ზოგ შემთხვევაში თავად "კანონის გაკეთილშობილებასა და გაახალგაზრდაებაში".

ამ მხრივ, ადვოკატი, არის სოციალური ცვლილების კატალიზატორი. ადვოკატის მოსაზრებები და კანონის ახლებური ინტერპრეტაცია არც თუ იშვიათად აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ადვოკატს აქვს უნარი მხარეთა შორის არსებული დავა წარმოაჩინოს განსხვავებული კუთხით, ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი პროცესების ინიცირებას და თავისი ხედვა აქციოს პრეცედენტად და მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საფუძვლად.

ადვოკატის როლი მართლმსაჯულების წინაშე წარმოჩინდება ასევე ადვოკატის პასუხისმგებლობაში არ დაუკარგოს კლიენტს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობა.

პირი, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ კონსულტაციასა და დახმარებას, გარკვეულწილად თავს გრძნობს დაუცველ მდგომარეობაში და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მას ადვოკატის მიმართ განსაკუთრებული ნდობა და დამოკიდებულება უყალიბდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მარწმუნებლის მიერ განსაკუთრებული სენსიტიურობით აღიქმება. ადვოკატმა ეს ნდობა არ უნდა გამოიყენოს არაკეთილსინდისიერად.

ადვოკატს განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირებაში და საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებაში. მოქალაქეები ადვოკატს მიმართავენ არა მხოლოდ სასამართლოში წარმომადგენლობისათვის, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ადვოკატი, რა თქმა უნდა მოქმედებს მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მან არ უნდა წაახალისოს არაეთიკური, დისკრიმინაციული, უსამართლო ქმედებები, პირიქით იგი უნდა იყოს მოწოდებული რომ თითოეული იურიდიული რჩევა ემსახურებოდეს საზოგადოების წევრთა შორის კანონიერი, სამართლიანი, თანასწორი და კეთილსინდისიერი ურთიერთობების განვითარებას.

ადვოკატს აქვს ვალდებულება წაახალისოს დავების გადაწყვეტის მშვიდობიანი საშუალებები. მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნის, თანახმად, მოსამართლეებმა და ადვოკატებმა უნდა ითანამშრომლონ საქმის მორიგების გზით გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.



ადვოკატის ვალდებულება იურიდიული პროფესიის მიმართ გამოიხატება მის მისწარფებასა და ქმედებებში გააუმჯობესოს თავად იურიდიული პროფესიის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხი. ადვოკატმა ასევე უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა სამართლებრივი განათლების გაძლიერების საქმეში და იგი უნდა დაეხმაროს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს რომ განუხრელად მისდიონ პროფესიულ მიზნებს.

ადვოკატთა როლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპების მე-12 პრინციპი ადგენს, რომ ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების პასუხისმგებელი წარმომადგენელი, ვალდებულია ნებისმიერ დროს დაიცვას საკუთარი პროფესიისადმი პატივისცემა და ღირსება.

### **თავი III. ადვოკატის დამოუკიდებლობა**

დამოუკიდებლობის პრინციპი შექმნილია იმისთვის, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე კლიენტმა მიიღოს საუკეთესო რჩევა იმ ვარიანტებთან დაკავშირებით, რომელიც მას სამართლებრივად გააჩნია<sup>1</sup> და ეს რჩევა არ იყოს ნაკარნახევი ადვოკატზე მესამე პირის გავლენით ან ზეწოლით ანუ იმის განსაზღვრისას თუ რა სახის მოთხოვნა დააყენოს კლიენტმა სასამართლოში, აღიაროს თუ არა სარჩელი ან დანაშაული, რა სახის მტკიცებულებები იქნეს წარადგენილი, დაეთანხმოს თუ არა კლიენტი მორიგების/საპროცესო შეთანხმების პირობებს, გადასცეს თუ არა საქმე ნაფიც მსაჯულებს და ა.შ., კლიენტი არის უზრუნველყოფილი ადვოკატის ობიექტური რჩევით.

შესაბამისად, ადვოკატის დამოუკიდებლობა მოიცავს და გულისმობს კლიენტთან შეთანხმებით საქმის ბედის გადაწყვეტას/საქმის წარმართვის სტრატეგიის შერჩევას დამოუკიდებლად, ყოველგვარი არასათანადო ჩარევისა და ზეწოლის გარეშე (დაცვის წარმართვა არის მხარისა და მისი წარმომადგენლის საქმე *Kamasinski v. Austria*).

საქმის წარმართვის სტრატეგიის განსაზღვრის შემდგომ თავის მხრივ, აუცილებელია ასევე ამ სტრატეგიის აღსრულებისათვის საჭირო აქტივობების/მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება. ეს აქტივობები კი სტრატეგიის შინაარსიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია საპროცესო თუ მატერიალური კანონმდებლობით ან/და შესაძლებელია გარკვეული ქმედებები დამატებით შეთანხმებულ იქნეს კლიენტთან.

ხაზგასასმელია და ზემოაღნიშნული მსჯელობიდანაც დასტურდება, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა არ გულისმობს ადვოკატის თვითნებურ, ერთპიროვნულ, „თავისუფალ“ გადაწყვეტილებას განახორციელოს თუ არა კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის აღსრულებისათვის საჭირო საპროცესო თუ მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და კლიენტთან შეთანხმებული სხვა მოქმედებები (მაგ. მტკიცებულებების მოპოვება, სასამართლოში დროულად გამოცხადება, კლიენტთან სათანადო კომუნიკაცია, დოკუმენტების შედგენა და სათანადო ორგანოებში თუ ვადებში წარდგენა და ა.შ.).

<sup>1</sup>

ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპი ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედებების განხორციელების „დამოუკიდებლად“ ან/და „თვითნებურად“ გადაწყვეტას არ გულისმობს.

საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, იურიდიული დახმარების სამსახური, ვერ ჩაერევა ადვოკატის საქმიანობაში იმ ფორმით, რომ ის ვერ „დაავალდებულებს“ ადვოკატს საქმე წარმართოს კონკრეტული მიმართულებით (მაგ. ურჩიოს კლიენტს, რომ აღიაროს დანაშაული და ა.შ.), თუმცა სამსახურს აქვს უფლება გააკონტროლოს ადვოკატის და კლიენტის მიერ უკვე შერჩეული სტრატეგიის აღსრულებისათვის საპროცესო თუ მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და კლიენტთან შეთანხმებული ქმედებების სათანადოდ, დროულად და ხარისხიანად განხორციელება. კერძოდ, ადვოკატის სასამართლოში დროული გამოცხადება, კლიენტთან დროული და სათანადო კომუნიკაცია, საპროცესო დოკუმენტების დროულად გასაჩივრება, სარჩელის კანონმდებლობით დადგენილი რეკვიზიტების შესაბამისად და ხარისხიანად ჩამოყალიბება, ადვოკატის კლიენტთან სათანადო კომუნიკაციის უზრუნველყოფა და ა.შ.

შესაბამისად, სამსახურს აქვს უფლება და ვალდებულება განახორციელოს ზედამხედველობა ადვოკატის მიერ მითითებული აქტივობების განხორციელებასთან მიმართებით. ეს არ არღვევს ადვოკატის დამოუკიდებლობას და უფრო მეტიც, ის წარმოადგენს სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული ადვოკატის „თვითნებობის“ გამორიცხვას.



## კარი II.

### **„სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები“ - „ღირსების კოდექსი“**

#### **თავი I. მიზანი**

1. სამართლებრივი მომსახურების სტანდარტების (შემდგომ „სტანდარტები“) მიზანია იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა (შემდგომ „კლიენტი“) უფლებების ეფექტურად და კვალიფიციურად დაცვისა და რეალიზაციისათვის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომ „სამსახური“) საზოგადოებრივი ადვოკატისა (იურიდიული დახმარების ბიუროს, იურიდიული დახმარების მიმწოდებლის ან რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე ახორციელებს იურიდიულ დახმარებას, შემდგომ „ადვოკატი“) და კონსულტანტისათვის იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების (შემდგომ „სამართლებრივი მომსახურება“) განხორციელების სახელმძღვანელო წესებისა და სტანდარტების დადგენა;
2. წინამდებარე სტანდარტები უზრუნველყოფს კლიენტის უფლების დაცვისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი, სოციალურ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის არსებობას;

#### **თავი II. მოქმედების სფერო**

1. წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი წესები და პრინციპები გამოიყენება ადვოკატის/კონსულტანტისათვის საქმის (ასევე კონსულტაციის) გადაცემიდან/დაწყებიდან საქმის დასრულებამდე ნებისმიერი პროცედურის, პროცესისა თუ მოქმედების განხორციელებისას საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლოს ყველა ინსტანციაში, გამომიებაში, ადმინისტრაციულ თუ სხვა ორგანოებში სადაც კონსულტანტი/ადვოკატი ახორციელებს კლიენტის დაცვასა თუ წარმომადგენლობას;
2. წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი წესები და პრინციპები გამოიყენება შესაბამისად სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული (სასარჩელო/არასასარჩელო) საქმეების განხილვისას (ასევე საჭიროების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმართვისას) ან/და კონსულტაციის გაწევისას, მითითებული დებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით და კონკრეტული დარგის მიუხედავად;
3. სასამართლოში წარმომადგენლობის წესები და პრინციპები ვრცელდება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებში კლიენტის წარმომადგენლობაზეც ამ ინსტანციებში/ორგანოში დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით;
4. წინამდებარე სტანდარტებში მითითების მიუხედავად, ადვოკატისათვის დადგენილი წესები ვრცელდება კონსულტანტების მიმართ და კონსულტაციის სტანდარტები ვრცელდება



ადვოკატების მიმართ. ამასთან, ექსკლუზიურად სასამართლოში/ადმინისტრაციულ ან სხვა ორგანოებში წარმომადგენლობასთან დაკავშირებული წესები ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამსახურის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად კონსულტანტი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას;

### **თავი III. სტანდარტების განმარტება**

1. წინამდებარე სტანდარტების ნებისმიერი დებულება უნდა განიმარტოს კლიენტის სასარგებლოდ და მისი უფლებებისა და ინტერესების საუკეთესოდ დაცვის მიზნებიდან გამომდინარე;
2. წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი წესები და პრინციპები შეესაბამება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დებულებებს და განიმარტება და გამოიყენება მათ შესაბამისად;
3. წინამდებარე სტანდარტები არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს ჩარევას ადვოკატის დამოუკიდებლობას ან კლიენტისა და ადვოკატის/კონსულტანტის კომუნიკაციის კონფიდენციალობაში;
4. წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი დებულებების შესრულებისას დაუშვებელია კლიენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

### **თავი IV. სტანდარტები**

1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დროულად, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად განახორციელოს სამართლებრივი მომსახურეობა საქართველოს კონსტიტუციის, საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის, საერთაშორისო აქტებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის განუხრელად დაცვით;
2. წინამდებარე თავის პირველი ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისათვის ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიცვას და განახორციელოს შემდეგი 10 სტანდარტით დადგენილი წესები:

**სტანდარტი 1.** დროული წარმომადგენლობა;

**სტანდარტი 2.** კლიენტზე ორიენტირებული ადვოკატირება;

**სტანდარტი 3.** ადვოკატირება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისათვის;

**სტანდარტი 4.** საქმის დამოუკიდებელი გამოძიება;

**სტანდარტი 5.** საქმეზე სათანადო მომზადება;

**სტანდარტი 6.** საქმეში სათანადო ექსპერტების/სპეციალისტების ჩართვა;



**სტანდარტი 7.** წინასასამართლო (მოსამზადებელ) სხდომაზე წარმომადგენლობა;

**სტანდარტი 8.** სასამართლო პროცესზე კლიენტის დაცვა;

**სტანდარტი 9.** სასჯელის შემსუბუქება;

**სტანდარტი 10.** გასაჩივრება

3. სამსახური უფლებამოსილია შეიმუშაოს კონკრეტულ საქმეებზე/დავის საგნებზე საქმის წარმართვის სარეკომენდაციო ხასიათის დეტალური გაიდლაინები კანონმდებლობის, სასამართლო პრატიკისა და საერთაშორისო მიდგომებისა და აქტების შესაბამისად რელევანტურობის ან/და საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ამ გაიდლაინებით;

### **თავი V. სტანდარტი 1. დროული წარმომადგენლობა**

#### **1. კლიენტისა და კონსულტანტის/ადვოკატის ურთიერთობის წარმოშობა**

კლიენტისა და ადვოკატის/კონსულტანტის ურთიერთობა იწყება ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის კლიენტის ინფორმაციის მიწოდების დაწყებისთანავე (საქმის/კონსულტაციის შემდგომ გაგრძელების მიუხედავად) ან/და ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის საქმის განაწილებისთანავე, საქმის მიღებაზე უარის თქმის მიუხედავად და ამ მომენტიდან საქმის დასრულებამდე/მიღებაზე უარის თქმამდე, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე სტანდარტებითა და ადვოკატთა ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებები.

#### **2. კლიენტთან პირველი შეხვედრა და შეხვედრის დრო**

2.1. საქმის გადაცემის შემდგომ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმეზე ნებისმიერი აქტივობის განხორციელებამდე: ჩართვის ეტაპისა და სტადიის შესაბამისად, საპროცესო/საგამომიებო ღონისძიებების განხორციელებამდე, სასამართლო სხდომაში მონაწილეობამდე, ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებამდე/კონსულტაციის გაწევამდე, სარჩელის/შესაგებლის და ა.შ მომზადებამდე ან კლიენტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელებამდე, შეხვდეს კლიენტს;

2.2. საქმის გადაცემის შემდგომ კლიენტთან შეხვედრა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ ან 24 საათის განმავლობაში. მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც კლიენტთან დაუყოვნებლივ ან 24 საათში შეხვედრა ობიექტურად შეუძლებელია და ეს არ ხელყოფს კლიენტის ინტერესებს ადვოკატი/კონსულტანტი მას უნდა შეხვდეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, პირველივე შესაძლებლობისთანავე ამასთან, გონივრულ ვადაში;

2.3. კლიენტთან პირველი შეხვედრა უნდა განხორციელდეს პირადად გარდა ამ თავის 3.3. ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისისა.



2.4. კლიენტთან ყოველი შემდგომი კომუნიკაციის ფორმა დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე და კლიენტისა და ადვოკატს შორის შეთანხმებაზე.

2.5. ადვოკატი ვალდებულია საქმის დასრულებამდე ჰქონდეს კლიენტთან კომუნიკაცია სტანდარტებით დადგენილი წესით;

2.6. თუ ადვოკატის მიერ მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხორციელდება კლიენტთან შეხვედრა საპროცესო/საგამომძიებო ან სხვა მოქმედებების განხორციელებამდე/სასამართლო სხდომის გამართვამდე, ადვოკატი ვალდებულია დააყენოს შუამდგომლობა ამ ღონისძიებების/პროცესის გადადების შესახებ ან თუ გადადება შეუძლებელია მოითხოვოს დროს კლიენტთან სათანადოდ კომუნიკაციისათვის ან/და საქმის მასალების სათანადოდ გაცნობისათვის;

### 3. კლიენტთან კომუნიკაციის საშუალებები საქმის მიმდინარეობისას

3.1. თუ კლიენტის პიროვნება და საქმის გარემოებები იძლევა საშუალებას, ადვოკატი/კონსულტანტი უფლებამოსილია მასთან კომუნიკაცია, გარდა პირველი შეხვედრისა დაამყაროს სატელეფონო ან სხვა ელექტრონული საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს/კონსულტანტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოახდინოს კლიენტის იდენტიფიცირება და დარწმუნდეს, რომ კლიენტი იმყოფება ისეთ გარემოში სადაც მასზე არ ხორციელდება ძალადობა ან მის ნებაზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება და შესაძლებელია კომუნიკაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;

3.2. თუ კლიენტის პიროვნული მახასიათებლები ან საქმის გარემოებები, მათ შორის შესათანხმებელი ინფორმაციის სირთულე, მოცულობა და ა.შ. ვერ შექმნის კლიენტთან სათანადო კომუნიკაციის საშუალებას მაშინ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია იქონიოს კლიენტთან საქმის დასრულებამდე პირისპირ კომუნიკაცია;

3.3. კლიენტთან პირველი შეხვედრა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად მხოლოდ დაუძლეველი ძალის ან გლობალური პანდემიის პირობებში და მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ელექტრონულად კომუნიკაციისას ადვოკატს/კონსულტანტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ვიზუალურად დაინახოს კლიენტი, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება და დარწმუნდეს, რომ კლიენტი იმყოფება ისეთ გარემოში სადაც მასზე არ ხორციელდება ძალადობა ან მის ნებაზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება და შესაძლებელია კომუნიკაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია ამ გარემოებების აღმოფხვრისთანავე შეხვედეს კლიენტს პირადად, გარდა იმ შემთხვევისა თუ საქმის წარმოება/კონსულტაცია დასრულებულია.

### 4. კლიენტთან კომუნიკაციის პერიოდულობა



4.1. „აქტიურ საქმესთან“ (საქმე, რომელთან დაკავშირებით სამართლებრივი პროცედურები არის მიმდინარე და ხორციელდება ხშირი პერიოდულობით) მიმართებით ადვოკატი ვალდებულია პირველი კომუნიკაციის შემდეგ შეხვდეს კლიენტს გონივრული პერიოდულობით და მიაწოდოს მან ინფორმაცია საქმის განვითარების შესახებ. კლიენტთან შეხვედრა/კომუნიკაცია აუცილებელია ასევე:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეთანხმებული სტრატეგიის ან/და ადვოკატის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების გადახედვის საჭიროება ან/და
- ბ) ადვოკატმა ვერ განახორციელა კლიენტთან შეთანხმებული მოქმედებები ან/და
- დ) კლიენტი დააყენებს ადვოკატთან კომუნიკაციის „გონივრულ“ მოთხოვნას;

4.2. „პასიურ საქმესთან“ (საქმე, რომლის წარმოება შეჩერებულია ან რომელთან დაკავშირებით სამართლებრივი პროცედურების განხორციელება გადადებულია ან იგეგმება ხანგძლივი პერიოდის შემდგომ. გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს თავად ადვოკატის მიერ ცალკეული ქმედებების/პროცედურების განხორციელების საჭიროება) მიმართებით ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს მომდევნო კომუნიკაციის სავარაუდო დრო და პირობები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირების საშუალება.

4.3. „პასიურ საქმესთან“ მიმართებით ადვოკატი არ არის ვალდებული კლიენტთან იქონიოს ხშირი ან პერიოდული კომუნიკაცია გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხანგრძლივი პერიოდით კომუნიკაციის არქონამ შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს ადვოკატისა და კლიენტს შორის ნდობა.

4.4. ადვოკატი ვალდებულია „პასიურ საქმეზე“ სამართლებრივი პროცედურების დაგეგმვისთანავე ან აქტივობების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში ან მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებების ან ადვოკატთან კომუნიკაციის „გონივრული“ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან ამ სტანდარტებით დადგენილი წესით გონივრულ ვადაში შეხვდეს კლიენტს;

4.5. თუ კლიენტი დააყენებს „გონივრულ“ მოთხოვნას ადვოკატთან კომუნიკაციაზე (აქტიური თუ პასიური საქმის შემთხვევაში), მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ ან ამ სტანდარტებით დადგენილი წესით გონივრულ ვადაში. დაუყოვნებლის შეხვედრის შეუძლებლობის შემთხვევაში, კლიენტს უნდა ეცნობოს რომ ადვოკატისათვის მისი მოთხოვნა ცნობილია და მოთხოვნაზე ადვოკატი რეაგირებას მოახდენს პირველივე შესაძლებლობისთანავე.

4.6. კლიენტის მოთხოვნა ადვოკატთან კომუნიკაციაზე გონივრულია თუ კლიენტი კომუნიკაციას ითხოვს:

- ა) მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკების;



- ბ) სამართალდამცავი, პროცესის მწარმოებელი ან სხვა ორგანოს მხრიდან მის მიმართ წამების, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის ან სხვა სახის ძალადობის განხორციელების;
- გ) ახალი მტკიცებულების აღმოჩენის;
- დ) საქმესთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხის გამო ან
- ე) ადვოკატთან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კომუნიკაციის არარსებობის გამო (ხანგრძლივი პერიოდი უნდა განიმარტოს ყოველი საქმის სპეციფიკისა და დროის ხანგრძლივობის მიხედვით ინდივიდუალურად) საფრთხე ექმნება ადვოკატისა და კლიენტს შორის ნდობას;

4.7. სამართალდამცავი, პროცესის მწარმოებელი ან სხვა ორგანოს მხრიდან კლიენტის მიმართ წამების, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის ან სხვა სახის ძალადობის განხორციელების მოტივით ადვოკატთან კომუნიკაციის მოთხოვნის შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეხვდეს კლიენტს;

4.8. თუ კლიენტის მოთხოვნა ადვოკატთან კომუნიკაციაზე არ შეესაბამება ამ ქვეპუნქტის მოთხოვნას, მაშინ ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტთან მოახდინოს წერილობითი კომუნიკაცია ან პირადად შეხვდეს მას შესაძლებლობიდან გამომდინარე;

## **თავი VI სტანდარტი 2. კლიენტზე ორიენტირებული ადვოკატირება**

### **1. კლიენტთან კომუნიკაციის ზოგადი წესი**

- 1.1. კლიენტთან პირველი კომუნიკაციისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მიესალმოს მოქალაქეს, წარუდგინოს თავი (სახელი, გვარი), გააცნოს მომსახურების პირობები და წესები, გადასცეს „მომსახურების პირობების“ დოკუმენტი (დანართი N1.1) ასევე მიაწოდოს მას ამ სტანდარტებით, კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაცია;
- 1.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს მიმართოს თავაზიანად, ოფიციალურად და მთელი მომსახურების მანძილზე შენარჩუნოს თავაზიანი და საქმიანი დამოკიდებულება ამ უკანასკნელის უკმაყოფილების შემთხვევაშიც;
- 1.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მთელი მომსახურების მანძილზე კლიენტს ესაუბროს მარტივად, მისთვის გასაგები ენითა და ფორმით. თუ საკითხის გადასაცემად ადვოკატს/კონსულტანტს ესაჭიროება სამართლებრივი ტერმინების გამოყენება, მაშინ ის უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია გასაგებია კლიენტისათვის და განუმარტოს კლიენტს ამ ტერმინების მნიშვნელობა;
- 1.4. თუ კლიენტს აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ინფორმაციის აღქმას, ადვოკატმა/კონსულტანტმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ



ფორმით და მოცულობით, რომლის აღქმის შესაძლებლობაც პირს აქვს და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამისი ექსპერტის/სპეციალისტის ჩართულობა;

1.5. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მთელი მომსახურების მანძილზე აქტიურად მოუსმინოს კლიენტს, შექმნას მასთან ნდობის ატმოსფერო (შესაბამისი პროფესიული დისტანციის დაცვით), რათა მიიღოს მისგან საქმესთან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ასევე ორიენტირებული იყოს კვალიფიციური მომსახურების გაწევაზე.

1.6. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გადამოწმების საჭიროების შემთხვევაში აუხსნას კლიენტს დაყოვნების მიზეზი და სავარაუდო დრო;

1.7. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გამოიჩინოს ემპათია კლიენტის მიმართ. ადვოკატთან/კონსულტანტთან კომუნიკაციის შემდგომ კლიენტს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა რომ ადვოკატმა/კონსულტანტმა მას მოუსმინა და მისი გაიგო.

1.8. კლიენტთან გასაუბრებისას ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა მიაქციოს ყურადღება არა მხოლოდ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის წარმართვისათვის, არამედ ასევე კლიენტის ემოციურ მდგომარეობასაც ვინაიდან, ემოციური კომპონენტი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტების სწორად აღქმასთან და საქმის შემდგომ წარმართვასთან;

1.9. თუ ადვოკატი/კონსულტანტი ჩათვლის, რომ კლიენტის ემოციური მდგომარეობა საჭიროებს სპეციალისტის ჩართულობას, მაშინ მან კლიენტი უნდა გადაამისამართოს დამატებით შესაბამის სპეციალისტთან ან საქმის გარემოებების და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, მოსთხოვოს სამსახურის ფსიქოლოგის ან სხვა სპეციალისტის ჩართულობა;

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტთან (შშმ პირთან, კლიენტთან) კომუნიკაცია

2.1. ადვოკატი/კონსულტანტი, შეძლებისდაგვარად ადგენს, შშმ პირთან შეხვედრისთვის მომზადების საჭიროების შესახებ (სივრცის მისაწვდომობა, ტრანსპორტის მისაწვდომობა ა.შ.);

2.2. ადვოკატი/კონსულტანტი, შშმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად აორგანიზებს შეხვედრას (არჩევს ისეთ გარემოს, სადაც დაცული იქნება კონფიდენციალობა და კლიენტი შეძლებს უკეთესად კონცენტრაციას, უსაფრთხო ატმოსფეროს ფარგლებში);

2.3. ადვოკატი/კონსულტანტი, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს კომუნიკაციაში დამხმარეს (ჟესტური თარჯიმანი, კოგნიტური თარჯიმანი, ტექნოლოგიის, ოჯახის წევრის და სხვა) კლიენტის თანხმობით, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისა და კონფიდენციალობის დაცვის გარანტიით;

2.4. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე შშმ კლიენტთან კომუნიკაციისას ადვოკატი/კონსულტანტი აცნობიერებს მენტალური ჯანმრთელობის დინამიკურ ხასიათს და ფლუქტიაციას, რომელიც ზეგავლენას ახდენს, რამდენად შეუძლია შშმ პირს მართლმსაჯულებაში მონაწილეობა და კომუნიკაციის დამყარება;

2.5. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე შშმ კლიენტთან კომუნიკაციისას ადვოკატი/კონსულტანტი წინასწარ აანალიზებს რა სტერეოტიპები შეიძლება არსებობდეს მენტალურ ჯანმრთელობაზე, რა სტერეოტიპებია გავრცელებული საზოგადოებაში და ახდენს წინასწარგანწყობის მართვას;

2.6. ადვოკატი/კონსულტანტი უნდა ეცადოს შეძლებისდაგვარად, შეხვედრის დროს კლიენტის კომუნიკაციის საჭიროებებს მიუსადაგოს თავისი კომუნიკაციის სტილი;

2.7. ადვოკატმა/კონსულტანტმა, უნდა დახარჯოს საკმარის დრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მათ შორის, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე კლიენტის გაცნობის, მისი სურვილების და ნების გაგების და ინტერესების დადგენისათვის. ამასთან, ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე, შეხვედრისთვის ნორმირებულზე მეტი დრო, ნორმირებულზე მეტი შესვენების დაგეგმვის საჭიროება და კულტურალური ბარიერები;

2.8. ადვოკატმა/კონსულტანტმა, საჭიროების შემთხვევაში, რამდენჯერმე უნდა აუხსნას შშმ პირს ინფორმაცია როგორც ზეპირად ასევე წერილობით (საჭიროების შემთხვევაში) და სხვა ადაპტირებული საშუალებით;

2.9. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დაიცვას ეთიკის და კონფიდენციალობის წესები, კლიენტის მკურნალობაში ჩართული სხვა პროფესიონალების მიმართ.

### 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება

3.1. ადვოკატმა/კონსულტანტმა, წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი ინფორმაციის გარდა, შშმ პირისთვის მისაწვდომი ფორმით (გამარტივებული ფორმა), უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მატერიალურ და პროცესუალურ უფლებებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ კანონიდან გამომდინარეობს;

3.2. ადვოკატი/კონსულტანტი, შეძლებისდაგვარად უნდა დარწმუნდეს, რამდენად არის მისაწვდომი/გასაგები შშმ პირისთვის ინფორმაცია, მათ შორის:

- ა) დავის/ბრალდების არსზე;
- ბ) საპროცესო უფლებებზე;
- გ) საპროცესო დოკუმენტაციაზე;
- დ) მტკიცებულებებზე;



ე) საქმის წარმართვის სტრატეგიაზე;

ვ) ადვოკატის მიმართ არსებულ უფლებებზე (კონფიდენციალობა, ადვოკატის შეცვლა, ინფორმაციის მიღება, კომუნიკაციის ქონა და ა.შ.).

ზ) გასაჩივრების მექანიზმებზე;

#### 4. არასრულწლოვანთან კომუნიკაციის (ბავშვზე მორგებული სერვისი) ზოგადი წესი

4.1. ადვოკატის/კონსულტანტის არასრულწლოვანთან კომუნიკაცია უნდა იყოს მორგებული ბავშვის საჭიროებებზე;

4.2. შესაძლებლობის შემთხვევაში არასრულწლოვანთან კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ბავშვზე ადაპტირებულ გარემოში;

4.3. არასრულწლოვანთან კომუნიკაცია უპირველეს ყოფლისა უნდა ემყარებოდეს ბავშვის ღირსების დაცვას და უნდა იყოს მიმართული ბავშვთან ნდობის ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ. ადვოკატი ვალდებულია ბავშვის მიმართ გამოიჩინოს ემპათია და შექმნას გარემო რათა ბავშვმა თავი იგრძნოს უსაფრთხოდ;

4.4. არასრულწლოვანთან კომუნიკაციისას უნდა იყოს გათვალისწინებული ყოველი კონკრეტული ბავშვის ასაკი, განათლების დონე, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობები, მომწიფებულობის დონე, ემოციური მდგომარეობა ასევე ინდივიდუალური საჭიროებები (მათ შორის სოციალური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.);

4.5. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაარკვიოს ბავშვის აღქმის დონე მათ შორის, ბავშვის ლინგვისტური შესაძლებლობები, ინფორმაციის გაგებისა და კომუნიკაციის უნარი. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვის აღქმისა და კომუნიკაციის შესაძლებლობები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს მის ასაკს;

4.6. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ეკონტაქტოს ბავშვს პიდაპირ და პირადად მას მიაწოდოს ინფორმაცია;

4.7. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დააზუსტოს ხომ არ იქნება ბავშვი უფრო კომფორტულად, იგივე სქესის ადვოკატის/კონსულტანტის წარმომადგენლობისას. ამასთან, დაუშვებელია ბავშვის წახალისება ან სხვა ფორმით გავლენის მოხდენა ამ გადაწყვეტილების მისაღებად;

4.8. ადვოკატი/კონსულტანტი უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვს ხვდება ისეთ გარემოში სადაც დაცული იქნება კომუნიკაციის კონფიდენციალობა და რომ შეძლებისდაგვარად გასაუბრების პროცესს არავინ შეაწყვეტინებთ;

4.9. ადვოკატმა/კონსულტანტმა ყოველი კომუნიკაციის დასაწყისში უნდა ეცადოს გაარკვიოს როგორ გრძნობს ბავშვი თავს. სამართლებივი სტრატეგიის ახსნამდე და შეთანხმებამდე ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა გაარკვიოს რა არის ბავშვის ინტერესი, მისწრაფება, სამომავლოდ როგორ ხედავს ის თავის მომავალს და ა.შ.;

4.10. ბავშვთან პირველი კომუნიკაციისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მას აუხსნას ადვოკატის როლი (მათ შორის, ის რაც არ არის ადვოკატის როლი და რომ ადვოკატი არის დამოუკიდებელი და არ წარმოადგენს პოლიციის თანამშრომელს და ა.შ.) ასევე ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალობა. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ბავშვს აუხსნას საქმეში მონაწილე სხვა პირების როლი და საქმის წარმართვის პროცედურა, მათ შორის ის თუ რა აქტივობები შესაძლოა განხორციელდეს ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ;

4.11. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მისცეს ბავშვს დრო იმისათვის, რომ ბავშვმა ინფორმაცია გაიაზროს;

4.12. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა წახალისოს ბავშვი, რომ ის იყოს უფრო აქტიური, ჩართული კომუნიკაციაში და თავისუფლად გამოხატოს მისი აზრები თუ წუხილები;

4.13. სასამართლო პროცედურებში, ადვოკატმა უნდა წახალისოს ბავშვი რომ მოახდინოს სასამართლოს ინფორმირება, რომ მას სურს შესვენება ან აქვს სხვა პრობლემა;

4.14. ადვოკატი/კონსულტანტი უნდა ეცადოს დაჯდეს ბავშვთან ერთ დონეზე და ბავშვის გვერდზე;

4.15. ბავშვთან გასაუბრებისას ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა მიაქციოს ყურადღება მის ჩაცმულობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რათა გადაჭარბებულად ფორმალური ჩაცმულობით, სამკაულებით და ა.შ. არ გაფანტოს ბავშვის ყურადღება;

4.16. ადვოკატი/კონსულტანტი უნდა იყოს ფხიზლად, რომ ბავშვის უფლებები ყველგან იყოს დაცული და რეალიზებული;

4.17. არასრულწლოვანთა საქმის განხილვისას ადვოკატი ვალდებულია განუხრელად დაიცვას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, ბავშვის უფლებათა კოდექსითა და სხვა აქტებით დადგენილი სტანდარტები;

## 5. ბავშვზე მორგებული ენის გამოყენება

5.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გამოიყენოს მარტივი ენა და ინფორმაციის გადაცემის ის ფორმა, რომელიც შეესაბამება ბავშვის სიმწიფისა და აღქმის დონეს. ბავშვის განვითარება და აზროვნების მანერაც უნდა იყოს გათვალისწინებული;



5.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შეზღუდოს სამართლებრივი ტერმინების გამოყენება. თუ მათი საჭიროება მაინც არსებობს, მაშინ ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა განუმარტოს მათი მნიშვნელობა ბავშვს.

5.3. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დააზუსტოს ბავშვის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვი ტერმინებს მას იმ მნიშვნელობით იყენებს რაც ადვოკატს/კონსულტანტს ესმის;

5.4. ადვოკატმა/კონსულტანტი საჭიროების შემთხვევაში უნდა მისცეს ბავშვს საშუალება ინფორმაცია გადასცეს ნახატის ან სხვა არავერბალური ფორმით;

## 6. არასრულწლოვანის მოსმენა და მისი გამოკითხვა

6.1. ადვოკატმა/კონსულტანტმა აქტიურად და ყურადღებით უნდა მოუსმინოს ბავშვს. ადვოკატი უნდა ეცადოს, რომ ბავშვს დაანახოს, რომ ის დაინტერესებულია იმ ინფორმაციით რასაც ბავშვი მას უყვება;

6.2. ადვოკატმა ბავშვს უნდა აუხსნას თუ როგორ უნდა გამოიყენოს ბავშვმა მოსმენის უფლება ეფექტურად. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) პირობებს, სადაც მას შესაძლოა სთხოვონ თავისი მოსაზრება (როგორ, სად, როდის, ვინ იქნება მონაწილეები და ა.შ);

ბ) პირდაპირ ან ადვოკატის საშუალებით კომუნიკაცია;

გ) მოსმენის უფლების პოტენციური შედეგები;

6.3. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა მისცეს ბავშვს საშუალება რომ ილაპარაკოს და ამ დროს უნდა მოუსმინოს და არ შეაწყვეტინოს;

6.4. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დააზუსტოს, ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე კითხვა ყოველი ინფორმაციის მიწოდების შემდგომ და დარწმუნდეს, რომ ბავშვმა გაიგო გადაცემული ინფორმაცია. ამისათვის, ადვოკატმა უნდა სთხოვოს ბავშვს თავისი სიტყვებით აუხსნან ადვოკატს რაც აღიქვა/გაიგო; ადვოკატმა ბავშვთან დაზუსტების გარეშე არ უნდა მოახდინოს ბავშვის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის ინტერპრეტაცია. ადვოკატმა თავადაც უნდა გაიმეოროს ბავშვის ნათქვამი, რომ დარწმუნდეს, რომ მას სწორად გაიგო ინფორმაცია;

6.5. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დაანახოს ბავშვს რომ ის პატივს სცემს ბავშვის წარმომავლობას ან იმ კულტურას რომელსაც ბავშვი წარმოადგენს;

6.6. ადვოკატმა/კონსულტანტმა ბავშვს უნდა დაუსვას მარტივი, რელევანტური და სტრუქტურირებული კითხვები. კერძოდ, ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს მოკლე, ნათელი და ფაქტებზე დაფუძნებული ღია კითხვები. ადვოკატმა უნდა ეცადოს არ გამოიყენოს მიმანიშნებელი კითხვები;

6.7. ადვოკატმა/კონსულტანტმა კითხვა უნდა დასვას იმ ფორმით, რომ მასში არ ჩანდეს კრიტიკა (მაგ. რატომ?); ადვოკატმა/კონსულტანტმა არ უნდა გამოიყენოს სარკაზმი, იდომები და დიალექტური გამონათქვამები;

6.8. ადვოკატი/კონსულტანტი უნდა ეცადოს არ გამოიყენოს დროსთან დაკავშირებული კონცეფციები (მაგ. ორ კვირაში, შემდგომ სხდომაზე და ა.შ.);

6.9. ადვოკატი ვალდებულია კითხვების დასმისას პირადი მიკეროებები და სოციალური სტიგმები არ დაანახოს ბავშვს. ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს კრიტიკის შემცველი ტერმინოლოგია;

6.10. თუ ბავშვის პასუხები არის წინააღმდეგობრივი, ადვოკატმა იმის მითითების გარეშე რომ ბავშვი არასწორია, უნდა სთხოვოს ბავშვს მისი დაზუსტება და გაუმეოროს ბავშვს მის მიერ ნათქვამი ინფორმაცია.

6.11. ადვოკატმა შეხვედრის დასასრულს უნდა შეაჯამოს ბავშვის ნათქვამი. კერძოდ, გაიმეოროს ბავშვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელოვანი აპექტები და ბავშვს აგრძნობინოს, რომ ადვოკატს მისი ესმის და გაიგო.

6.12. თუ არასრულწლოვანის ასაკის განვითარებისა და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით მის მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია (მაგ. 1 წლამდე ბავშვის და ა.შ.) მაშინ ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა იმოქმედების თავისი შეხედულებით ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;<sup>2</sup>

## 7. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაცია

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციისას ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დაიცვას დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების სამუშაო მეთოდოლოგია და პროცედურები იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის.

## 8. ადვოკატის მიერ საქმის მასალების გაცნობა

8.1. ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებაში მიღებისთანავე ასევე სისხლის/სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს მხარისაგან/მათ შორის ბრალდების მხარისაგან, სხვა ადვოკატისაგან/სპეციალისტისაგან საქმის მასალების მისთვის გადაცემა;

8.2. ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებაში მიღებისთანავე ან თუ ეს ობიექტურად შეუძლებელია და არ დააზიანებს საქმის ინტერესებს გონივრულ ვადაში საფუძვლიანად და სრულყოფილად გაეცნოს საქმის მასალებს და დაუთმოს აღნიშნულს საკმარისი დრო. თუ



ადვოკატი საქმეში ჩაერთვება სასამართლო განხილვის პროცესში იგი უნდა გაეცნოს იმავე და არსებობის შემთხვევაში სხვა ინსტანციების სასამართლოს სხდომის ოქმებსაც;

8.3. თუ კლიენტთან პირველ კომუნიკაციამდე ან განსაკუთრებით გამონაკლის გარემოებებში, როდესაც არსებობს კლიენტთან კომუნიკაციის გადაუდებელი აუცილებლობა და დროულობიდან ან/და საქმის მოცულობიდან ან ადვოკატისაგან სხვა დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია კლიენტთან კომუნიკაციამდე საქმის მასალების გაცნობა, მაშინ ადვოკატი უფლებამოსილია შეხვდეს კლიენტს საქმის მასალების გაცნობის გარეშე. ამ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია სათანდო წესით და დროში საქმის მასალების გაცნობის შემდგომ კვლავ შეხვდეს კლიენტს და განახორციელოს წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი ვალდებულებები;

8.4. თუ ადვოკატის მიერ მისგან დამოუკიდებელი და ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხორციელდება საქმის მასალების გაცნობა საპროცესო/საგამომიებო ან სხვა მოქმედებების განხორციელებამდე/სასამართლო სხდომის გამართვამდე (მაგ. საპროცესო, საგამომიებო და სხვა მოქმედებები ან სასამართლოს ან სხვა ორგანოში სხდომა დაგეგმილია ადვოკატისათვის საქმის გადაცემიდან დაუყოვნებლივ ან/და საქმის მასალები არის მოცულობითი ან/და განსაკუთრებული სირთულის), ადვოკატი ვალდებულია დააყენოს შუამდგომლობა ამ ღონისძიებების/პროცესის გადადების შესახებ ან თუ გადადება შეუძლებელია მოითხოვოს საკმარისი დრო საქმის მასალების ადვოკატის მიერ გაცნობისათვის და ასევე კლიენტისათვის გაცნობისათვის;

8.5. ადვოკატმა საქმის მასალების გასაცნობად დროის რესურსის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიაქციოს საპროცესო/საგამომიებო ან სხვა მოქმედებამდე, სასამართლო სხდომამდე დარჩენილ დროს, საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ სირთულეს, ბრალდების სიმძიმეს და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს;

## 9. კონსულტანტის მიერ კონსულტაციისას წარდგენილი მასალების გაცნობა

9.1. კონსულტანტი ვალდებულია კონსულტაციის გაცემამდე საფუძვლიანად და სრულყოფილად გაეცნოს კლიენტის მიერ მიწოდებულ მასალებს, თუ კლიენტს კონსულტაციის მიღებისას თან აქვს მასალები;

9.2. სატელეფონო/ონლაინკონსულტაციისას, ასევე თუ კლიენტს თან არ აქვს სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად საჭირო მასალები, კონსულტანტი გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას კლიენტის მიერ ზეპირად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, სამართლებრივი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, კონსულტანტმა კლიენტს უნდა განუმარტოს, რომ შესაბამისი მასალების გაცნობა აუცილებელია საკითხში გარკვევისა და კვალიფიციური კონსულტაციისათვის.

## 10. სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენება



- 10.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს საქმის გარემოებებისა და სამართლებრივი ცოდნის პროაქტიული გამოყენება და ამისათვის შეასრულოს წინამდებარე პუნქტით დადგენილი ვადებულებები და ისინი აქტიურად გამოიყენოს კლიენტის უფლებების დაცვისას და კლიენტის ეფექტური წარმომადგენლობისას.
- 10.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია იცოდეს/შეისწავლოს/გაიღრმავოს ცოდნა იმ დარგის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობაში, რომელშიც ის მოღვაწეობს;
- 10.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია იცნობდეს ეროვნული სასამართლო პრაქტიკას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტურ გადაწყვეტილებებს და სხვა რელევანტური ეროვნულ თუ საერთაშორისო აქტებსა და პრაქტიკას;
- 10.4. ადვოკატი/კონსულტანტი პერიოდულად უნდა გაეცნოს ინფორმაციას საკანონმდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;
- 10.5. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაიაროს საჭირო გადამზადება სამართლებრივი ცოდნისა და საჭირო პროფესიული უნარების განვითარებისათვის;
- 10.6. თუ ადვოკატი/კონსულტანტი საქმეში აღმოაჩენს ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც მას არ აქვს ცოდნა ან გამოცდილება, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაეცნოს შესაბამისი ლიტერატურას, დოქტრინას, პრაქტიკას ასევე გაიაროს კონსულტაცია, მიიღოს რჩევა იმ ადვოკატისაგან/კონსულტანტისაგან ან მენტორისაგან ან შესაბამისი სპეციალისტისაგან, ვისაც აქვს შესაბამისი საკითხების ცოდნა;
- 10.7. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია წინამდებარე თავის 10.2-10.7 ქვეპუნქტებში მითითებული
11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ინფორმაციის ფლობა
- 11.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაეცნოს და განაახლოს სამართლებრივი ცოდნა შშმ პირთა უფლებების შესახებ;
- 11.2. ადვოკატი/კონსულტანტი შეძლებისდაგვარად, უნდა გაეცნოს სამეცნიერო ინფორმაციას ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობების შესახებ;
- 11.3. ადვოკატი/კონსულტანტი შეძლებისდაგვარად, უნდა გაეცნოს სამეცნიერო ინფორმაციას ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიმპტომებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა ხელს უშლიდნენ კლიენტის ადვოკატთან/კონსულტანტთან კომუნიკაციას;



11.4. ადვოკატი/კონსულტანტი შეძლებისდაგვარად, უნდა გაეცნოს ინფორმაციას ფსიქიკური ჯანმრთელობის ზრუნვის არსებული და საჭირო სერვისების შესახებ;

11.5. ადვოკატი/კონსულტანტი შეძლებისდაგვარად, უნდა გაეცნოს ინფორმაციას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ჩართული სპეციალისტების როლისა და ინტერდისციპლინური მიდგომების შესახებ.

## 12. კლიენტისათვის უფლებების განმარტება

12.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს განუმარტოს უფასო იურიდიული დახმარების არსი, ადვოკატის/კონსულტანტის როლი, მომსახურეობის ფარგლები, წარმომადგენლობის არსი და ადვოკატის საქმიანობის პრინციპები და კლიენტს გადასცეს „მომსახურეობის პირობების“ დოკუმენტი შესაბამისი ხელმოწერით;

12.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარის შევსება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით;

12.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს განუმარტოს საპროცესო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი საქმისათვის რელევანტური ყველა უფლება, მათ შორის და განსაკუთრებით უდანაშაულობის პრეზუმფციის, დუმილის გამოყენების უფლება, მტკიცებულებების უდავოდ ცნობის, სარჩელის ცნობის, აღიარების შედეგები, დამოუკიდებლად მტკიცებულებების მოპოვების უფლება, დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების გასაჩივრების უფლება, სასამართლო პროცესზე, საპროცესო/საგამომძიებო ღონისძიებებზე, ადმინისტრაციულ ორგანოში გამოუცხადებლობის შედეგები, გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება და ა.შ.) გასაჩივრების უფლება და წესი, გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება და ა.შ.) გაუსაჩივრებლობის შედეგები, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას მისი დარღვევის შედეგები, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადების გაშვების შესახებ (ასევე განუმარტოს ამ ვადების გაშვების საფუძვლები ასევე შემდგომი შესაძლო მოქმედებები), ნაფიცი მსაჯულებისათვის საქმის გადაცემის განმარტება (განსჯადობის არსებობისას) და შედეგები და ა.შ.;

12.4. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ადვოკატის/კონსულტანტის აცილების წინაპირობები, ასევე პრეტენზიის დაფიქსირების წესი. თუმცა, დაუშვებელია კლიენტის წაქეზება ადვოკატის/კონსულტანტის აცილების მიზნით;

12.5. თუ კლიენტი უარს აცხადებს „მომსახურეობის პირობების“ ან კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარის ხელმოწერაზე, მაშინ ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა მოაწეროს ხელი ამ დოკუმენტებს და დააფიქსიროს კლიენტის უარის შესახებ. ამ შემთხვევაში, ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერით ადვოკატი/კონსულტანტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას იმასთან

დაკავშირებით, რომ მან „მომსახურების პირობების“ ყველა დებულება დეტალურად აუხსნა კლიენტს და ასევე იმ ფაქტზე, რომ კლიენტმა უარი განაცხადა დოკუმენტების ხელმოწერაზე.

### 13. საქმესთან დაკავშირებით კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება

13.1. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს მის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია იმ ფარგლებში, რაც მოცემულ გარემოებებში გონივრულად საჭიროა იმისათვის, რომ კლიენტმა მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება;

13.2. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) კლიენტის საქმეში არსებულ გარემოებებს (მათ შორის ბრალდების შინაარსს, არსებულ მტკიცებულებებს, მათ განმარტებას/შეფასებას და ა.შ. ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში კლიენტის დავისათვის რელევანტურ გარემოებებს);

ბ) საქმის წარმართვის ალტერნატივებს, პროცედურებს, რისკებს, სავარაუდო პერსპექტივებს, სტრატეგიის განხორციელების მეთოდებს/საშუალებებს და ვადებს;

გ) ინფორმაციას ადვოკატთან კომუნიკაციის დროის, პერიოდულობისა და საშუალებების შესახებ;

დ) ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარესთან, დაზარალებულთან, მესამე პირებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისა და მათი რისკების შესახებ;

ე) ინფორმაციას (პოტენციურ დადებით და უარყოფით მხარეებს) ბრალის აღიარების, სამართალდამცავ ორგანოებთან ადრეული თანამშრომლობის, მედიაციის, მორიგების შესახებ, სარჩელის ცნობის, აღიარების შესახებ;

13.3. ადვოკატს არ აქვს უფლება დაჰპირდეს კლიენტს საქმის განვითარების კონკრეტული შედეგის მიღწევა, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ადვოკატს კეთილსინდისიერად და სამართლებრივ ნორმებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით სჯერა აღნიშნულის მიღწევის ყველა წინაპირობების სრულყოფილად არსებობა;

13.4. დაუშვებელია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის რაიმე სახის ანაზღაურების მოთხოვნა ადვოკატის მიერ გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით;

### 14. საქმესთან დაკავშირებით კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფარგლები

14.1. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება არ გულისხმობს მისთვის საქმის ირგვლივ აბსოლუტურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც შესაძლოა ადვოკატს ჰქონდეს.



კერძოდ, ადვოკატი არ არის ვალდებული კლიენტს გააცნოს საქმისათვის არარელევანტური ან უმნიშვნელო ინფორმაცია ან საქმის განვითარების შესახებ ყველა წვრილმანი აღმოჩენა;

14.2. ადვოკატი ვალდებულია ყველა გარემოებაში და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) პროკურორთან/მოწინააღმდეგე მხარესთან/მესამე პირებთან მოლაპარაკებების შესახებ;

ბ) კლიენტთან შეთანხმებული ქმედებების შეუსრულებლობისა და მათი მიზეზების შესახებ;

გ) საპროცესო მოქმედების შესრულების ვადების გაშვების შესახებ (ასევე განუმარტოს ამ ვადების გაშვების საფუძვლები ასევე შემდგომი შესაძლო მოქმედებები);

დ) საქმისათვის არსებითი ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესახებ;

15. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტის სპეციალურ საჭიროებებზე რეაგირება (სივრცეების მისაწვდომობა)

15.1. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა შეამოწმოს, რამდენად მისაწვდომია შშმ პირისათვის ის სივრცე, სადაც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში (პოლიციის სამმართველო, სასამართლო და ა.შ.)

15.2. ადვოკატმა, შეძლებისდაგვარად, უნდა დააყენოს შუამდგომლობა მისაწვდომობის სრულად უზრუნველყოფისათვის;

16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტის სპეციალურ საჭიროებებზე რეაგირება (პროცედურული მისადაგება)

16.1. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა შეამოწმოს, რამდენად მისაწვდომია პროცედურული მისადაგება (სივრცეების, კომუნიკაციის, ინფორმაციის, საპროცესო წესების და სხვა საკითხებთან მიმართებაში) შშმ პირისთვის;

16.2. ადვოკატმა, შეძლებისდაგვარად, უნდა დააყენოს შუამდგომლობა პროცედურული მისადაგების უზრუნველსაყოფად;

17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტის სპეციალურ საჭიროებებზე რეაგირება (მატერიალური და პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფა)

17.1. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა შეამოწმოს, რამდენად დაცულია შშმ პირის მატერიალური და პროცესუალური გარანტიები, მათ შორის:

- ა) უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- ბ) უფლებების მისაწვდომი ფორმით გაცნობა;
- გ) საპროცესო თუ მატერიალური უფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე;
- დ) ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალური სერვისის მიღება და სხვა;

17.2. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა დააყენოს შუამდგომლობა შშმ პირის მატერიალური და საპროცესო გარანტიების დაცვის თაობაზე;

**18. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტის სპეციალურ საჭიროებებზე რეაგირება (მონაწილეობა მართლმსაჯულებაში)**

18.1. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა დააფიქსიროს შშმ პირის მიმართ სტერეოტიპებით გამოწვეულ დისკრიმინაციული წინასწარ განწყობები მართლმსაჯულების პროცესში (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა და სხვა);

18.2. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა დააყენოს შუამდგომლობა დისკრიმინაციული წინასწარგანწყობის აღმოფხვრის მიზნით;

18.3. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა დააფიქსიროს ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც ზღუდავს (ან, ხელს არ უწყობს) შშმ პირს, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობაში;

18.4. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა დააყენოს შუამდგომლობა, რათა, შემზღუდავი საკანონმდებლო ჩანაწერი განიმარტოს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;

18.5. ადვოკატმა შეძლებისდაგვარად უნდა შეამოწმოს აღრიცხოს ყველა ის პროფესიული პრაქტიკა (მაგ. ტესტები, რომელითაც სასამართლოები აფასებენ შშმ პირის შესაძლებლობას და უნარებს გამოვიდეს სასამართლო პროცესებზე), რომელიც ზღუდავს (ან, ხელს არ უწყობს) შშმ პირის მონაწილეობას და დააყენოს შუამდგომლობას, რათა, შემზღუდავი პროფესიული პრაქტიკა განიმარტოს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

**19. კლიენტის საქმის შესახებ ინფორმაციის სხვა პირებისათვის მიწოდება**

ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაადგინოს იმ საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის/კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაცია;

**20. კლიენტისათვის საქმის მასალების გაცნობა/გადაცემა**



20.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში გააცნოს ან/და გადასცეს მას მისი საქმის/კონსულტაციის მასალები/ასლები;

20.2. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მას მიაწოდოს მოთხოვნის მომენტისათვის ადვოკატის მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტები/დრაფტები (მათი საბოლოო ფორმის მიუხედავად);

20.3. საქმის/კონსულტაციის მასალების კლიენტისათვის ან სხვა ადვოკატისათვის გადაცემის შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიტოვოს მათი ასლები;

## 21. კონფიდენციალური ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა

21.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიცვას საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

21.2. თუ საქმის მასალები შეიცავს ადვოკატის/კონსულტანტისა და კლიენტის კომუნიკაციისას მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, მაშინ საქმის მასალების სხვა ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის ან სხვა პირისათვის გადაცემისას ამ ინფორმაციის დაცვა და გადაცემა უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

21.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტისაგან აიღოს წერილობითი ნებართვა კონფიდენციალური ინფორმაციის სხვა ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის გადაცემის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის სხვა ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის გადაცემა უნდა მოხდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გარეშე;

## 22. საქმეზე განსახორციელებელი მოქმედებების (საქმის წარმართის სტრატეგიის) შეთანხმება

22.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შეთანხმოს კლიენტთან საქმის წარმართვის სტრატეგია, ადვოკატის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები, მათი განხორციელების საშუალებები;

22.2. ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებისას იმოქმედოს კლიენტის მითითებებისა და მასთან შეთანხმებული სტრატეგიის შესაბამისად და განახორციელოს კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგია/აქტივობები;

22.3. პროცესის, საპროცესო ან საგამოძიებო ან სხვა მოქმედებების მიმდინარეობის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია დაუყონებლივ გადაწყვეტილების მიღება, ადვოკატმა უნდა მოითხოვოს დრო კლიენტთან შესათანხმებლად და მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის, გამოუვალ გარემოებებში იმოქმედოს შეთანხმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში



ადვოკატმა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა შეატყობინოს კლიენტს ამის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

22.4. ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან განიხილოს და შეათანხმოს მოპალარაკებების/საპროცესო მოლაპარაკებების წარმოების საკითხი, წესი, პირობები და შედეგები;

22.5. თუ საქმის განხილვის სტრატეგია გულისმობს ადვოკატის მიერ პროცესზე ან სხდომაზე დაცვის მხარის მტკიცებულების წარუდგენლობას (მაგ. იმ მოტივით, რომ დაცვის მხარის სტრატეგიით ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ვერ აკმაყოფილებენ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და დაცვის მხარის მტკიცებულებების წარდგენა აღარ არის მიზანშეწონილი) ადვოკატი ვალდებულია შეათანხმოს ეს საკითხი კლიენტთან და ჩამოართვას მას წერილობითი ხელწერილი. ხელმოწერილი უნდა განთავსდეს საქმის მასალებში ასევე ატვირთოს იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank). დაუშვებელია კლიენტთან შეთანხმება სტანდარტებში მითითებული სხვა სახის აქტივობების განუხორციელებლობაზე (მაგ. საქმის გაცნობა, დამოუკიდებელი გამოძიება და ა.შ.). ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ის ჩაითვლება წინამდებარე სტანდარტების საწინააღმდეგოდ და შეფასდება უარყოფითად.

### 23. კლიენტთან პოზიციების/სტრატეგიის შეუთანხმებლობა

23.1. თუ ადვოკატი/კონსულტანტი და კლიენტი ვერ თანხმდებიან საქმის წარმართვასა და საქმესთან დაკავშირებით განსახორციელებელი მოქმედებების არსებით პირობებზე, მათი პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია და ამასთან, ადვოკატი/კონსულტანტი კეთილსინდისიერად და არაორაზროვნად დარწმუნებულია, რომ კლიენტის პოზიცია და მის მიერ არჩეული სტრატეგია არის მისი უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესებისათვის აშკარად და ცალსახად მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი ან/და არაეთიკური, ადვოკატი/კონსულტანტი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმიდან/კონსულტაციიდან ჩამოცილება;

23.2. საქმიდან ჩამოცილებამდე ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ კლიენტს ერთმნიშვნელოვნად ესმის და აცნობიერებს საქმის არსს, მის მიერ არჩეულ სტრატეგიასა და შედეგებს;

23.3. ადვოკატის/კონსულტანტისა და კლიენტის პოზიციებს შორის არარსებითი ან/და წვრილმანი შეუთანხმებლობა არ შეიძლება გახდეს საქმიდან ადვოკატის/კონსულტანტის აცილების წინაპირობა;

23.4. კლიენტთან პოზიციების/საქმის წარმართვის სტრატეგიის შეუთანხმებლობის მოტივით საქმიდან ჩამოცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს აქვს საშუალება, რომ სამსახურის სხვა ადვოკატისაგან/კონსულტანტისაგან მიიღოს დროული და ეფექტური სამართლებრივი მომსახურება და იმ პირობით, თუ ადვოკატი/კონსულტანტი კლიენტს



მიაწოდებს წერილობით დასაბუთებულ განმარტებას ადვოკატის/კონსულტანტის ასევე კლიენტის მიერ არჩეული პოზიციების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ (რისი ჩაბარებაც უნდა დადასტურდეს კლიენტის ხელმოწერით);

23.5. თუ დროულობიდან, საქმის სტადიიდან ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია რომ კლიენტმა მიიღოს სხვა ადვოკატის/კონსულტანტის სამართლებრივი მომსახურება, მაშინ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გააგრძელოს საქმის წარმოება კლიენტის მითითებების შესაბამისად. ამასთან, შესაბამისი ხელწერილით ჩააბაროს კლიენტს მისი განსხვავებული დასაბუთებული პოზიცია;

23.6. კლიენტთან პოზიციების/სტრატეგიის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მოისმინოს მენტორის პოზიცია (თუ საქმის პროცედურა ან სტადია ან დრო ამის საშუალებას იძლევა) და კლიენტს მიაწოდოს ეს ინფორმაციაც.

24. კლიენტის მოთხოვნის შეუსრულებლობა კონკრეტული გარემოების მითითების, შუამდგომლობის დაყენების, მოწმის დაკითხვისა და სხვა ქმედებების განხორციელების შესახებ

თუ ადვოკატი და კლიენტი თანხმდებიან საქმის წარმართვის ზოგად სტრატეგიაზე, თუმცა, ადვოკატი არ ეთანხმება პროცესის მწარმოებელ ან სხვა ორგანოში/სასამართლოში კონკრეტული გარემოების მითითებას, შუამდგომლობის დაყენებას, მოწმის დაკითხვას ან სხვა ქმედებას, იმ მოტივით, რომ ადვოკატის კეთილსინდისიერი განსჯითა და კვალიფიციური მოსაზრებით აღნიშნული ზიანის მომტანია კლიენტის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესებისათვის, თუმცა კლიენტი დაჟინებით ითხოვს აღნიშნულს და სახეზე არაა არაკანონიერი ან არაეთიკური ქმედება, მაშინ ადვოკატი ვალდებულია გააუღეროს კლიენტის ეს მოთხოვნა პროცესის მწარმოებელ ან სხვა ორგანოში/სასამართლოში ან თავად კლიენტს მისცეს ამის საშუალება. ამასთან, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს წინასწარ ამ მოქმედებების განხორციელებამდე წერილობით გადასცეს მისი საწინააღმდეგო დასაბუთებული პოზიცია ამ ქმედებების უარყოფითი შედეგების შესახებ და ჩამოართვას ხელწერილი. ადვოკატი ვალდებულია აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს მენტორს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დროულობიდან და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

25. სასამართლო სხდომაზე, საპროცესო, საგამომიებო და სხვა ღონისძიებებში, სხდომებზე, საქმესთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა

ადვოკატი ვალდებულია პირადად მონაწილეობდეს კლიენტის საქმეზე სასამართლო სხდომაში, საპროცესო, საგამომიებო და სხვა ღონისძიებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში სხდომებზე ან საქმესთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებში.

26. კონსულტაციის გაცემის ზოგადი წესი



26.1. კონსულტანტი ვალდებულია კონსულტაცია გასცეს მიწოდებული ინფორმაციისა და წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. ამასთან, კონსულტანტი ვალდებულია განუმარტოს აღნიშნულის შესახებ კლიენტს;

26.2. თუ კონსულტაციისას წარდგენილი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია არ არის საკმარისი, კონსულტანტის მიერ ამომწურავი და კვალიფიციური კონსულტაციის გაწევისათვის, მაშინ კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს საკითხის ირგვლივ ზოგადი ინფორმაცია/კონსულტაციას და განუმარტოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ ასევე მიუთითოს საჭირო დოკუმენტების სახეები და მათი მოძიების გზები;

26.3. კონსულტანტი ვალდებულია კლიენტის შეკითხვებზე გასცეს სათანადო, რელევანტური, სამართლებრივად სწორი და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ამომწურავი პასუხი;

26.4. დაუშვებელია კლიენტისათვის მხოლოდ კანონის მუხლის ციტირება ან მითითება შესაბამის კანონზე/კოდექსზე/აქტზე საკითხის გამარტებისა და შესაბამისი კონსულტაციის გარეშე ასევე დაუშვებელია ინფორმაციის გასაცნობად კლიენტისათვის სამსახურის ან სხვა ნებისმიერ საიტზე ან ინფორმაციის წყაროზე მითითება/გადამისამართება;

26.5. კონსულტანტი ვალდებულია კონსულტაციის დასრულებისას დააზუსტოს მიიღო თუ არა კლიენტმა მისთვის სასურველი კონსულტაცია და ხომ არ აქვს დამატებითი საკითხების გარკვევის საჭიროება ან სურვილი.

## 27. სამართლებრივი კონსულტაციის შინაარსი

27.1. კონსულტაციის გაცემამდე კონსულტანტმა უნდა გამოარკვიოს კლიენტის სამართლებრივი პრობლემის შინაარსი, რელევანტური ფაქტობრივი გარემოებები, საკითხთან დაკავშირებული მოვლენები (მათ შორის პირადი განწყობები), კლიენტის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც კლიენტს შეუძლია, სავარაუდო მოწმეები, დავაში მესამე პირების ინტერესები, დავის სტადია (თუ დავა სასამართლოშია), კლიენტის ინტერესი და მიზანი;

27.2. კონსულტაციის გაცემამდე კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე კონსულტანტმა უნდა დაადგინოს:

- ა) რა არის ან რა შეიძლება იყოს კლიენტის მოთხოვნა (კლიენტის ინტერესის ან მიზნის შესაბამისად)?
- ბ) რომელი ნორმიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს კლიენტის მოთხოვნა (უნდა მოხდეს მოთხოვნის უფლების განმსაზღვრელი ნორმის ანუ საფუძვლის მოძიება);
- გ) წარდგენილია თუ არა კლიენტის მიერ მოთხოვნის წარმომშობი გარემოებები და მტკიცებულებები ან შესაძლებელია თუ არა მათი მოპოვება;



27.3. კონსულტაცია უნდა იყოს სწორი, სამართლებრივად გამართული, კანონიერი და კონსულტაციის შინაარსი (სამართლებრივი ნაწილი) უნდა შეიცავდეს კლიენტის მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ ანალიზს. კერძოდ:

ა) რას ეხება საკითხი, რა სამართლებრივი პრობლემა აქვს კლიენტს;

ბ) რა გზები არსებობს კლიენტის სამართლებრივი საკითხის მოგვარებისათვის და რა ვადები და პროცედურები არსებობს ამის რეალიზაციისთვის;

გ) რა ალტერნატივები არსებობს, რა რისკებთან და შედეგებთან და ფინანსურ რესურსთან არის ისინი დაკავშირებული (მაგ. სახელმწიფო ბაჟი, საქმის კლიენტის საწინააღმდეგოდ დასრულების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის ხარჯები, ექსპერტიზის ხარჯები და ა.შ.); ზოგადად რა პერსპექტივები არსებობს;

დ) დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების საკითხი. კერძოდ, ინფორმაციის/მტკიცებულებების მოპოვების ადგილი, ვადები, საჭიროება, წესი, ფორმა და საფასური (საჭიროების შემთხვევაში);

ე) რა მოქმედებები უნდა განახორციელოს კლიენტმა მის მიერ არჩეული სტრატეგიის განხორციელებისათვის;

## 28. სატელეფონო/ელექტრონული კონსულტაციის წესი

28.1. თუ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია კლიენტისათვის სრულყოფილი და ამომწურავი კონსულტაციის გაწევა, მაშინ სატელეფონო/ელექტრონული კონსულტაციისას კონსულტანტი ვალდებულია გასცეს ასეთი კონსულტაცია;

28.2. თუ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია კლიენტისათვის სრულყოფილი და ამომწურავი კონსულტაციის გაწევა (წარსადგენია დოკუმენტები, მოსამიელებლია ინფორმაცია და ა.შ.), მაშინ კონსულტანტი უფლებამოსილია შემოიფარგლოს კლიენტისათვის სამართლებრივ საკითხებზე ზოგადი ინფორმაციის მიწოდებით. ამასთან, კონსულტანტი ვალდებულია განუმარტოს ამის შესახებ კლიენტს და მიაწოდოს მას სამსახურის საკონტაქტო მონაცემები ბიუროში, საკონსულტაციო ცენტრში გამოცხადების, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენისა და ამომწურავი იურიდიული კონსულტაციის მისაღებად;

28.3. სატელეფონო/ელექტრონული კონსულტაციისას კონსულტანტი უფლებამოსილია გადაამისამართოს კლიენტი იმ კონსულტანტთან, რომელმაც მას იმავე საკითხზე გაუწია კონსულტაცია კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში. ამასთან, თუ კლიენტის გადაამისამართება შეუძლებელია ან ეს ხანგრძლივ დროსთან არის დაკავშირებული კონსულტანტი ვალდებულია თავად გასცეს კონსულტაცია;

## 29. კლიენტის გადამისამართება კონსულტაციის გაწევისას

29.1. კონსულტანტი უფლებამოსილია გადამისამართოს კლიენტი სხვა ორგანოში, ორგანიზაციაში, მესამე პირთან კონსულტაციის მისაღებად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

- ა) საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია კლიენტისათვის კონსულტაციის გავლა სხვა ორგანოში/ორგანიზაციაში/პირთან ან
- ბ) თუ სამსახურსა და სხვა ორგანოს შორის დადებული მემორანდუმი კლიენტის კონსულტაციაზე გადამისამართებასთან დაკავშირებით;

29.2. კლიენტის გადამისამართებამდე კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია და მიაწოდოს საკითხთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ინფორმაცია, ასევე აუხსნას გადამისამართების მიზეზი და მიაწოდოს გადამისამართების სუბიექტის საკონტაქტო მონაცემები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მონაცემების მიღება დასაქმებულის მიერ ობიექტურად შეუძლებელია);

29.3. თუ კლიენტი კონსულტანტს პირდაპირ ან არაპირდაპირ განუცხადებს გადამისამართებაზე უარს მაშინ კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია ამ თავით დადგენილი წესით;

## 30. წერილობითი კონსულტაციის გაცემის ვალდებულება

კონსულტანტი ვალდებულია გასცეს წერილობითი კონსულტაცია თუ:

- ა) კლიენტის მიერ წარდგენილი საკითხი ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით რთული და კომპლექსურია;
- ბ) კლიენტს უძნელდება კონსულტაციის შინაარსის აღქმა ან დამახსოვრება;
- გ) კონსულტაციის სრულყოფილად გაცემა საჭიროებს კლიენტისაგან დამატებით სხვადასხვა კომპლექსური ქმედებების განხორციელებას (მაგ. ინფორმაციის გამოთხოვას, მტკიცებულებების მოპოვებას და ა.შ.);
- დ) კლიენტის მოთხოვნა უსაფუძვლოა, არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდა და მას არ გააჩნია წარმატების არავითარი წინაპირობა;

## 31. კომუნიკაციისას ზიანის მიყენება

31.1. თუ სამართლებრივი მომსახურების განხორციელებისას კლიენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ განუცხადებს ადვოკატს/კონსულტანტს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების შესახებ და ადვოკატის/კონსულტანტის შინაგანი რწმენით ზიანის მიყენების საფრთხე რეალურია, მაშინ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მოითხოვოს სამსახურის ფსიქოლოგის ან სხვა სპეციალისტის ჩართულობა საქმეში ასევე მიმართოს შესაბამის პირებს (მაგ.



პენიტენციური დაწესებულების/დროებითი მოთავსების იზოლატორის ხელმძღვანელობა, კლიენტის ოჯახის წევრი და ა.შ.) კლიენტისათვის განსაკუთრებული ზედამხედველობის დანიშვნის შესახებ, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვითა და კანონით დადგენილი წესით;

31.2. თუ კლიენტი ადვოკატს/კონსულტანტს პირდაპირ ან არაპირდაპირ განუცხადებს სხვა პირისათვის მომავალში ზიანის მიყენების შესახებ და ადვოკატი/კონსულტანტი შინაგანი რწმენით ზიანის მიყენების საფრთხე რეალურია, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადოს აღნიშნულის შესახებ, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და ამასთან მოითხოვოს საქმიდან აცილება ამ სტანდარტებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით;

31.3. თუ კლიენტისაგან ადვოკატის/კონსულტანტის მიმართულებით პირდაპირ ან არაპირდაპირ ხორციელდება ზიანის მიყენება ან ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის ან მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის ზიანის მიყენების მუქარა და ადვოკატი/კონსულტანტი შინაგანი რწმენით ზიანის მიყენების საფრთხე რეალურია, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია განაცხადოს აღნიშნულის შესახებ, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და ამასთან მოითხოვოს საქმიდან აცილება ამ სტანდარტებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით;

## 32. კლიენტის სპეციალური საჭიროებები

თუ კლიენტს ჯანმრთელობის ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე აქვს სპეციალური საჭიროებები, ადვოკატი ვალდებულია მიმართოს შესაბამის პირებს (მაგ. პენიტენციური დაწესებულების/დროებითი მოთავსების იზოლატორის ხელმძღვანელობა, სასამართლოს და ა.შ.) კლიენტის ამ საჭიროებების გათვალისწინების შესახებ;

## 33. კლიენტის უკმაყოფილებისას კომუნიკაციის წესი

33.1. თუ კლიენტი ადვოკატის/კონსულტანტის ან სამსახურის სხვა თანამშრომლის მიმართ აფიქსირებს აშკარა უკმაყოფილებას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია არიან განუმარტონ კლიენტს უკმაყოფილების ოფიციარულად წარდგენის წესი;

33.2. თუ კლიენტი უკმაყოფილებას გამოხატავს განსაკუთრებული უხეში ფორმით (ყვირილი, უშვერი სიტყვების გამოყენება და ა.შ.) ადვოკატი/კონსულტანტი უფლებამოსილია მასთან შეწყვიტონ კომუნიკაცია და მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს. ამასთან, მოითხოვოს საქმიდან აცილება ამ სტანდარტებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით;

## 34. უკანონო, არაეთიკური ქმედებების განხორციელების აკრძალვა



- 34.1. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება სამართლებრივი მომსახურების განხორციელებისას შეცდომაში შეიყვანოს კლიენტი ან პროცესის მწარმოებელი ორგანო/სასამართლო ან სხვა ნებისმიერი პირი თუ ორგანო;
- 34.2. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება გამოიყენოს საპროცესო ან სხვა საშუალებები, რათა განზრახ გააჭიანუროს საქმის განხილვა, თუ ამისათვის არ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი;
- 34.3. ადვოკატს არ აქვს უფლება წინასწარი განზრახვით წარადგინოს ყალბი მტკიცებულება ეს იქნება დოკუმენტის, ნივთის თუ მოწმის ჩვენების სახით ან წარდგენილი დოკუმენტის სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენისთანავე უნდა გაუმჟღავნოს სასამართლოს აღნიშნულის შესახებ;
- 34.4. ადვოკატს არ აქვს უფლება გამოიყენოს უკანონო ან არაეთიკური საშუალებები მტკიცებულებების მოპოვებისათვის ან დაიქირავოს, დაავალოს ან წაახალისოს სხვები ამის გასაკეთებლად;
- 34.5. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება დააშინოს ან გავლენა მოახდინოს ექსპერტებზე, სპეციალისტებზე, ნაფიც მსაჯულებზე ან კანდიდატებზე ასევე მოწმეზე ან/და დაზარალებულზე ან რაიმე უკანონო ან არაეთიკურ გარიგებაში შევიდეს მათთან სასურველი შედეგის მისაღებად;
- 34.6. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება ნებისმიერი ფორმით განზრახ, ცნობიერად ან/და უკანონო ან არაეთიკური გზებით ხელი შეუშალოს სამართალდამცავ ორგანოებს კლიენტის მფლობელობაში არსებული არაკანონიერი გზით მოპოვებული ან მაკომპრომეტირებული მტკიცებულებების მოპოვებაში. აღნიშნული არ შეიძლება განიმარტოს ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნების ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დავალდებულებად.
- 34.7. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება კლიენტს ურჩიოს, წაახალისოს ან ხელი შეუწყოს უკანონო ქმედებების მათ შორის ცრუ ჩვენების მიცემის, მტკიცებულებების განადგურების, გადამალვის, მოწმეზე ზემოქმედების ან სხვა არაკანონიერი ან არაეთიკური ქმედებების განხორციელებაში;
- 34.8. მოწმესთან/დაზარალებულთან კომუნიკაციისას დაუშვებელია ადვოკატმა არასწორად წარადგინოს თავი ან არასწორი წარმოდგენა შექმნას მის სტატუსთან დაკავშირებით ან ამისათვის გამოიყენოს მესამე პირი;
- 34.9. მოწმესთან/დაზარალებულთან კომუნიკაციისას ადვოკატმა არ უნდა გააზვიადოს, დაამძიმოს ბრალდება ან ბრალდებულის მდგომარეობა იმ მიზნით, რომ დააშინოს მოწმე, გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სინამდვილეზე ან სისრულეზე, ან შეეცადოს შეცვალოს მოწმის გადაწყვეტილება ინფორმაციის მიწოდების შესახებ;



34.10. ადვოკატმა არ უნდა ურჩიოს, დააძალოს, წაახალისოს მოწმეს/დაზარალებულს უარი თქვას ბრალდების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, რომლის მიწოდების უფლებაც ამ პირს აქვს;

34.11. ადვოკატს არ აქვს უფლება კლიენტს შესთავაზოს, ურჩიოს ან წაახალისოს არაკანონიერი გზით მოპოვებული ან მაკომპრომეტირებული მტკიცებულებების განადგურება ან თავად დაეხმაროს ამაში;

### 35. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის საფუძველი

35.1. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ სამართლებრივი დოკუმენტი შედგენილ უნდა იქნეს საქმის/კონსულტაციის მასალების საფუძველზე;

35.2. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისას ადვოკატი/კონსულტანტი იყენებს საქმისათვის/კონსულტაციისათვის რელევანტურ მასალებს;

35.3. დაუშვებელია მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის მონათხრობის საფუძველზე სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტს არ აქვს წარდგენილი არავითარი სამართლებრივი დოკუმენტი, უარს აცხადებს მათ წარდგენაზე და დაჟინებულად მოითხოვს მისი მითითების შესაბამისად სამართლებრივი დოკუმენტის ჩამოყალიბებას. ასეთ შემთხვევაში კლიენტს მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტი უნდა გადაეცეს შესაბამისი ხელწერილით (წერილობით), სადაც ასახულ იქნება წინამდებარე გარემოებები და განემარტება მსგავსი ფორმით დოკუმენტის შედგენის რისკები.

35.4. დაუშვებელია სამართლებრივი დოკუმენტების სტანდარტული შაბლონების გამოყენება შესაბამისი საქმის/კონსულტაციის გარემოებებისა და საქმისათვის რელევანტური დასაბუთების მითითების გარეშე;

35.5. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გადასცეს კლიენტს წერილობითი დასაბუთება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საქმესთან არარელევანტურობის შესახებ და ჩამოართვას კლიენტს შესაბამისი ხელწერილი. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს მენტორს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დროულობიდან და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

### 36. სამართლებრივი დოკუმენტის სტანდარტები

36.1. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიცვას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და რეკვიზიტები ასევე



მიუთითოს მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი ყველა საჭირო ფაქტობრივი გარემოება.

36.2. სამართლებრივი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შესაბამის ფაქტობრივ საფუძვლებს, ნათლად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, რელევანტურ სამართლებრივ საფუძველს/კანონის ნორმებს და მოთხოვნის/შუამდგომლობის და ა.შ. დაკმაყოფილებისათვის საჭირო სამართლებრივ დასაბუთებას; სამართლებრივი დოკუმენტი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალოდ კავშირი აქვს მასში დასმულ საკითხთან;

36.3. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისას ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა მიუთითოს ყველა საჭირო დაცვის არგუმენტები, რათა გავლენა მოახდინოს დავის/საკითხის კლიენტის სასარგებლოდ გადაწყვეტის შედეგზე მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ეროვნული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები;

### 37. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენაზე კლიენტისათვის უარის თქმა

37.1. თუ კლიენტმა წარადგინა შესაბამისი ფაქტები, მტკიცებულებები თუმცა, მის მოთხოვნას/ინტერესს არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და ადვოკატს/კონსულტანტს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად სჯერა, რომ კლიენტის მიზნის მიღწევის არავითარი სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობს, მაშინ ის უფლებამოსილია უარი განაცხადოს სამართლებრივი დოკუმენტის შედგენაზე და წერილობით, შესაბამისი ხელმოწერით კლიენტს ჩააბაროს მისი დასაბუთებული პოზიცია. აღნიშნული დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამსახურის დირექტორს;

37.2. დაუშვებელია კლიენტისათვის სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებაზე უარის თქმა თუ დროულობიდან გამომდინარე, დოკუმენტის მომზადებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი უფლებების შეუქცევადი შელახვა ან გასაჩივრების ვადის გაშვება. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი სამართლებრივ დოკუმენტს ამზადებს კლიენტის მითითებების შესაბამისად. ამასთან, კლიენტს დამატებით წერილობით შესაბამისი ხელმოწერით უნდა ჩაბარდეს ადვოკატის/კონსულტანტის დასაბუთებული სამართლებრივი პოზიცია მომზადებული დოკუმენტის არასრულყოფილების/უსაფუძვლობის შესახებ;

37.3. ადვოკატის/კონსულტანტის წერილობითი დასაბუთება კლიენტისათვის სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებაზე უარის თქმის ან მისი მიზნის მიღწევის/მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ საკანონმდებლო დანაწესს, არამედ ასევე სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს დადგენილი სასამართლო პრაქტიკა).

37.4. სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების უსაფუძვლობის შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მოისმინოს მენტორის პოზიცია (თუ საქმის პროცედურა ან სტადია ან დრო ამის საშუალებას იძლევა) და კლიენტს მიაწოდოს ეს ინფორმაცია.



37.5. სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების უსაფუძვლობის შემთხვევაში (36.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა), ადვოკატის/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს მოუმზადოს სამართლებრივი დოკუმენტი მისივე მითითებების შესაბამისად, თუ კლიენტი დაჟინებულად მოითხოვს აღნიშნულს და მას მიუხედავად დეტალური განმარტებებისა გულწრფელად სჯერა, რომ მის მოთხოვნას/პოზიციას აქვს წარმატების პერსპექტივა და მისი აღქმით ეს არის მართლმსაჯულებაზე წვდომისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის წინაპირობა. ამასთან, კლიენტს უნდა მიეწოდოს დასაბუთებული დასკვნა მისი მიზნის/მოთხოვნის უპერსპექტივობის/უსაფუძვლობის შესახებ და ჩამოერთვას ხელწერილი ამ პუნქტით დადგენილი წესით.

### 38. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის/შეჩერება

38.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დროულად და სათანადოდ განახორციელოს ყველა ქმედებები, რაც დაკავშირებულია ადვოკატთა ასოციაციის წევრობასთან;

38.2. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სამსახურს, კლიენტს და დაუყოვნებლივ მიიღოს სათანადო ზომები კლიენტის უფლებების დასაცავად;

### 39. კლიენტის უარი წარმომადგენლობაზე

39.1. საზოგადოებრივი ადვოკატის წარმომადგენლობაზე კლიენტის უარის თქმის შემთხვევაში (როდესაც საკითხი არ ეხება კონკრეტული ადვოკატის მიმართ პრეტენზიას არამედ ზოგადად საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში მონაწილეობაზე უარს), როდესაც კანონით გათვალისწინებულია სავალდებულო წარმომადგენლობა ან/და ადვოკატი დანიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადვოკატი ვალდებულია შეხვდეს კლიენტს და დეტალურად განუმარტოს მისი გადაწყვეტილების შედეგები და კეთილსინდისიერად დარწმუნდეს, რომ კლიენტს ესმის მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მისი შედეგები. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ჩამოართვას შესაბამისი ხელწერილი და განათავსოს საქმეში;

39.2. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქმე იხილება სასამართლოში, ადვოკატი ვალდებულია სასამართლოში წარადგინოს კლიენტის მოთხოვნა ადვოკატის აცილებაზე შესაბამისი საფუძვლით;

39.3. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ არსებობს სამსახურის სხვა ადვოკატის ჩართვის საჭიროება, მაშინ საქმის მწარმოებელი ადვოკატი ვალდებულია აცნობოს სამსახურს აღნიშნულის შესახებ და მოახდინოს საქმის გადაბარება წინამდებარე სტანდარტებითა და სამსახურის შიდა აქტებით დადგენილი წესით;



39.4. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ კლიენტის მოთხოვნა წარმოადგენს თვითნებობას, უფლების ბოროტად გამოყენებას ან/და მიზნად ისახავს მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას და არ არსებობს ადვოკატის აცილების საფუძველი, მაშინ საქმის მწარმოებელი ადვოკატი ვალდებულია გააგრძელოს წარმომადგენლობა წინამდებარე სტანდარტების შესაბამისად და განახორციელოს ობიექტურად შესაძლებელი ყველა ქმედება;

39.5. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოება არ მიმდინარეობს სასამართლოში, მაშინ ადვოკატი ვალდებულია მიმართოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და იმოქმედოს მისი გადაწყვეტილების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატი ვალდებულია გააგრძელოს წარმომადგენლობა წინამდებარე სტანდარტების შესაბამისად და განახორციელოს ობიექტურად შესაძლებელი ყველა ქმედება; ამასთან, აღნიშნული საკითხი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დირექტორს და საქმის მწარმოებელ ორგანოს/პირს;

#### 40. საქმესთან დაკავშირებულ აქტივობებში დისტანციურად მონაწილეობის წესი

40.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია სასამართლო პროცესებსა თუ საგამომიებო, საპროცესო თუ სხვა ღონისძიებებში ან მოქალაქეებთან დისტანციურად მონაწილეობისას ამ მოქმედებებში/ღონისძიებებში ჩაერთოს სამუშაო გარემოდან (მათ შორის სამსახურიდან ან სხვა შენობიდან);

40.2. დაუშვებელია დისტანციურად მონაწილეობა პარკებიდან/გასართობი ცენტრებიდან/ადგილებიდან, ტრანსპორტიდან ან სხვა მსგავსი არასამუშაო ადგილიდან;

#### 41. იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ინფორმაციის ასახვა

41.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემაში (case-bank) სამსახურის აქტებით დადგენილ ვადებში და წესით შეიყვანოს საქმის/კონსულტაციის მონაცემები, საჭირო ინფორმაცია და ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

41.2. ადვოკატი ვალდებულია საქმის კოდი (court.ge) მიუთითოს იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank).

#### 42. კლიენტისა და სხვა უწყებების ინფორმირება შვებულების გამოყენებისას

42.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს, სასამართლოს ან სხვა ორგანოს/ორგანიზაციას/დაწესებულებას, სადაც საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს წარმოება, მიაწოდოს ინფორმაცია შვებულებაში ყოფნის პერიოდისა და ამ პერიოდში ნებისმიერი კომუნიკაციის შესაბამისი იურიდიული დახმარების ბიუროს სახელზე



გაგზავნის შესახებ, ან მიაწოდოს მათ მისი ფუნქციების შემსრულებელი ან/და მორიგე ადვოკატის/კონსულტანტის ვინაობა (არსებობის შემთხვევაში);

42.2. ადვოკატის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება ეკისრება ფუნქციების შემსრულებელ ადვოკატს/კონსულტანტს ან მორიგეს ან ვინც საქმე მიიღო საწარმოებლად;

42.3. ადვოკატი ვალდებულია შვებულების/დეიოფის გამოყენებისას საქმის მასალები დატოვოს მოწესრიგებული (შიდა აქტებით დადგენილი წესით) ასევე შეიყვანოს იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ყველა არსებული ინფორმაცია მათ შორის დაგეგმილი აქტივობები და ა.შ.;

#### 43. მედიასთან/სოციალურ მედიაში კომუნიკაციის ფორმა

43.1. მედიასთან ადვოკატის კომუნიკაციას კოორდინაციას უწევს სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

43.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია არ დაუშვას მედიასთან/სოციალურ მედიაში პირდაპირი კომუნიკაცია სამსახურებრივ საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმირებისა და ჩართულობის გარეშე;

43.3. გამონაკლის შემთხვევებში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია სამსახურებრივ საკითხებზე მედიასთან (მათ შორის სოციალურ მედიასთან) ნებისმიერი წინასწარ დაუფგეგმავი კომუნიკაციის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს;

#### 44. მედიასთან/სოციალურ მედიაში კომუნიკაციის ზოგადი წესი

44.1. მედიასთან/სოციალურ მედიაში კომუნიკაციისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მოიქცეს საქმიანად, თავაზიანად, კორექტულად, კეთილსინდისიერად, ღირსეულად დაიცვას კლიენტის ინტერესები და სამსახურის იმიჯი;

44.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მედიასთან/სოციალურ მედიაში კომუნიკაციისას თავი შეიკავოს სამსახურის, კოლეგების ასევე იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა შეურაცხყოფელი კრიტიკისაგან;

44.3. ადვოკატს/კონსულტანტს აქვთ უფლება გააკეთონ კომენტარი საზოგადოებაში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა, კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ფარგლებს და დაცული უნდა იქნეს ბალანსი საზოგადოების ინტერესს – მიიღოს ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესსა და იურიდიული პროფესიის ღირსებას შორის;



44.4. თუ ადვოკატი საუბრობს საქმის განხილვის პროცესში არსებულ დარღვევებზე, მაშინ მას წარდგენილი უნდა ჰქონდეს შესაბამის ორგანოებში კანონმდებლობითა და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი განცხადებები/შუამდგომლობები;

#### 45. საქმესთან დაკავშირებით მედიასთან/სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელება

45.1. ადვოკატს აქვს უფლება კლიენტის დაცვა განახორციელოს მედიის საშუალებით მართლმსაჯულების პროცესში მიმდინარე დარღვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებით. ამასთან, დაუშვებელია ადვოკატმა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე გააკეთოს განცხადებები, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ სცდება კომენტარისათვის დასაშვებ ფარგლებს, ან მიმართოს შეურაცხყოფას;

45.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მედიასთან/სოციალურ მედიაში მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაციისას ან/და სამართლებრივ საკითხზე კომენტარის (კომენტარში იგულისხმება მათ შორის სოციალურ ქსელში მოწონება, გაზიარება, და ნებისმერი სხვა ფორმით მხარდაჭერის გამოხატვა) გაკეთებისას დაიცვას ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნები მათ შორის ინფორმაციის კონფიდენციალობა, ასევე არ დაუშვას მომავალში ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევები წინასწარ დაფიქსირებული პოზიციისა თუ გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე;

45.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია თავი შეიკავოს სოციალურ მედიაში მესამე პირთან კომუნიკაციისაგან, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, რათა შემდგომ არ დადგეს დღის წესრიგში კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებისა თუ სხვა ეთიკური ვალდებულებების დარღვევის საფრთხეები (აღნიშნული არ ვრცელდება კონსულტანტების მიერ სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე სოციალურ მედიაში კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევაზე);

45.4. დაუშვებელია სამუშაო გარემოში გადაღებული სურათების ან სასამართლოს აქტების ან საქმის მასალების სოციალურ მედიაში ან სხვადასხვა პლატფორმებზე ონლაინ განთავსება, თუ შესაძლებელია საქმის გარემოებების ან პირთა პერსონალური მონაცემების პირდაპირი ან არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან ეს ლახავს სამსახურის იმიჯს ან სამუშაო გარემოს შესახებ საზოგადოებას უქმნის არასწორ წარმოდგენებს.

45.5. დაუშვებელია სოციალურ მედიაში სხვისი სახელის გამოყენება წინამდებარე დებულებების თავის არიდების მიზნით;

### **თავი VII. სტანდარტი 3. აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების/არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ადვოკატირება**

#### 1. გამოყენების სფერო



ადვოკატი ვალდებულია წინამდებარე თავით დადგენილი სტანდარტები გამოიყენოს როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში;

2. ადვოკატის ვალდებულებები აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების/არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის

2.1. ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს აქტიური ადვოკატირება ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების, მის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. ამისთვის, ადვოკატი ვალდებულია:

ა) მოიძიოს ყველა საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულება, მათ შორის კლიენტის პიროვნული მახასიათებელი - (ბრალდებულის პიროვნება, მის საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ.) მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოებები ასევე კლიენტის მიმართ წამების/არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული ფაქტები;

ბ) კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების ან კლიენტის მდგომარეობის შესაფერისი/მისთვის მისაღები არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის;

გ) კლიენტის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების ან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

დ) ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, ასევე, წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმება ან შეცვლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით;

ე) ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების არსებობისას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები;

2.2. დაცვის წარდგენისას ადვოკატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს პატიმრობის როგორც უკანასკნელი ღონისძიების გამოყენებისა და ამისათვის, ბრალდების მხარის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებაზე;

2.3. წამების/არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია მოამზადოს შესაბამისი შუამდგომლობა და მოითხოვოს კლიენტის დაუყოვნებლის გათავისუფლება;

### 3. საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ადვოკატის ვალდებულებები

საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, ვალდებულია სასამართლოსა და შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის სპეციალური სამედიცინო, ფსიქიატრიული, რელიგიური, დიეტური, უსაფრთხოების ან სხვა განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ;

### 4. პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრება

ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, ვალდებულია საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის შესახებ განჩინება გაასაჩივროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

### 5. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შენარჩუნება

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტს დეტალურად უნდა აუხსნას ამ ღონისძიების გამოყენების, ასევე, მისი დარღვევის, სასამართლოში არ გამოცხადების შედეგები;

## **თავი VII. სტანდარტი 4. საქმის დამოუკიდებელი გამოძიება**

### 1. საქმის გამოძიება

1.1. ადვოკატი ვალდებულია საქმეზე (სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, არსებობისას საკონსტიტუციო) აწარმოოს დამოუკიდებელი გამოძიება;

1.2. ადვოკატი ვალდებულია საქმეზე გამოძიება აწარმოოს საფუძვლიანად, სიღრმისეულად და შემოქმედებითად მიუდგეს ამ პროცესს;

1.3. ადვოკატი ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის ყველა მიმართულება, რომელსაც გონივრულად შესაძლოა მიჰყავდეს ადვოკატი კლიენტის პოზიციის სასარგებლოდ საქმისათვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებამდე და მოიპოვოს ეს მტკიცებულებები;

1.4. საქმის გამოძიება მოიცავს:



ა) ბრალდებაში/სარჩელში/შესაგებელში მითითებული ფაქტების/სამართლებრივი საფუძვლების გამოძიებას. მათ შორის, ბრალდების/მოსარჩელის/მოპასუხის/მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებას, შეუსაბამობების აღმოჩენას, ალტერნატიული თეორიის მოძიებას, ექსპერტის დასკვნის გაანალიზებას/შეფასებას/გაბათილებას, გამამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა/არარსებობის შეფასებას, სარჩელის/შესაგებლის დაკმაყოფილების/არდაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების მოძიებას, სამართლებრივი პოზიციის შეფასებას და ა.შ.;

ბ) ბრალდებულისაგან/მოსარჩელისაგან/მოპასუხისაგან/მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციისგან დამოუკიდებლად, ფაქტებისა და მტკიცებულებების მოპოვებას (მათ შორის მოწმეების მოძიებას, სხვადასხვა ორგანოებიდან ინფორმაციის გამოთხოვას და ა.შ.), სამართლებრივი შეფასებების გაკეთებას;

## 2. საქმეზე გამოძიების დაწყება

2.1. ადვოკატმა გამოძიება უნდა დაიწყოს საქმის გადაცემისთანავე დაუყოვნებლივ ან თუ ეს ობიექტურად შეუძლებელია და არ არღვევს კლიენტის ინტერესებს გონივრულ ვადაში;

2.2. ადვოკატმა გამოძიებისათვის საჭირო ღონისძიებები უნდა განახორციელოს იმ ფორმითა და ვადებში, რომ შესაძლებელი იყოს საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში მათი წარდგენა/გამოყენება კლიენტის უფლებების დასაცავად;

## 3. საქმეზე გამოძიების წარმოების ფორმა

3.1. საქმის გამოძიებისას ადვოკატი არ უნდა მოერიდოს ისეთი ქმედებების განხორციელებას ან ტაქტიკის გამოყენებას, რომელიც აქამდე არ გამოუყენებია ან გამოცდილება არ აქვს ან ამან შესაძლოა გამოიწვიოს კრიტიკა ან უკმაყოფილება, თუ გამოძიების ეს ქმედებები/ტაქტიკა კლიენტის დაცვისათვის სასარგებლოა;

3.2. ადვოკატის ვალდებულია გამოკვლიოს გზები არა მხოლოდ საქმის შეწყვეტისათვის ან ბრალდებულის გამართლებისათვის, არამედ თუ ეს საჭიროა კვალიფიკაციის შესაცვლელად/შესამსუბუქებლად ან სასჯელის შესამცირებლად;

3.3. ადვოკატი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბრალდებულის დაკავების ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებებს და დეტალურად შეისწავლოს ისინი;

3.4. საქმის გამოძიებისას ადვოკატმა უნდა შეაგროვოს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები, რისთვისაც ადვოკატი უნდა გაეცნოს კლიენტის წარსულს, პიროვნულ მახასიათებლებს, მის გარემოს და ა.შ.

შესახებ, მოიკვლიოს ყველა საჭირო მტკიცებულება, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს სასჯელის ზომაზე;

3.5. სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის გამოძიებისას, ადვოკატი ვალდებულია გამოკვლიოს გზები არა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის/შესაგებლის არ გაზიარებისათვის ასევე კლიენტის მოთხოვნის ნაწილობრივ რეალიზაციისათვის, ასევე კლიენტის პოზიციის შესაბამისად სარჩელის განუხილველად დატოვების, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან საქმის შეწყვეტისათვის;

3.6. სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის გამოძიებისას ადვოკატმა უნდა შეაგროვოს ინფორმაცია კლიენტის წარსულის, პიროვნულ მახასიათებლების, მის გარემოს, ემოციური მდგომარეობის და ა.შ. შესახებ და მოიკვლიოს ყველა საჭირო მტკიცებულება, რომელმაც საქმის სპეციფიკის მიხედვით შესაძლოა გავლენა მოახდინოს კლიენტის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაზე;

3.7. ადვოკატი ვალდებულია გაეცნოს საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას, საჭიროების შემთხვევაში ან/და დროის რესურსიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და სხვა შესაბამის ეროვნულ თუ საერთაშორისო აქტებს.

#### 4. მოწმის/დაზარალებულის ჩვენების შესწავლა, მოწმეთა მოძიება

4.1. საქმის გამოძიებისას ადვოკატი ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთა ჩვენებები, გაანალიზოს მოწმეთა სანდოობა, მათი საქმესთან კავშირი და სხვა რელევანტური ინფორმაცია;

4.2. ადვოკატი ვალდებულია კლიენტისაგან ან სხვა ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიიღოს ინფორმაცია შესაძლო მოწმეების შესახებ და განახორციელოს მათი მოძებნა და გამოკითხვა;

#### 5. მოწმეებთან/დაზარალებულთან ურთიერთობა

5.1. ადვოკატს უფლება აქვს შეხვდეს ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის მოწმეს ასევე დაზარალებულს საქმეზე დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისათვის;

5.2. თუ მოწმეს/დაზარალებულს ჰყავს წარმომადგენელი/ადვოკატი და ამის შესახებ ადვოკატმა იცის მაშინ დაუშვებელია მოწმესთან/დაზარალებულთან შეხვედრა მისი ადვოკატის მონაწილეობის გარეშე;

5.3. ადვოკატი არ არის ვალდებული მოწმეს/დაზარალებულს განუმარტოს მისი უფლებები, მათ შორის თვითინკრიმინების შესახებ. თუმცა, ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის წესები განსაკუთრებით, როდესაც მოწმე/დაზარალებული არ არის წარმოდგენილი ადვოკატით;



## 6. ადგილზე დათვალიერება

6.1. დანაშაულის სპეციფიკისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატი ვალდებულია მოახდინოს დანაშაულის ადგილის დათვალიერება;

6.2. დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას უნდა გამახვილდეს ყურადღება ყველა იმ სპეციფიკურ საკითხზე, რომელიც შესაძლოა ბრალდების მხარის მიერ არ იქნეს მითითებული მტკიცებულებებში ან მათი არსებობა გამორიცხავს ან აბათილებს წარდგენილ მტკიცებულებებს;

## 7. საგამომიებო ექსპერიმენტი

7.1. ადვოკატი ვალდებულია ჩაატაროს საგამომიებო ექსპერიმენტი, თუ ერთი შეხედვითაც კი ნათელია (*prima facie*), რომ ექსპერიმენტის ჩატარება გააბათილებს/უარყოფს ბრალდების მხარის მიერ წადგენილ ბრალდებას/მტკიცებულებას;

7.2. სხვა შემთხვევაში, საგამომიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს საქმის გარემოებებიდან ან/და ბრალდებისა და მტკიცებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე;

## 8. ექსპერტის დასკვნა

8.1. ადვოკატი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს საქმეში არსებულ ექსპერტის დასკვნას, არა მხოლოდ დასკვნით ნაწილს არამედ დასკვნას სრულად;

8.2. ექსპერტის დასკვნის გაცნობისას ადვოკატი ვალდებულია შეაფასოს დასკვნა არა როგორც ობიექტური ჭეშმარიტება არამედ შეხედოს მას სკეპტიკურად და გაანალიზოს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი. მათ შორის, ექსპერტის კვალიფიკაცია, უნარები, გამოცდილება, გადამზადება, სანდოობა, კავშირები/აფილიაცია, დამოუკიდებლობა, რეპუტაცია, დასაბუთება, გამოყენებული ფაქტები/მტკიცებულებები/ინფორმაცია, გამოყენებული მეთოდი, მისი აღიარება/მიმღებლობა და ა.შ. და წარადგინოს შესაბამისი მოსაზრება;

8.3. ადვოკატი ვალდებულია ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებისას გაითვალისწინოს ამთავის 8.2. ქვეპუნქტში მითითებული საკითხები, რათა ეს შემდგომ არ იქნეს გამოყენებული ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის მიერ კლიენტის საწინააღმდეგოდ;

8.4. ადვოკატმა სასამართლოს ან შესაბამის ორგანოს სადაც საქმე იხილება, უნდა მიაქცევინოს ყურადღება, რომ პირის ექსპერტად მიჩნევისათვის გაითვალისწინოს მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, განათლება, გადამზადება და ა.შ. თუ:

ა) ექსპერტის სამეცნიერო, ტექნიკური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება სასამართლოს მტკიცებულების გაგებასა ან ფაქტების დადგენაში;

- ბ) ექსპერტის ჩვენება ეფუძნება საკმარის ფაქტებსა და მონაცემებს;
- გ) ექსპერტის ჩვენება არის საიმედო პრინციპებისა და მეთოდების შედეგი;
- დ) ექსპერტმა სათანადოდ შეუსაბამა პრინციპები და მეთოდები საქმის გარემოებებს.

## 9. არაკანონიერი ან მაკომპრომეტირებელი მტკიცებულებები

თუ საქმის გამოძიების დროს ადვოკატისათვის ცნობილი გახდა, რომ კლიენტი ფლობს არაკანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებებს (მაგალითად კონტრაბანდა, მოპარული საკუთრება და ა.შ.), ან მაკომპრომეტირებელ მტკიცებულებებს, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს განუმარტოს ამ მტკიცებულებების სათანადო ორგანოებისათვის კანონიერად გადაცემის პროცედურა და აღნიშნულის შედეგები; ამასთან, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტისა და ადვოკატის ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპი;

## 10. კლიენტთან კომუნიკაცია საქმის გამოძიებისას

ადვოკატი ვალდებულია საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის, მტკიცებულების, ინფორმაციის შესახებ აცნობოს კლიენტს და მასთან ერთად შეათანხმოს შემდგომი მოქმედების გეგმა და სტრატეგია;

### **თავი IX. სტანდარტი 5. საქმეზე სათანადოდ მომზადება**

#### 1. საქმეზე მომზადება

1.1. ადვოკატი ვალდებულია საფუძვლიანად, სათანადოდ, დროულად და სრულყოფილად მოემზადოს საქმის წარმოებისათვის;

1.2. ადვოკატი საქმეზე სათანადოდ არის მომზადებული, თუ ადვოკატს ამ სტანდარტებით დადგენილი წესით, ჰქონდა კლიენტთან კომუნიკაცია, აქვს და აწარმოებს საქმის მასალებს, იცნობს საქმის მასალებს, საკმარისი დრო დაუთმო საქმის მასალების გაცნობას, ჩატარებული აქვს დამოუკიდებელი გამოძიება, მოპოვებული აქვს ყველა საჭირო მტკიცებულება, განხორციელებული აქვს საქმეში ექსპერტის/სპეციალისტის ჩართულობა (საჭიროების შემთხვევაში) გაანალიზებული აქვს საქმის პერსპექტივები/ალტერნატივები, სამართლებრივი რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა, შეთანხმებული აქვს კლიენტთან საქმის წარმართვის სტრატეგია, მათ შორის განსახორციელებელი ქმედებები;

#### 2. საქმის მასალების წარმოების წესი

2.1. იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების განხორციელებისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს საქმის მასალების მიღება, შეგროვება, შენახვა, დაარქივება, კლიენტისათვის დოკუმენტების დაბრუნება და საჭიროების შემთხვევაში



საქმის მასალების სხვა ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის გადაცემა წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი წესით.

2.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმის მასალები შეინახოს მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით მოპოვებული მასალები საქმეს უნდა დაერთოს ელექტრონული ფორმით;

2.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია აწარმოოს საქმის მასალები, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ძირითადი წესებისა" და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ სამსახურის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად;

2.4. საქმეში, დოკუმენტების აღრიცხვა უნდა განხრციელდეს ადვოკატის მიერ მიღებული/შექმნილი დოკუმენტების ქრონოლოგიური აღრიცხვით შესაბამის ფოლდერში;

2.5. საქმე უნდა იყოს გადანომრილი, აკინძული და უნდა შეიცავდეს სარჩევს. საქმის სარჩევში უნდა შევიდეს დოკუმენტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და ფურცლების ოდენობის მითითებით. ფოლდერს უნდა ჰქონდეს აღნიშვნა შესაბამისი საქმის შესახებ, კლიენტის სახელის, გვარისა და იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (case-bank) მიერ მინიჭებული საქმის ნომრის მითითებით;

2.6. საგამოძიებო ან სხვა ორგანოებიდან, სასამართლოდან მიღებული დოკუმენტები, თუ ისინი შეიცავს შესაბამის ნუმერაციას, არ საჭიროებს დამატებით გადანომრვას და სარჩევში აისახება ერთი ნუმერაციით, დამატებითი გადანომრვის გარეშე;

2.7. ელექტრონული დოკუმენტები საქმეში უნდა ჩაიდოს შესაბამისი დისკით ან სხვა ელექტრონული ინფორმაციის მატარებლით. ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს უნდა ერთვოდეს თავფურცელი სადაც მითითებული იქნება ელექტრონულად განთავსებული ინფორმაციის ჩამონათვალი.

2.8. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის (eflow) საშუალებით მიღებული ნებისმიერი საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტი უნდა ჩაიდოს საქმეში შესაბამისი ქრონოლოგიის დაცვით;

2.9. საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეპირი კომუნიკაცია, თუ მას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მათ შორის ხმოვანი მესიჯები და სატელეფონო კომუნიკაციები უნდა დაოქმდეს და ჩაიდოს საქმეში (სატელეფონო საუბრის დაოქმების ანგარიში/ფორმა). ოქმში



შინაარსობრივ მხარესთან ერთად უნდა მიეთითოს კომუნიკაციის კონკრეტული თარიღი, დაწყებისა და დასრულების დრო;

### 3. საქმის მასალები

#### 3.1. საქმის მასალები მოიცავს:

- ა) ნებისმიერ დოკუმენტს ან/და მასალას, მატერიალურს თუ ელექტრონულს, რომელიც ადვოკატს/კონსულტანტს საქმის მიმდინარეობისას მიაწოდა კლიენტმა ასევე კლიენტისათვის ყველა არსებითად მნიშვნელოვან/ღირებულ დოკუმენტს, რომლებიც კლიენტმა მიანდო ადვოკატს, მათ შორის ანდერძი, სანოტარო აქტები, საკუთრების მოწმობები, ხელშეკრულებების დედნები, მინდობილობები და ა.შ. ამ საქმისთვის მათი მნიშვნელობის მიუხედავად;
- ბ) ნებისმიერ მატერიალურ თუ ელექტრონულ დოკუმენტს/კორესპონდენციას, რომელიც ეხება საქმეს და წარდგენილია სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ან სხვა ორგანოში ან მიღებულია სასამართლოდან/პროცესის მწარმოებელი ან სხვა ორგანოდან, მოწინააღმდეგე მხარისგან, მოწმისგან (მათ შორის ყველა საგამომიებო დოკუმენტი, ფოტომასალა, დისკი, ჩანაწერი, ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ხმოვანი მესიჯები და სატელეფონო კომუნიკაციები, რომლებიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას ან შეტყობინებას ან სხვა მტკიცებულებას, რომელიც გადაეცემა ადვოკატს/კონსულტანტს კანონით დადგენილი წესით ან მოპოვებული იქნება ადვოკატის მიერ) მათ შორის საქმეზე შემაჯამებელი დოკუმენტი;
- გ) ადვოკატის/კონსულტანტის სამუშაო პროდუქტის ასლები ანუ დოკუმენტები, რომლებიც მომზადდა ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ან მისი დავალებით სხვა პირის (სტაჟიორი და ა.შ.) მიერ, კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მისი წარმომადგენლობის პროცესში (მათ შორის სარჩელის/შესაგებლის, განცხადების, შუამდგომლობის, წერილის, საქმიდან აცილების შუამდგომლობა, პროცესისათვის/საპროცესო/საგამომიებო და სხვა მოქმედებში მონაწილეობისათვის მომზადებული დოკუმენტები და ა.შ. პროექტები ასევე სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული კვლევები, მოწმეების გამოკითხვის ოქმები, მოლაპარაკების, მორიგების, საპროცესო შეთანხმების დოკუმენტები და ა.შ.);
- დ) საქმის მასალების მიღების/გადაცემის ხელწერილი; კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი; კლიენტისათვის „მომსახურეობის პირობების“ ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი; კლიენტის საქმის მასალების სხვა ადვოკატისათვის/ბიუროს უფროსისათვის გადაცემის ხელწერილი; საქმიდან დოკუმენტის (დედნის) ამოღების ფორმა; საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების/საქმის მასალების განადგურების თანხმობის ფორმა; კერძო ადვოკატისათვის საქმის მასალების გადაცემის ხელწერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კლიენტთან ნებისმიერი კომუნიკაციის წერილობითი დოკუმენტი მათ შორის კლიენტის ხელწერილი გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გასაჩივრებაზე ან/და საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ, საზოგადოებრივი ადვოკატის წარმომადგენლობაზე უარის თქმისა და აღნიშნულის შედეგების



განმარტების შესახებ და სხვა კლიენტის მიერ მომსახურეობასთან დაკავშირებით ან ამ სტანდარტებით გათვალისწინებულ სხვა საკითხზე შედგენილი ხელწერილები;

ე) საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე დაყენებული წერილობითი შუამდგომლობების ასლები;

ვ) სასამართლო სხდომის ოქმები;

3.2. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ მომზადებული ერთი და იმავე დოკუმენტის რამდენიმე განსხვავებული პროექტი არ შედის საქმის მასალებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ დასრულებულა ამ პროექტის მომზადება და საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. დოკუმენტის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბების შემდგომ ადვოკატი არაა ვალდებული შეინახოს სხვადასხვა სამუშაო ვერსიები და საქმეში უნდა განთავსდეს მხოლოდ დოკუმენტის საბოლოო ვერსია;

3.3. ადვოკატის/კონსულტანტის პირადი ჩანაწერები არ წარმოადგენს საქმის მასალებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ჩანაწერი არის ერთადერთი დოკუმენტი მოწმეების გამოკითხვის, მოლაპარაკებების წარმოების, ბრალდების მხარესთან კომუნიკაციის ან მსგავსი აქტივობების. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია განათავსოს ისინი საქმის მასალებში, თუ მათ არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის;

3.4. საქმის მასალები არ მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ადვოკატის/კონსულტანტის საძიებო დოკუმენტებს, ასევე დოკუმენტებს სამსახურთან ლოჯისტიკურ საკითხების გარკვევის შესახებ (საქმესთან კავშირის მიუხედავად) და ადვოკატი/კონსულტანტი არ არის ვალდებული ისინი განათავსოს კლიენტის საქმის მასალებში.

3.5. სასამართლო პროცესზე მიღებული-გაცვლილი მასალები ან სასამართლოში მომზადებული და ჩაბარებული მასალები ასევე მხარეებთან ელექტრონული ან სხვა მიმოწერები ან/და კორესპონდენციის (უწყების, გადაწყვეტილების) ჩაბარების ამსახველი დოკუმენტები ან/და საქმის ელექტრონული კოდი (რომლითაც შესაძლებელია სასამართლოს პორტალზე საქმის მასალების ნახვა) უნდა აისახოს იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემაში (case-bank);

#### 4. საქმის მასალების შენახვა საქმის მიმდინარეობისას

4.1. საქმის მიმდინარეობისას საქმის მასალები ინახება ადვოკატის/კონსულტანტის სამუშაო ოთახში კანონით დადგენილი ინფორმაციის დაცვის წესით;

4.2. საგამოძიებო/საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას/სასამართლოში საქმის განხილვისას საქმის მასალების საჭიროების ან/და სხვა აუცილებელ შემთხვევათა გარდა, იკრძალება კლიენტის საქმის მასალების სამსახურის შენობიდან გატანა. აუცილებლობის

აღმოფხვრისთანავე ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმის მასალები დააბრუნოს შესაბამის ბიუროს შენობაში/საკონსულტაციო ცენტრში;

4.3. საქმის მასალების სამსახურის შენობიდან გატანის შემთხვევაში, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მასალების გამოყენება იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს კონფიდენციალური ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და საქმის გარემოებები გამჟღავნებისაგან;

## 5. საქმის მასალების შენახვა საქმის დასრულების შემდგომ

5.1. საქმის/კონსულტაციის დასრულებისთანავე, არაუგვიანეს საქმის დასრულებიდან 14 სამუშაო დღის ვადაში ადვოკატმა უნდა განხორციელდეს საქმის დახურვა და განსაზღვროს თუ რა სახის მასალები უნდა დაუბრუნდეს კლიენტს;

5.2. საქმის დახურვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წინამდებარე თავით დადგენილი წესით ნაწარმოები საქმე/კონსულტაცია შესანახად უნდა გადაეცეს საქმისწარმოების სამმართველოს;

5.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შეინახოს საქმის შენახვის/დაარქივების ხელწერილი/ფორმა და ატვირთოს ის იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank).

## 6. საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნება

6.1. თუ საქმის წარმოების მიმდინარეობისას კლიენტი მოითხოვს ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის გადაცემული საქმის მასალების ან დედნების დაბრუნებას, მაშინ მოთხოვნილი დოკუმენტების ასლები რჩება საქმეში, ხოლო კლიენტის მიერ მიწოდებული მასალები, დედნები უბრუნდება კლიენტს, რასთან დაკავშირებითაც დგება შესაბამისი ხელწერილი, რაზეც კლიენტი აწერს ხელს;

6.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმის მიმდინარეობისას ან საქმის დახურვის შემდეგ ანდერძი, სანოტარო აქტები, საკუთრების მოწმობები, ფასიანი ქაღალდები, ხელშეკრულების დედნები, მინდობილობები და ა.შ. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ან თავისი ინიციატივით დაუბრუნოს კლიენტს და საქმეში განათავსოს დოკუმენტის ასლები;

6.3. თუ კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნება ობიექტურად შეუძლებელია (კლიენტმა შეიცვალა საკონტაქტო მონაცემები და მასთან დაკავშირება ობიექტურად შეუძლებელია ან არსებობს სხვა ობიექტური მიზეზები) ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დოკუმენტების დედნები (ანდერძი, სანოტარო აქტები, საკუთრების მოწმობები, ფასიანი ქაღალდები, ხელშეკრულების დედნები, მინდობილობები და ა.შ.) განათავსოს საქმეში.

## 7. საქმის მასალების გადაცემა კერძო ადვოკატისათვის



თუ საქმეში ჩაერთო კერძო ადვოკატი, მისთვის საქმის მასალების გადაცემისას (ისეთი საქმის მასალები, რომელთა მიღებაც სხვა ორგანოებიდან ახალ ადვოკატს არ შეუძლია) ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაიტოვოს საქმის მასალების ასლები და შეინახოს/დააარქივოს ისინი ამ სტანდარტებითა და სამსახურის შიდა აქტებით დადგენილი წესით. კერძო ადვოკატისათვის საქმის მასალების გადაცემის შემთხვევაში, საქმის მასალების გადაცემის ხელწერილი უნდა ჩაიდოს საქმის მასალებში.

## 8. საქმიდან აცილება

8.1. კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ჩამოშორდეს საქმეს კანონმდებლობითა და ამ სტანდარტებით დადგენილი წესით;

8.2. აცილების წინაპირობების არსებობისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმიდან აცილების შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ან სამსახურის დირექტორს ამ სტანდარტებით დადგენილი წესით;

8.3. აცილების შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტამდე, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია განახორციელოს სამართლებრივი მომსახურეობა დადგენილი წესით;

8.4. ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა საფუძვლით საქმის აცილების წინაპირობების არსებობისას ადვოკატი ვალდებულია შეხვდეს კლიენტს და განუმარტოს აღნიშნული საფუძველი, საქმიდან ადვოკატის აცილების შედეგები, კლიენტის უფლებები და ჩამოართვას ხელწერილი გარდა იმ შემთხვევისა, თუ აცილება ხორციელდება სასამართლოს მიერ ან დისციპლინური წარმოების ან ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ საკითხის შესწავლის დაწყების მოტივით;

## 9. საქმის მასალების გადაბარება საქმიდან აცილებისას

9.1. საქმიდან ჩამოცილების შემთხვევაში ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ამ თავით დადგენილი წესით ნაწარმოები საქმის მასალები გადასცეს საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტს სხვა ადვოკატისათვის გადასაცემად;

9.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შეინახოს საქმის აცილების ან სხვა საფუძვლით საქმიდან ჩამოცილებისას საქმის მასალების გადაცემის ფორმა და ატვირთოს ის იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank).

## 10. საქმეთა დროებით გადაბარება

10.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შვებულებაში გასვლისას (დეიოფის გამოყენებისას თუ ეს შესაძლებელია) მის წარმოებაში არსებული საქმეები სამსახურში დატოვოს ამ სტანდარტებით დადგენილი წესების დაცვით (შეკეროს, გადანომროს და ა.შ.);

10.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შვებულებაში გასვლისას (დეიოფის გამოყენებისას თუ ეს შესაძლებელია) ბიუროს ხელმძღვანელს წარუდგინოს ანგარიში მიმდინარე საქმეების შესახებ შინაგანაწესით დადგენილი წესით.

## 11. საქმის წარმართვის სტრატეგია

11.1. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმეზე შეიმუშავოს კლიენტის ინტერესების მიღწევის ეფექტური და ყოვლისმომცველი სტრატეგია (კლიენტის სასარგებლოდ საქმის დასრულების კონკრეტული შედეგი, მისი მიღწევისათვის განსახორციელებელი მოქმედებები, საშუალებები და ვადები) ასევე გაანალიზოს საქმის კლიენტის სასარგებლოდ დასრულების ალტერნატივები და შეარჩიოს საუკეთესო გზა;

11.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია საქმის წარმართვის სტრატეგია განსაზღვროს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად (მათ შორის პირადი მიკერძოებული შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად) მხოლოდ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და მასთან შეთანხმებით;

11.3. ადვოკატს/კონსულტანტს არ აქვს უფლება შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

11.3.1. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა გამოიჩინოს ეფექტური კომუნიკაციისა და სხვა საჭირო უნარები და დროის ეფექტური მენეჯმენტი საქმეზე სტრატეგიის შემუშავებისა და მისი წარმართვისას;

11.3.2. დაუშვებელია საქმის წარმართვის სტრატეგია გულისხმობდეს ადვოკატის/კონსულტანტის უფლებას/ვალდებულებას არ განახორციელოს წინამდებარე სტანდარტებით დადგენილი ვალდებულებები ან/და არ განახორციელოს არანაირი აქტივობები/ქმედებები საქმეზე;

## 12. ადვოკატის მიერ საქმის წარმოების დასრულება

12.1. ადვოკატის მიერ საქმის წარმოება დასრულებულად ითვლება:

ა) როცა ადვოკატმა დაასრულა პირის დაცვა ერთ ინსტანციაში (გამოძიება/ადმინისტრაციული ორგანო/სასამართლო) და კლიენტს აღარ აქვს მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გასაჩივრების ან/და აქტის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის გაგრძელების სურვილი, რაც უნდა დასტურდებოდეს კლიენტის ხელწერილით. ამ შემთხვევაში საქმე დასრულებულად ჩაითვლება ხელწერილის ჩამორთმევის დღეს; თუ სასამართლოს საბოლოო აქტი საჭიროებს სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელებას, მაშინ ადვოკატი კლიენტის მოთხოვნით საქმის წარმოებას აგრძელებს



სააღსრულებო ორგანოშიც და საქმე დასრულებულად ჩაითვლება სააღსრულებო ღონისძიებების დასრულების დღეს;

ბ) როდესაც ამოწურულია საქმის განხილვის პროცედურები (მათ შორის როდესაც საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება/განაჩენი/განჩინება/ბრძანება/სხვა აქტი აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას). ამ შემთხვევაში საქმე დასრულებულად ჩაითვლება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღეს; თუ სასამართლოს საბოლოო აქტი საჭიროებს სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელებას, მაშინ ადვოკატი კლიენტის მოთხოვნით საქმის წარმოებას აგრძელებს სააღსრულებო ორგანოშიც და საქმე დასრულებულად ჩაითვლება სააღსრულებო ღონისძიებების დასრულების დღეს;

გ) ადვოკატი ჩამოსცილდა საქმეს/დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა საქმიდან აცილების შესახებ (საქმეში კერძო ადვოკატის ჩართვის, დაცვის ქვეშ მყოფის პირის უარის, ინტერესთა კონფლიქტის, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ან/და სხვა მოტივით). ამ შემთხვევაში საქმე დასრულებულად ჩაითვლება აცილების შესახებ განცხადების/შუამდგომლობის დაკმაყოფილების დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადვოკატის მიერ საქმის წარმოების დასრულება ხელყოფს კლიენტის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია გააგრძელოს საქმის წარმოება სხვა ადვოკატი დანიშვნამდე და საქმე დასრულებულად ჩაითვლება სხვა ადვოკატის საქმეში ჩართვისთანავე;

### 13. კონსულტანტის მიერ საქმის წარმოების დასრულება

13.1. კონსულტანტის მიერ კონსულტაცია დასრულებულად ჩათვლება, თუ კლიენტი მიიღებს სამართლებრივ მომსახურეობას ამ სტანდარტებით დადგენილი წესით;

13.2. თუ კლიენტს ესაჭიროება დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, მაშინ კონსულტაცია დასრულებულად არ ჩაითვლება ამ დოკუმენტების წარდგენამდე და მათ შესაბამისად სამართლებრივი მომსახურეობის გაწევამდე;

13.3. თუ კლიენტს ესაჭიროება დამატებითი დოკუმენტების წარდგენა მაგრამ ამ სტანდარტებით დადგენილი ფორმით მითითების მიუხედავად ის არ წარადგენს დოკუმენტებს ან აღარ გამოცხადდება კონსულტაციაზე კონსულტაცია დასრულებულად ითვლება;

### **თავი X. სტანდარტი 6. საქმეში სათანადო ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვა**

#### 1. საქმეში ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვა

1.1. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს რამდენად სასარგებლო იქნება კლიენტის უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დასაცავად საქმეში ექსპერტის ან სპეციალისტის ჩართულობა;

1.2. ექსპერტის ან/და სპეციალისტი საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა შეათანხმოს კლიენტთან საქმეში ამ პირების მონაწილეობა და უზრუნველყოს მათი ჩართულობა;

1.3. ადვოკატმა/კონსულტანტმა რეგულარულად უნდა გადახედოს ექსპერტის ან/და სპეციალისტი საქმეში ჩართულობის საჭიროებას საქმის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე;

1.4. თუ კლიენტთან კომუნიკაცია საჭიროებს სპეციფიკურ უნარებს, მაშინ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საქმეში შესაბამისი სპეციალისტის ან ფსიქოლოგის ჩართულობა და ამისათვის მიმართოს სამსახურს;

## 2. ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვის დროულობა

ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ექსპერტის ან/და სპეციალისტის საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოახდინოს მათი ჩართვა საქმეში, რათა შეძლოს მათი დასკვნისა თუ შეფასების საპროცესო კოდექსებით დადგენილ ვადებში წარდგენა და ეფექტურად გამოყენება;

## 3. ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვის საფუძვლის დასაბუთება

3.1. ექსპერტი ან/და სპეციალისტი საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატმა ბრალდების მხარის წინაშე უნდა მოითხოვოს მათი ჩართვა ან დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოში (თუ სასამართლოში საქმის წარმოებისას წარმოიშვა აღნიშნულის საჭიროება);

3.2. ადვოკატმა/კონსულტანტმა საფუძვლიანად უნდა დაუსაბუთოს სამსახურს საქმეში ექსპერტის/სპეციალისტის ჩართულობა, რათა სამსახურის მხრიდან მიიღოს შესაბამისი დაფინანსების ნებართვა. დასაბუთება უნდა შეიცავდეს მითითებას, რა ფორმით შეუწყობს ხელს ექსპერტის/სპეციალისტის ჩართულობა საქმეში კლიენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

## 4. სპეციალიზაცია, პროფესიული კომპეტენცია და უნარები

ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ჰქონდეს შესაბამისი სპეციალიზაცია არასრულწლოვნების საქმის წარმოებისას (გაიაროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილი პროგრამები);

## 5. ექსპერტთან/სპეციალისტთან ურთიერთობა

5.1. ექსპერტიზის ჩატარებისას ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია პატივი სცეს ექსპერტის/სპეციალისტის დამოუკიდებლობას და არ აქვს უფლება ნებისმიერი ფორმით გავლენა მოახდინოს ექსპერტის დამოუკიდებლობაზე ან/და ექსპერტიზის შედეგებზე;



- 5.2. ექსპერტიზის ჩატარებისას ადვოკატმა/კონსულტანტმა ექსპერტს კეთილსინდისიერად კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, იმისათვის რაც გონივრულად საჭიროა სრული, დამოუკიდებელი და ობიექტური დასკვნის მისაღებად და ხელი შეუწყოს ექსპერტს ექსპერტიზის ჩატარებაში;
- 5.3. ადვოკატმა/კონსულტანტმა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ექსპერტს უნდა მიაწოდოს რელევანტური კითხვები, რომელთან დაკავშირებითაც დაინიშნა ექსპერტიზა;
- 5.4. ექსპერტთან/სპეციალისტთან ურთიერთობისას დაცულ უნდა იქნეს კლიენტისა და ადვოკატის ინფორმაციის კონფიდენციალობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

### **თავი XI. სტანდარტი 7. წინასასამართლო (მოსამზადებელ) სხდომაში მონაწილეობა**

#### **1. წინასასამართლო სხდომაში მონაწილეობის წესი**

- 1.1. ადვოკატი ვალდებულია საფუძვლიანად, დროულად და სრულყოფილად მოემზადოს წინასასამართლო (მოსამზადებელ) სხდომაში მონაწილეობისათვის და ეფექტურად წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები სხდომის მიმდინარეობისას;
- 1.2. ადვოკატი ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს წინასასამართლო სხდომაში და კვალიფიცურად დაასაბუთოს ყველა შუამდგომლობა, რომელიც შეიძლება ხელსაყრელი იყოს კლიენტისთვის, შესაბამისი მატერიალური და საპროცესო კანონების გამოყენებით;
- 1.3. ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომამდე კლიენტს მიაწოდოს მასში მონაწილეობისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ნაფიცი მსაჯულებისათვის საქმის გადაცემის წესი, პროცედურა, სავარაუდო პერსპექტივა და შეათანხმოს მასთან განსახორციელებელი ქმედებები, მათ შორის ნაფიცი მსაჯულებისათვის საქმის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება;
- 1.4. ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადით, მოიპოვოს ყველა საჭირო მტკიცებულება და ბრალდების მხარეს და სასამართლოს მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებს.

#### **2. წინასასამართლო სხდომის თარიღი**

- 2.1. ადვოკატი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის კანონით დადგენილი ვადის (პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არა უგვიანეს 60 დღისა) გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქმისათვის და კლიენტის უფლებების ეფექტურად დასაცავად ეს აუცილებელია;

2.2. წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ადვოკატი ვალდებულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა პატიმრობის გაუქმების შესახებ ან მისი სხვა ღონისძიებით შეცვლის შესახებ;

### 3. კლიენტის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა

ადვოკატი ვალდებულია მოითხოვოს ბრალდებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლება პატიმრობიდან, თუკი ბრალდებულის პატიმრობის ვადა, დაკავებიდან წინასასამართლო სხდომამდე აღემატება სისხლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადას;

### 4. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა

ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს სისხლისსამართლებრივ დევნის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ჩაიდინა ბრალდებულმა.

### 5. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა

ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომაზე მოითხოვოს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და გაუქმება, ასევე შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კლიენტთან შეთანხმებით არასაპატიმრო აღკვეთის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა;

### 6. მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობა

6.1. ადვოკატი მოითხოვოს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა თუ არსებობს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებათა დაუშვებლობის საფუძველები;

6.2. თუ კლიენტი გამოძიებაში დაჰკითხეს როგორ მოწმე, მაგრამ დაკითხვის ფორმატი და შინაარსი იძლეოდა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ბრალდების მხარე აპირებდა მისთვის ბრალდების წარდგენას და მხოლოდ ფორმალურად მოხდა მისი მოწმედ დაბარება, მაშინ ამ მოტივით ადვოკატმა უნდა მოითხოვოს კლიენტის აღიარების ან მისი საწინააღმდეგო ჩვენების დაუშვებლად ცნობა;

6.3. ადვოკატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომელიც მოპოვებულია ჩხრეკის დროს გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში (შემდგომ ნებართვის არსებობის მიუხედავად) და დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობები;



**7. მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის მოთხოვნა**

ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ეს პირი მოწმედ კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა;

**8. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა**

ადვოკატი ვალდებულია წინასასამართლო სხდომაზე მოითხოვოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული (არსებობის შემთხვევაში) ინფორმაციის გადაცემა, შეამოწმოს მისი დასაშვებობის საკითხი, გააცნოს მისი შინაარსი კლიენტს და საჭიროების შემთხვევაში დააყენოს კლიენტთან შეთანხმებული და სათანადო შუამდგომლობა;

**9. განრიდების მოთხოვნა**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, თუ განრიდება არ იქნება გამოყენებული წინასასამართლო სხდომამდე, ადვოკატი ვალდებულია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით განრიდების გამოყენების მიზნით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე;

**10. შუამდგომლობა საპროცესო კონფისკაციის უსაფუძვლობის მიზნით**

ადვოკატი ვალდებულია პროკურორის მიერ საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით შუამდგომლობის დაყენებისას მოუთითოს საპროცესო კონფისკაციის უსაფუძვლობაზე და სათანადო საფუძვლების არსებობისას მოითხოვოს ამ ღონისძიების არ გამოყენება;

**11. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ განჩინების გასაჩივრება**

ადვოკატი ვალდებულია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში გაასაჩივროს დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს განჩინება კლიენტთან შეთანხმებით;

**12. საქმის არსებითი განხილვის თარიღი**

ადვოკატი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით საქმის არსებითი განხილვის სხდომის კანონით დადგენილი ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების შესახებ, თუ საქმისათვის და კლიენტის უფლებების ეფექტურად დასაცავად ეს აუცილებელია;

## **თავი XII. სტანდარტი 8. სასამართლო პროცესზე კლიენტის დაცვა**

### **1. სასამართლოს მთავარ სხდომაში მონაწილეობის ზოგადი წესი**

1.1. ადვოკატი ვალდებულია წინასწარ და საფუძვლიანად მოემზადოს სასამართლოს მთავარ სხდომაში მონაწილეობისათვის და ეფექტურად წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები სხდომის მიმდინარეობისას;

1.2. ადვოკატი როგორც წესი ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს სასამართლოს მთავარ სხდომაში და წაადგინოს კვალიფიციური, მკაფიო, ფოკუსირებული, ძლიერი შესავალი და დასკვნითი სიტყვები, არგუმენტები შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობით, მატერიალური და საპროცესო კანონების გამოყენებით დაცვის პოზიციის მხარდასაჭერად, კლიენტისათვის ხელსაყრელი შედეგის მისაღებად და ეჭვქვეშ დააყენონ ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია;

### **2. სასამართლოს მთავარ სხდომაში მონაწილეობის ფორმა**

2.1. ადვოკატმა ღირსეულად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, განურჩევლად ადვოკატის საკუთარი ინტერესებისა და ნებისმიერი შედეგისა მის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

2.2. ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელოს თავისუფალი და თუნდაც არგუმენტების აგრესიული გაცვლა. თუმცა, იმავდროულად, ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პატივისცემა და თავაზიანობა სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსა თუ პირისადმი;

2.3. ადვოკატმა არ უნდა შელახოს კლიენტის ნდობა სამართლებრივი პროფესიის წარმომადგენლების მიმართ;

2.4. ადვოკატი ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს მოწმეთა დაკითხვაში და გამოიყენოს სათანადო ცოდნა და უნარები;

2.5. ადვოკატი ვალდებულია უპასუხის ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის ყველა მნიშვნელოვან არგუმენტსა და პოზიციას;

2.6. ადვოკატი ვალდებულია დროულად და ოპერატიულად განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. ამასთან, ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ნაჩქარევად, რომ აღნიშნულით შეილახოს წარმომადგენლობის ხარისხი;

### **3. სასამართლოს პროცესისათვის საფუძვლიანი მომზადება**



3.1. საფუძვლიანი მომზადება ამ სტანდარტებით დადგენილი ვალდებულებების გარდა ასევე მოიცავს:

- ა) იმის განასაზღვრას, თუ რა საკითხები შეიძლება წარმოიშვას პროცესზე და კლიენტთან შესაბამისი პოზიციის შეთანხმებას;
- ბ) როგორ იქნეს საკითხები საუკეთესოდ წარმოჩენილი და შესაბამისი გადაწყვეტილებები შეთავაზებული;
- გ) მოწმეთა/ექსპერტთა/სპეციალისტთა დაკითხვისას დასასმელი კითხვების იდენტიფიცირებას;
- დ) მოწმეთა/ექსპერტთა/სპეციალისტთა დაკითხვის საუკეთესო ტაქტიკის შემუშავებას;
- ე) პროცესზე დასაყენებელი შუამდგომლობების, მათი შინაარსის და საჭიროების შემთხვევაში წერილობითი ჩამოყალიბებას;
- ვ) შესაბამისი სამართლებრივ კვლევას;
- ზ) შესაბამის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან ან სხვა პირებთან კომუნიკაციას, რომლებიც შესაძლოა დაეხმარონ ადვოკატს საქმესთან დაკავშირებული საკითხების გარკვევასა და მომზადებაში;

#### 4. კლიენტის ინფორმირება

ადვოკატი ვალდებულია სასამართლოს მთავარ სხდომამდე კლიენტს მიაწოდოს მასში მონაწილეობისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესი (საქმის ნაფიც მსაჯულეთა სასამართლოს განხილვის შემთხვევაში) და შეათანხმოს მასთან სხდომის წარმართვის სტრატეგია;

#### 5. პროცესზე გამოცხადება

ადვოკატი ვალდებულია გამოცხადდეს საქმეზე დანიშნულ ყველა პროცესზე/სხდომაზე და შეასრულოს დადგენილი ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება (შვებულება, ბიულეტებზე ყოფნა, დაუძლეველი ძალა);

#### 6. შესავალი სიტყვა/მხარეთა ახსნა-განმარტება

6.1. სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი უნდა აცნობიერებდეს შესავალი სიტყვის მნიშვნელობას დაცვის პოზიციის წარმოჩენისათვის და უნდა წარადგინოს საქმე დაცვის მხარის პერსპექტივიდან ასევე მიუთითოს მტკიცებულებებზე, რომლებიც იქნება წარდგენილი დაცვის პოზიციის დასადასტურებლად ან ბრალდების პოზიციის გასაბათილებლად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.2. სისხლის სამართლის საქმეზე შესავალ სიტყვაში არ უნდა მოხდეს მტკიცებულებებზე ან მათ გამოკვლევაზე იმ ფორმით მითითება რომ ბრალდების მხარეს მიეცეს უპირატესობა საქმის წარმართვისათვის;

6.3. ბრალდებულის აღიარების შემთხვევაში, შესავალი სიტყვაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ჩადენილი ქმედებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე;

6.4. სისხლის სამართლის საქმეში უდავო მტკიცებულებების შემთხვევაში, შესავალი სიტყვაში ყურადღება უნდა გამახვილდეს დაცვის სასარგებლოდ მტკიცებულებების სამართლებრივ შეფასებაზე (თუ არსებობს საქმეში მსგავსი შეფასების გაკეთების შესაძლებლობა) ან/და ჩადენილი ქმედებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე;

6.5. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეში მხარეთა ახსნა-განმარტება უნდა შეიცავდეს საქმის მნიშვნელობისათვის მქონე გარემოებების წარმოდგენას;

6.6. ადვოკატის მიერ შესავალი სიტყვა/ახსნა-განმარტება უნდა იქნეს წარდგენილი იმ ფორმით, რომ არ მოხდეს არასათანადო ფორმით მითითება და არ შეიქმნას კითხვის ნიშნები ექსპერტის ან მოწმის ან სპეციალისტის სანდოობასთან დაკავშირებით ასევე არ უნდა მოხდეს პიროვნული თავდასხმა/შეურაცხყოფა მოწინააღმდეგე მხარეზე ან სხვა პირებზე;

## 7. მტკიცებულებათა გამოკვლევა

ადვოკატი შესაძლებლობების ფარგლებში შემოქმედებითად უნდა მიუდგეს მტკიცებულებათა შეფასებასა და წარდგენას, აქტიურად და კვალიფიციურად უნდა მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში და წარადგინოს ყველა სათანადო არგუმენტი კლიენტის პოზიციის სასარგებლოდ;

## 8. მოწმის/ექსპერტის/სპეციალისტის დაკითხვა

8.1. ადვოკატი უნდა აცნობიერებდეს, რომ კლიენტის სასარგებლო/დაცვის მოწმეების წარმოდგენა და ბრალდების/მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვა/ჯვარედინი დაკითხვა არის კლიენტის/დაცვის მხარის ფუნქციის ბირთვი სასამართლოში მხარეთა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში, და სამართლიანობის ხელშეწყობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვისა და სახელმწიფოსთვის ბრალდების მტკიცების ტვირთის დაკისრების მნიშვნელოვანი კომპონენტი. შესაბამისად, ადვოკატი სათანადოდ და კვალიფიციურად უნდა მოემზადოს მოწმეთა/ექსპერტთა, სპეციალისტთა დაკითხვისათვის;

8.2. ადვოკატმა უნდა დაკითხოს მოწმე/ექსპერტი/სპეციალისტი სამართლიანად, მათი ღირსების დაცვით;

8.3. მოწმის დაკითხვისას განსაკუთრების ჯვარედინი დაკითხვის დროს, ადვოკატს უფლება აქვს გამოიყენოს დაკითხვის ენერგიული, მკაცრი, დაჟინებული მეთოდი, გაამახვილოს ყურადღება მოწმის/ექსპერტის/სპეციალისტის კვალიფიკაციის ნაკლებობაზე, ფაქტების არცოდნაზე, მათ სანდოობაზე და ა.შ თუმცა, ყოველგარი დაშინების ან დამცირების გარეშე;



8.4. ადვოკატის რწმენა ან ცოდნა იმისა, რომ მოწმე/ექსპერტი/სპეციალისტი სიმართლეს ამბობს, არ გამოირიცხავს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებას;

## 9. შუამდგომლობების წარდგენა

9.1. ადვოკატმა უნდა წარადგინოს ყველა საჭირო შუამდგომლობა პროცესზე კლიენტთან შეთანხმებით და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს კლიენტის/დაცვის მხარის პოზიციას;

9.2. არასათანადო და არაეთიკური ქცევის შემთხვევაში, ადვოკატმა სასამართლოზე უნდა დააყენოს პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების შუამდგომლობები;

## 10. დასკვნითი სიტყვა

10.1. სისხლის სამართლის საქმეში, დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ყველა იმ გარემოებაზე, არგუმენტზე, მტკიცებულებაზე, შეფასებაზე, რომელიც წარდგენილ იქნა ან ადასტურებს დაცვის პოზიციის მართებულობას;

10.2. დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა შეძლებისდაგვარად შემოქმედებითად უნდა შეაჯამოს საქმე ასევე ბრალდების მხარის/მოწინააღმდეგე მხარის დასკვნითი სიტყვის შინაარსი, დაცვის მხარის სასარგებლოდ და მიუთითოს ბრალდების მხარის/მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის სისუსტეზე;

## 11. მხარეთა პაექრობა, რეპლიკა

11.1. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეში, ადვოკატმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ყველა იმ გარემოებაზე, არგუმენტზე, მტკიცებულებაზე, შეფასებაზე, რომელიც წარდგენილ იქნა ან ადასტურებს კლიენტის პოზიციის მართებულობას და წარმოაჩენს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის უსაფუძვლობას;

11.2. მხარეთა პაექრობისას ადვოკატმა უნდა გასცეს პასუხი მოწინააღმდეგე მხარის ყველა მნიშვნელოვან, არსებით არგუმენტს;

11.3. რეპლიკაში ადვოკატმა შეძლებისდაგვარად შემოქმედებითად უნდა შეაჯამოს საქმე ასევე ბრალდების მხარის/მოწინააღმდეგე მხარის დასკვნითი სიტყვის შინაარსი, დაცვის მხარის სასარგებლოდ და მიუთითოს ბრალდების მხარის/მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის სისუსტეზე;

## 12. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ინფორმაციის მიწოდება

12.1. საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ ბრალდების მხარის წინადადების მიღებისას ადვოკატი ვალდებულია ეს ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს და მას განუმარტოს შეთავაზებული საპროცესო შეთანხმების არსი, შედეგები, პროცედურები, საქმის ძლიერი და სუსტი მხარეები სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით და საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის საკითხი;

12.2. ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტმა გაიგოს შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმების არსი, მისი შედეგები და რომ ეს გადაწყვეტილება არის კლიენტის მხრიდან გაცნობიერებული და ნებყოფლობითი;

### 13. საპროცესო შეთანხმების გაფორმების წესი

13.1. საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისას ადვოკატი ვალდებულია საფუძვლიანად გაეცნოს საქმის მასალებს და შეაფასოს შემდეგი გარემოებები:

- ა) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით რამდენად აკმაყოფილებს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენას;
- ბ) რამდენად მისაღებია შეთავაზებული სასჯელი ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების, დანაშაულის ხასიათისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით;
- გ) რამდენად შეესაბამება საპროცესო შეთანხმების პირობები არსებულ პრაქტიკას ანუ მსგავს დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების პირობებს;

13.2. თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ არ არსებობს წინა ქვეპუნქტებით დადგენილი რომელიმე გარემოება, მაშინ მან კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და განუმარტოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების არამიზანშეწონილობის შესახებ და იმოქმედოს კლიენტის მითითების შესაბამისად; ადვოკატი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს მენტორს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დროულობიდან და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

13.3. ადვოკატი არ უნდა დასთანხმდეს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თუ საპროცესო შეთანხმების პირობები არის აშკარად უსამართლო, თვითნებური და საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები ან არსებული მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტითაც კი ვერ აკმაყოფილებს კლიენტის მიერ მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას;

13.4. ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმების პირობები ასახავს პროკურატურისაგან მიღებული წინადადების სრულ შინაარსს;

13.5. ადვოკატს უფლება აქვს ურჩიოს/რეკომენდაცია მისცეს კლიენტს საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან/არ გაფორმებასთან მიმართებით, მაგრამ ადვოკატმა განზრახ ან



გაუფრთხილებლობით არ უნდა მოახდინოს არასათანადო გავლენა კლიენტზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების ან არ გაფორმების შესახებ და ამისათვის არ უნდა გადააჭარბოს ან დააკნინოს საქმის რისკები, საფრთხეები და პერსპექტივა;

#### 14. მორიგება/მედიაცია

14.1. ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა შესთავაზოს კლიენტს მედიაცია დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებისათვის (კერძო ან სასამართლო მედიაცია) თუ მედიაციაში მონაწილეობა კლიენტის მდგომარეობის და საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მას არ ჩააყენებს მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით არათანაბარ მდგომარეობაში;

14.2. ადვოკატმა/კონსულტანტმა დეტალურად უნდა განუმარტოს პირს მორიგების პირობები და შედეგები და დარწმუნდეს, რომ კლიენტს ესმის შემოთავაზებული პირობები და შედეგები, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს მორიგებას.

#### 15. საპროცესო შეთანხმების გაფორმების/მორიგების წესი

ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს/მოწინააღმდეგე მხარეს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების/მორიგების გაფორმება;

#### 16. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის საქმის გადაცემა

16.1. ადვოკატმა საფუძვლიანად და კვალიფიციურად უნდა გაანალიზოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის საქმის გადაცემის საკითხი საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი რეგულაციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით;

16.2. თუ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიიჩნევს, რომ ბრალდებულისათვის ხელსაყრელია საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის გადაცემა, მან იმ მოტივით რომ არ გააჩნია გამოცდილება არ უნდა დააბრკოლოს ან შეუშალოს ხელი კლიენტს ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

16.3. თუ ადვოკატს არ აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მონაწილეობის გამოცდილება მაშინ მან უნდა მოითხოვოს დამატებით სხვა გამოცდილი ადვოკატის / მენტორის ჩართვა საქმეში ან საქმის გამოცდილი ადვოკატისათვის გადაცემა ან უნდა გაიაროს დეტალური კონსულტაციები ასეთ ადვოკატთან და იქონიოს მასთან პერიოდული და სათანადო კომუნიკაცია მთელი პროცესის განმავლობაში;

#### 17. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის წესი

ადვოკატმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს საპროცესო ნორმები და სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, მათ შორის, ნაფიც

მსაჯულების შერჩევას და მზად უნდა იყოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას ეფექტურად შეასრულოს დაცვის ფუნქცია, მათ შორის, საკითხები ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეთოდთან, კითხვის დასმასა და აცილებისთან დაკავშირებით;

## 18. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა

18.1. ნაფიცი მსაჯულების შერჩევას დაუშვებელია ნაფიც მსაჯულთა შეურაცხყოფა და დაშინება;

18.2. ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას მიღებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მათი აცილების საკითხის ინფორმირებულად გადასაწყვეტად და დაცვის მიზნებისათვის;

## 19. ნაფიც მსაჯულებთან ურთიერთობა

19.1. ადვოკატი ვალდებულია ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვისას დაიცვას ნაფიც მსაჯულელთან ან კანდიდატებთან ურთიერთობის კანონით დადგენილი წესები;

19.2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს იმ პირებს, რომლებსაც ადვოკატი იცნობს და რომლებიც დაიბარეს ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესრულებაზე, სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან მის დროს, გარდა სასამართლო დარბაზში საქმის წარმოებისას;

19.3. ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს ნაფიც მსაჯულებთან არასათანადო კომუნიკაციის აღქმა/გამოჩენაც კი;

## 20. ნაფიც მსაჯულთა აცილება

თუ ადვოკატისათვის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის შედეგომ ცნობილი გახდა ისეთი გარემოება, რაც წარმოადგენს ნაფიცი მსაჯულის აცილების საფუძველს, ადვოკატმა უნდა დააყენოს ასეთი შუამდგომლობა.

## 21. დროულად გამოცხადება

21.1. ადვოკატი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამომიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში;

21.2. განსაკურებით გამონაკლის შემთხვევაში (თუ ერთ დროს დაგეგმილია რამდენიმე მოქმედება/პროცესი, არსებობს დაუძლეველი ძალა ან სხვა ობიექტური გარემოება რომელიც გამორიცხავს ადვოკატის დროულ გამოცხადებას), თუ ადვოკატი ვერ ახერხებს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ /საგამომიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და



წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში გამოცხადებას, საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობას და ა.შ. მაშინ მან ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა მიიღოს ყოველა გონივრული ზომა, რომ მისმა გამოუცხდებლობამ არ შელახოს კლიენტის ინტერესები კერძოდ: წინასწარ დააყენოს გადადების შუამდგომლობა, მოითხოვოს სხვა ადვოკატით ჩანაცვლება და ა.შ.

21.3. პროცესის/საპროცესო მოქმედებების გადადების მოთხოვნისას ადვოკატმა შეგნებულად არ უნდა მიუთითოს არასწორი ფაქტები ან სხვაგვარად შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს სასამართლო/პროცესის მწარმოებელი ორგანო; ადვოკატმა უნდა გამოიყენოს პროცედურული საშუალებები საქმის გადადების/გაჭიანურებისათვის, მხოლოდ მაშინ როდესაც ამას აქვს ლეგიტიმური საფუძველი და ეს ხელსაყრელია კლიენტის უფლებებისა და ინტერესებისათვის;

21.4. ადვოკატმა უნდა იცოდეს და შეასრულოს საქმეში წარმომადგენლობისთვის აუცილებელი ვადები და დროის მოთხოვნები, რათა ზიანი არ მიაყენოს კლიენტის უფლებებსა და ინტერესებს.

21.5. სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილება, განჩინება და ა.შ. ) გასაჩივრების საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატმა/კონსულტანტმა დროულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა მოამზადოს შესაბამისი საჩივარი და გადასცეს კლიენტს შესაბამის ორგანოში წარსადგენად. ვადის ბოლო დღეს საჩივრის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატისაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების არსებობისას.

21.6. ადვოკატმა კლიენტს ასევე დაცვის მოწმეებს და საქმეში დაცვის მხარეზე ჩართულ სხვა პირებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და მიაწოდოს პროცესის/საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მნიშვნელობასა და მათზე გამოცხადების დროულობასთან დაკავშირებით და განუმარტოს ამ ვალდებულებების დარღვევის შედეგები;

## 22. წესრიგის დაცვის ვალდებულება

ადვოკატმა უნდა დაიცვას სასამართლოში და სხვა ორგანოებში ქცევის წესი ასევე ავტორიტეტი და ღირსება ეთიკის კოდექსის დაცვით და თავაზიანი და პროფესიული დამოკიდებულების გამოვლენით მოსამართლის, პროკურორის, მოწინააღმდეგე მხარის მისი ადვოკატის, მოწმეების, ნაფიცი მსაჯულების, სასამართლო დარბაზის პერსონალის და სხვათა მიმართ.

## 23. იმავე სქესის ადვოკატის მონაწილეობა

23.1. საპროცესო მოქმედებებში, როდესაც პირად ჩხრეკას და პირისაგან საგნის, ნივთისა თუ დოკუმენტის ამოღებას, თან სდევს გაშიშვლება ან ნიმუშის აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან, ან შემოწმება, ექსპერტიზა, დაკავშირებულია გაშიშვლებასთან, აგრეთვე სირცხვილის გრძნობის გამომწვევ სხვა მოქმედებასთან უნდა მონაწილეობდეს იმავე სქესის ადვოკატი, თუ კლიენტი არ გამოხატავს საპირისპირო სქესის ადვოკატის მონაწილეობის ნებას;

23.2. წინა ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან გაარკვიოს ეს საკითხი და შემდგომ მოითხოვოს საქმეში შესაბამისი სქესის ადვოკატის ჩართვა ან საქმის აცილება;

### **თავი XIII. სტანდარტი 9. სასჯელის შემსუბუქება**

#### **1. ზოგადი ვალდებულებები**

წარმომადგენლობის ადრეულ სტადიაზე, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს და მიიღოს შესაბამისი ზომები, დააყენოს შუამდგომლობები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასჯელის შემსუბუქებაზე;

#### **2. სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებები**

2.1. ადვოკატმა უნდა მიუთითოს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კერძოდ, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავეს წარსულ ცხოვრების, პირადი და ეკონომიკური პირობების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის, განსაკუთრებით – მის მისწრაფების შესახებ ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს;

2.2. სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას ადვოკატმა უნდა მიუთითოს მსგავს საქმეებზე შესაბამისი პრაქტიკა;

### **თავი XIV. სტანდარტი 10. გასაჩივრება**

#### **1. გასაჩივრების ზოგადი წესი**

1.1. ადვოკატმა წინასწარ უნდა შექმნას საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის და ამისათვის დროულად და საჭირო პროცედურებით დააყენოს სათანადო შუამდგომლობები თუ განახორციელოს სხვა ქმედებები;

1.2. კლიენტის საწინააღმდეგოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია მას განუმარტოს გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება და ა.შ.) შედეგები, მისი გასაჩივრების პროცედურა, ვადები, სავარაუდო პერსპექტივა, დადებითი და უარყოფითი შედეგები (მათ შორის ფინანსური) ასევე მოწინააღმდეგე მხარის შესაძლებლობები გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში (მაგ. შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა და მისი შედეგები) და ა.შ.;



1.3. ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეთანხმებით გაასაჩივროს გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტი კანონით დადგენილ ვადაში და წესით;

1.4. თუ არსებობს საკმარისი დრო აქტის გასაჩივრებისათვის, ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა დაიჭიროს თადარიგი, რომ გასაჩივრების ბოლო დღეს ან ბოლო საათებში არ მოხდეს საჩივრის წარდგენა. საჩივარი მხარეს უნდა გადაეცეს იმ ვადაში, რომ მან გონივრულად მოახდინოს მისი წარდგენა შესაბამის ორგანოში.

## 2. გასაჩივრებზე უარის თქმა

2.1. თუ კლიენტს არ სურს გასაჩივრება, მაშინ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ჩამოართვას ხელწერილი გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გასაჩივრებაზე ან/და საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ და ეს ხელწერილი განათავსოს საქმის მასალებში;

2.2. თუ კლიენტს სურს გასაჩივრება, მაგრამ ადვოკატს კეთილსინდისიერად და საფუძვლიანად სჯერა, რომ აღნიშნულს არ აქვს პერსპექტივა, მას უფლება აქვს უარი უთხრას კლიენტს გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გასაჩივრებაზე ან/და საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის გაგრძელებაზე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტს უნდა გადასცეს მისი დასაბუთებული პოზიცია საქმის უპერსპექტივობის შესახებ. დასაბუთება უნდა შეიცავდეს შესაბამის კანონმდებლობაზე ასევე სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებას (პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამსახურის დირექტორს;

2.3. კლიენტისათვის გასაჩივრებაზე უარის თქმა დასაშვებია თუ მას აქვს საკმარისი დრო და საშუალება, რომ სამსახურს მიმართოს სხვა ადვოკატის გამოყოფისათვის ან კერძო ადვოკატის მოძიებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მითითების შესაბამისად გაასაჩივროს გადაწყვეტილება/განჩინება და ა.შ.

## 3. სავალდებულო გასაჩივრება

3.1. თუ საქმის დასრულების შემდგომ ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია კლიენტთან კომუნიკაცია და გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გასაჩივრებაზე მისი პოზიციის გაგება და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების/სხვა აქტის გაუსაჩივრებლობა გამოიწვევს გასაჩივრების ვადის გაშვებას (გარდა ძებნილისა და თავშესაფრის მაძიებლისა) ადვოკატი ვალდებულია თავისი ინიციატივით გაასაჩივროს აღნიშნული დოკუმენტები;

3.2. ადვოკატი ვალდებულია იძულებით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს დადგენილი წესით, თუ კლიენტი გამოხატავს მისი გასაჩივრების სურვილს ან იმ შემთხვევაშიც თუ ამ თანხმობის მიღება კლიენტის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია.

3.3. ადვოკატი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების/განაჩენის და ა.შ. ჩაბარების მოთხოვნით და ეს დოკუმენტი განათავსის საქმეში;

#### 4. დასაბუთებული და კვალიფიციური საჩივრის წარდგენა

4.1. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს ამ სტანდარტებით დადგენილი წესით და წარადგინოს დასაბუთებული და კვალიფიციური საჩივარი;

4.2. თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაცვის მიზნით და განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც კვალიფიციური საჩივრის მომზადება ობიექტურად შეუძლებელია, საჭიროა სასამართლოში საჩივრის ფორმალურად შეტანა (დასაბუთებისა თუ მნიშვნელოვანი ფაქტების მითითების გარეშე, მხოლოდ ფორმალურად სავალდებულო რეკვიზიტების შევსებით), მაშინ ადვოკატი ვალდებულია დადგენილ ვადაში მოამზადოს დასაბუთებული საჩივარი და წარადგინოს სასამართლოში იმ ფორმით რომ არ შეილახოს კლიენტის ინტერესები;

4.3. საჩივრის ფორმალურად შეტანა დაუშვებელია წინა ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც თუ ეს ხელყოფს კლიენტის დაცვის ინტერესებს;

4.4. ფორმალური საჩივრის წარდგენის შემდგომ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით წარადგინოს კანონმდებლობითა და ამ სტანდარტებით დადგენილი წესით ჩამოყალიბებული საჩივარი.



### კარი III.

#### **თავი I. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები**

##### 1. შეფასების კრიტერიუმები

1.1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების შეფასებით:

- ა) ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის წარმოებისას წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი „სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტების (კარი II)“ დაცვა;
- ბ) ადვოკატის მიერ საქმეების წარმატებით დასრულება;
- გ) არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება;
- დ) სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება;
- ე) საქმის დამოუკიდებელი გამოძიების ფარგლებში ჩატარებული აქტივობები;
- ვ) განგრძობადი განათლება;

1.2. წინამდებარე თავის 1.1.-ს „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში, შემფასებელი ახდენს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ნაწარმოები საქმის/გაცემული კონსულტაციის შესაბამისობის დადგენას „სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებთან“. შემფასებელი აფასებს რამდენად დაიცვა და განახორციელა ადვოკატმა/კონსულტანტმა სტანდარტებით დადგენილი წესები და ვალდებულებები. ამისათვის, დასრულებული საქმეების შეფასებისას შემფასებელი იყენებს „სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარს“ (დანართი N 1.2. - „ადვოკატის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარი“) და N1.3 - „კონსულტანტის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარი“), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების განუყოფელ ნაწილს).

1.3. წინამდებარე თავის 1.1. „ბ-ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევაში, შემფასებელი ახდენს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას შესაბამის საკითხებზე (არსებობის შემთხვევაში);

1.4. წინამდებარე თავის 1.1. „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევაში, შემფასებელი ახდენს ინფორმაციის დამუშავებას ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.) შესახებ;

#### **თავი II. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების საშუალებები**

##### 1. შეფასების საშუალებები

1.1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური (შესაბამისი დეპარტამენტი/სამმართველო), ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასებას ახორციელებს შემდეგი საშუალებებით:

- ა) იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები;
- ბ) საქმე/საქმის მასალები (გარდა იმ მასალებისა, სადაც არსებობს გაუთქმელობის ხელწერილი);
- გ) თვითშეფასების ფორმა;
- დ) კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი;
- ე) კლიენტის კმაყოფილების კვლევა;
- ვ) სასამართლო პროცესზე/კონსულტაციაზე დასწრება;
- ზ) სასწავლო ცენტრის მონაცემები;
- თ) სატელეფონო ჩანაწერი (ქოლ-ცენტრის კონსულტანტის შემთხვევაში);
- ი) უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია;

1.2. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) არის მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც აისახება იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საქმეებისა თუ კონსულტაციების და ასევე ადვოკატების/კონსულტანტების მიერ განხორციელებული ქმედებების/აქტივობების შესახებ;

1.3. საქმის მასალები განიმარტება „სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტების“ (კარი II) შესაბამისად;

1.4. თვითშეფასების ფორმა (დანართი N 1.4.) არის შესაფასებელი საქმის შესახებ ადვოკატის პოზიცია (კლიენტის ინტერესების მიღწევისათვის მისი ძალისხმევის, აქტიურობის და ა.შ. ინფორმაცია). თვითშეფასების ფორმაში მითითებული ადვოკატის აქტივობები, თუ ის ასახული არ არის იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

1.5. კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი არის დოკუმენტი, რომელსაც ავსებს ადვოკატი/კონსულტანტი კლიენტთან კომუნიკაციისას (დანართი N 1.5. - სისხლის სამართლის საქმეზე, დანართი N 1.6. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე, დანართი N 1.7. - კონსულტაციის გაცემისას). კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარის შევსებას ადვოკატი იწყებს კლიენტთან პირველივე კომუნიკაციისთანავე და აგრძელებს საქმის მიმდინარეობის შესაბამისად.

1.6. კლიენტის კმაყოფილების კვლევა არის კლიენტის გამოკითხვა სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილ ხარისხთან დაკავშირებით (დანართი N1.8)

1.6. სასამართლო პროცესზე დასწრება გულისხმობს შემფასებლის მიერ ადვოკატის წარმოებაში არსებულ საქმეზე (შესაფასებელ ან სხვა საქმეზე) დანიშნულ პროცესზე დასწრებას;



1.7. კონსულტაციაზე დასწრება გულისხმობს კონსულტაციაზე შემფასებლის დასწრებას (შესაფასებელ ან სხვა კონსულტაციაზე) თუ არსებობს კლიენტის თანხმობა;

1.8. სასწავლო ცენტრის მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გავლილი გადამზადების პროგრამების/ტრენინგებისა და სხვა სახის სამართლებრივი აქტივობების შესახებ (სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ბროშურების მომზადება, კვლევებში, პანელურ დისკუსიებში მონაწილეობა, პარალელგალების პროექტში ჩართულობა და ა.შ.).

1.9. სატელეფონო ჩანაწერი გულისხმობს ქოლ-ცენტრის კონსულტანტის მიერ გაცემული სატელეფონო კონსულტაციის აუდიო ჩანაწერს;

1.10. უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გულისხმობს საქმესთან დაკავშირებით საქმის მწარმოებელი ან/და სხვა ორგანოებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

## 2. შეფასების საშუალებების გამოყენება

2.1. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები გამოიყენება სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი საკითხების (საქმეზე განსახორციელებელი ღონისძიებების განხორციელება, მათი დროულობა, შინაარსი, კომუნიკაციის წესების დაცვა და ა.შ.) შეფასებისათვის ასევე სტატისტიკის დამუშავებისათვის;

2.2. საქმის მასალები ან/და თვითშეფასების ფორმა ან/და კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი გამოიყენება სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი საკითხების შეფასებისათვის;

2.3. კლიენტის კმაყოფილების კვლევა გამოიყენება სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი კომუნიკაციის წესების შეფასებისათვის;

2.4. სასამართლო პროცესზე/კონსულტაციაზე დასწრება გამოიყენება სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი საკითხების შეფასებისათვის;

2.5. სასწავლო ცენტრის მონაცემები გამოიყენება სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი პროფესიული განვითარების საკითხების შეფასებისათვის;

2.6. უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოიყენება იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ასახული/შეყვანილი შემფასებლის შეფასებით საექვო ინფორმაციის გადამოწმებისათვის (ანუ ხდება იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) სისხლის სამართლის მიმართულების ადვოკატის მიერ შეყვანილ/დარეგისტრირებულ აქტივობებთან (პროცესზე გამოცხადება, დროებითი მოთავსების

იზოლაციაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში გამოცხადება, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა, საგამოძიებო ან/და სხვა პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოცხადება და ა.შ.) დაკავშირებით, სასამართლოდან ან სხვა უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) არსებულ მონაცემებთან შედარება);

### **თავი III. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების პროცედურა**

#### **1. შეფასების უფლებამოსილება**

1.1. ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურების (იურიდიული კონსულტაცია/იურიდიული დახმარება) ხარისხის შეფასებას ახორციელებს სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ხარისხის შეფასების დეპარტამენტი/შესაბამისი მიმართულების სამმართველოები (შემდგომ „შემფასებელი“);

1.2. ერთი ადვოკატის/კონსულტანტის საქმის/კონსულტაციის შეფასება ხორციელდება ხარისხის შეფასების სამმართველოს შესაბამისი მიმართულების ერთი შემფასებლის მიერ;

#### **2. შეფასების წინაპირობა**

ადვოკატის/კონსულტანტის საქმე/კონსულტაცია შეიძლება შეფასდეს წინამდებარე შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თუ საქმე/კონსულტაცია ადვოკატს/კონსულტანტს დაეწერა წინამდებარე წესისა და კრიტერიუმების დამტკიცებისა და ადვოკატებისათვის/კონსულტანტებისათვის მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდგომ.

#### **3. შეფასების პრინციპები და ინტერესთა კონფლიქტი**

3.1. შეფასება უნდა განხორციელდეს შემფასებლის მიერ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საფუძველზე;

3.2. შემფასებელი ვალდებულია დაიცვას შეფასების ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

3.3. შემფასებელს არ აქვს უფლება შეაფასოს ადვოკატი/კონსულტანტი თუ შემფასებელი არის ადვოკატის/კონსულტანტის მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავი, და-ძმა, დისშვილი და ძმისშვილი, მშობლების და-ძმა, დანათესავებული (მოყვარე), ან თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არის დაკავშირებული ადვოკატთან/კონსულტანტთან ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს შემფასებლის ობიექტურობას.



#### 4. შესაფასებელი საქმეთა რაოდენობა

4.1. ხარისხის შეფასების დეპარტამენტი წლის განმავლობაში (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) აფასებს სამსახურის ყველა ადვოკატს/კონსულტანტს;

4.2. შეფასებას ექვემდებარება ადვოკატის/კონსულტანტის მიერ მიმდინარე წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) დასრულებული არანაკლებ 5 საქმე ასევე მიმდინარე საქმეები წინამდებარე თავის შესაბამისად. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება ხდება გასული წლის მონაცემების მიხედვით;

4.3. თუ წლის ბოლოსათვის, ადვოკატის/კონსულტანტის შესაბამისად დასრულებული ან მიმდინარე საქმეები არ აღემატება 5-ს (ცალ-ცალკე), მაშინ შემფასებელი აფასებს ადვოკატის/კონსულტანტის ყველა საქმეს/კონსულტაციას;

4.4. შეფასების პროცესში მასიური და არსებითად მნიშვნელოვანი დარღვევების აღმოჩენისას, შემფასებელი უფლებამოსილია შეაფასოს ამ პუნქტის 4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულზე მეტი საქმე ან/და ადვოკატის/კონსულტანტის დასრულებული ყველა საქმე/კონსულტაცია (არსებული რესურსის გათვალისწინებით);

#### 5. დასრულებული საქმეების შერჩევის წესი

5.1. დასრულებული საქმეების შერჩევა შემფასებლის მიერ ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით;

5.2. თუ ადვოკატი/კონსულტანტი ჩამოსცილდა საქმეს (საქმის დაუყოვნებლივ სხვა ადვოკატისათვის გადაწერის, საქმეში კერძო ადვოკატის ჩართვის გამო ან სხვა მიზეზით და ადვოკატს არ ჰქონდა სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით დადგენილი რაიმე ვალდებულების შესრულების ობიექტური დრო და საშუალება), მაშინ ასეთი საქმეები აღარ ექვემდებარება შეფასებას აღნიშნულ ადვოკატთან/კონსულტანტთან მიმართებით (შედგება შესაბამისი ოქმი) და ეს საქმე ჩანაცვლდება სხვა საქმით. ამასთან, საქმის ჩანაცვლებამდე უნდა შეფასდეს და არაორაზროვნად დადასტურდეს ამ პუნქტში მითითებული ობიექტური მიზეზი. თუ აღნიშნული ვერ დასტურდება საქმე ამ ადვოკატთან/კონსულტანტთან მიმართებით უნდა შეფასდეს დადგენილი წესით;

#### 6. მიმდინარე საქმის შეფასება და შერჩევის წესი

6.1. შემფასებელი უფლებამოსილია შეამოწმოს მიმდინარე ადვოკატის/კონსულტანტის საქმეების/კონსულტაციების წარმოების შესაბამისობა სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებთან საქმის წარმოების სტადიის შესაბამისად და მხოლოდ ამ პუნქტით დადგენილ ფარგლებში;

6.2. შეფასებას ექვემდებარება მიმდინარე წელს ადვოკატის/კონსულტანტის არანაკლებ 5 მიმდინარე საქმე/კონსულტაცია.

6.3. მიმდინარე საქმეებთან მიმართებით, შემფასებელი უფლებამოსილია ადვოკატის/კონსულტანტის მიმდინარე საქმეში შეაფასოს მხოლოდ აქტივობების განხორციელება/განუხორციელებლობის საკითხები, კერძოდ:

- ა) კლიენტთან კომუნიკაცია და დროულობა,
- ბ) აქტივობებზე გამოცხადება ან/და დროულობა (მათ შორის Check-in/out),
- გ) აქტივობების განხორციელება/განუხორციელებლობა (გადადება/გაუქმება),
- დ) გასაჩივრების საკითხები, დროულობა.

6.4. წინამდებარე პუნქტის 6.3. ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისას შემფასებელი უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ ამ თავის 1.1. „ა“, „ვ“, და „ი“ ქვეპუნქტებით დადგენილი საშუალებები.

6.5. შეფასების პროცესში მასიური და არსებითად მნიშვნელოვანი დარღვევების აღმოჩენისას, შემფასებელი უფლებამოსილია შეამოწმოს ამ პუნქტის 6.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულზე მეტი საქმე ან/და ადვოკატის/კონსულტანტის მიმდინარე ყველა საქმე/კონსულტაცია (არსებული რესურსის გათვალისწინებით);

6.6. მიმდინარე საქმეების შერჩევა ხორციელდება შემფასებლის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. თუმცა, ასევე შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს საქმის აქტუალობა, არასრულწოვანის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მონაწილეობა, საქმის სირთულე, მნიშვნელობა, სტრატეგიული სამართალწარმოების მიზნებისათვის მნიშვნელობა და ა.შ.;

## 7. შეფასების სტადიები

7.1. საქმის/კონსულტაციის შეფასება ხორციელდება შემდეგი სტადიების დაცვით:

- ა) შემფასებლის მიერ შესაფასებელი საქმეების შერჩევა;
- ბ) საქმის წარმოების/კონსულტაციის შესაბამისობის დადგენა სამართლებრივი „მომსახურეობის სტანდარტებით“ დადგენილ ვალდებულებებთან;
- გ) სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ამ კარის პირველი თავის 1.1. „ბ-ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით;
- დ) რეკომენდაციების/დასკვნის მომზადება/აცილებით დირექტორისათვის მიმართვა;
- ე) რეკომენდაციის გადახედვა;

7.2. შემფასებელი აფასებს ადვოკატმა/კონსულტანტმა რამდენად განახორციელა „სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებით“ (კარი II) დადგენილი ვალდებულებები და სამართლებრივი მომსახურეობა ერთობლიობაში რამდენად ქმნის ადვოკატის/კონსულტანტის



მიერ საქმის/კონსულტანტის დროულად, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოების/გაცემის განცდას. ამასთან, შემფასებელი არ აფასებს ამ ვალდებულებების შესრულების პროცესში ადვოკატის/კონსულტანტის მიერ კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის შინაარსს (საქმის წარმართვის სტრატეგიის განსაზღვრა არის ადვოკატისა და კლიენტის განხილვის/შეთანხმების საგანი. ამასთან სამსახური უფლებამოსილია შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტთან უკვე შეთანხმებული სტრატეგიის განხორციელებისათვის/აღსრულებისათვის საჭირო ქმედებების/აქტივობების ადვოკატის/კონსულტანტის მიერ სათანადოდ შესრულება);

7.3. დასრულებული საქმეების შეფასებისას შემფასებელი იყენებს „სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარს“ (დანართი N 1.2 და 1.3.);

## 8. საქმის შემოწმების წესი და ვადები

8.1. შემფასებელი შესაფასებელი საქმის იდენტიფიცირების შემდგომ ადვოკატისაგან/კონსულტანტისაგან ითხოვს საქმის მასალებს და თვითშეფასების ფორმას (დასრულებული საქმის შეფასებისას);

8.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია შემფასებელს საქმის მასალები და თვითშეფასების ფორმა გადასცეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 12 სამუშაო დღის ვადაში; ადვოკატის მოთხოვნის შემთხვევაში, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით.

8.3. შემფასებელი ვალდებულია საქმის შეფასება მოახდინოს საქმეების იდენტიფიცირებიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში;

8.4. რთული და კომპლექსური საქმეების შემთხვევაში ან ამ პუნქტის 8.2. ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში, საქმის შემოწმების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვემდე. გადაწყვეტილებას აღნიშნულზე იღებს ხარისხის შეფასების სამმართველოს უფროსი.

## 9. საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა და მიწოდების ვალდებულება

9.1. შემფასებელი უფლებამოსილია გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისაგან ან/და ორგანოებისაგან ან/და სასამართლოდან ასევე პირდაპირ ჰქონდეს წვდომა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაზე (case-bank);

9.2. შემფასებელი თავად უზრუნველყოფს იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (case-bank) შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას ან/და დამუშავებას;

9.3. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და მისი თანამშრომელი ვალდებულია შემფასებებს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია;

9.4. კლიენტის გამოკითხვის შეუძლებლობა ან უარი კმაყოფილების კვლევის ჩატარებაზე/კითხვარის შევსებაზე ან/და უწყებების მიერ ინფორმაციის საქმის შეფასებისათვის ამ წესებით დადგენილ ვადაში მოუწოდებლობა არ შეიძლება განიმარტოს ადვოკატის/კონსულტანტის ინტერესების საზიანოდ;

## 10. საქმის შეფასება და რეკომენდაციის/დასკვნის გაცემა

10.1. „სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასების კითხვარის“ შევსების შემდგომ, საქმე (დასრულებული საქმე) ფასდება შემდეგნაირად:

ა) თუ საქმეში არ არის განხორციელებული სავალდებულო აქტივობები (კითხვარში „სავალდებულო ველში“ მითითებული აქტივობები) ან/და ფიქსირდება უკანონო/არაეთიკური ქმედებები საქმის წარმოება ფასდება უარყოფითად და ადვოკატის მიმართ გაიცემა რეკომენდაცია შესაბამისი შედეგებით;

ბ) თუ საქმეში განხორციელებულია სავალდებულო აქტივობები მაგრამ ფიქსირდება უკანონო/არაეთიკური ქმედებები საქმის წარმოება ფასდება უარყოფითად და ადვოკატის მიმართ გაიცემა რეკომენდაცია შესაბამისი შედეგებით;

გ) თუ საქმეში განხორციელებულია სავალდებულო აქტივობები და არ ფიქსირდება უკანონო/არაეთიკური ქმედებები, ამასთან, საქმისათვის რელევანტური<sup>2</sup> დამატებითი აქტივობების (კითხვარში „დამატებებით ველში“ მითითებული აქტივობები) 50%-ზე ნაკლებია შესრულებული, საქმის წარმოება ფასდება უარყოფითად და ადვოკატის მიმართ გაიცემა რეკომენდაცია შესაბამისი შედეგებით;

დ) თუ საქმეში განხორციელებულია სავალდებულო აქტივობები და არ ფიქსირდება უკანონო/არაეთიკური ქმედებები, ამასთან, საქმისათვის რელევანტური დამატებითი აქტივობების 50%-ზე მეტი შესრულებულია (გარდა ამ ქვეპუნქტის „ე“ მითითებული გამონაკლისებისა) საქმის წარმოება ფასდება დადებითად. საქმის წარმოების დადებითად შეფასების შემთხვევაში, შემფასებელი უფლებამოსილია მიუთითოს ადვოკატის მიერ მომავალში ზოგადად გასათვალისწინებელ საკითხებზე, რომელთა შესრულებაც სხვა საქმეებში მიზანშეწონილია;

ე) თუ საქმეში განხორციელებულია სავალდებულო აქტივობები და არ ფიქსირდება უკანონო/არაეთიკური ქმედებები ასევე საქმისათვის რელევანტური დამატებითი აქტივობების 50%-ზე მეტი შესრულებულია მაგრამ საქმის შეფასებიდან აშკარაა, რომ ადვოკატის მიერ

<sup>2</sup> რელევანტური გულისმობს ამ საქმის სპეციფიკისათვის შესაბამის აქტივობებს. მაგ. თუ ბრალდებულის მიმართ არ არის გამოყენებული პატიმრობა, ამ საქმისათვის არ არის რელევანტური პატიმრობასთან დაკავშირებული აქტივობები.



კონკრეტული ერთი ან მეტი ქმედების/ქმედებების განხორციელებამ/განუხორციელებლობამ („სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასების კითხვარში“ ამ აქტივობის/ქმედებების არსებობა/არსებობის მიუხედავად, თუ ეს აქტივობები/ქმედებები ზოგადად გამომდინარეობს წინამდებარე „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებიდან“ - კარი II) გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქმის წარმოებას ან/და ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად რეალიზაციას, საქმე ფასდება უარყოფითად და ადვოკატის მიმართ გაიცემა რეკომენდაცია შესაბამისი შედეგებით (ანუ შემფასებელი საქმის/კონსულტაციის შეფასებისას ზოგადად იყენებს „სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასების კითხვარს“ და აფასებს მასში მითითებულ აქტივობებს, თუმცა თუ საქმის/კონსულტაციის შესწავლის/დამუშავების შემდგომ შემფასებელი წააწყდება „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებში (კარი II)“ მითითებული ადვოკატის/კონსულტანტის ვალდებულებების აშკარა და უხემ დარღვევებს, რომლებმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქმის წარმოებას ან/და ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად რეალიზაციას, ამ ქვეპუნქტით დადგენილი სავალდებულო/კანონიერი/ეთიკური თუ დამატებითი აქტივობების ვალდებულების შესრულების მიუხედავად საქმე ფასდება უარყოფითად). აღნიშნული შემფასებლის მიერ დეტალურად უნდა დასაბუთეთეს საქმის სტრატეგიაში ჩაურევლად.

10.2. რეკომენდაციაში (საბოლოო ნაწილში) მიეთითება კონკრეტული შეუსაბამობები და გამოსასწორებელი საკითხები. რეკომენდაცია შესაძლოა შეიცავდეს ადვოკატის/კონსულტანტის კონკრეტულ საკითხებში გადამზადების საჭიროებაზე მითითებასაც;

10.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაითვალისწინოს და აღასრულოს რეკომენდაციაში მითითებული საკითხები (მითითებები) გარდა იმ შემთხვევისა, თუ რეკომენდაციის გადახედვის შედეგად ისინი არ გაუქმებულა/შეცვლილა;

10.4. მიმდინარე საქმეებთან მიმართებით, თუ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) არ არის შეყვანილი საჭირო ინფორმაცია, შემფასებელი უფლებამოსილია მიმართოს ადვოკატს, კონკრეტულ ვადაში ინფორმაციის შეყვანის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია ინფორმაცია შეიყვანოს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვალდებულების დარღვევისას ან თუ ინფორმაცია არ არის ადვოკატის მიერ შეტანილი, ვინაიდან კონკრეტული აქტივობა არ განხორციელებულა და აღნიშნული არსებითად ხელყოფს კლიენტის უფლებებსა და ინტერესებს და დაცვას ხდის არაეფექტურს, შემფასებელი მიმართავს დირექტორს ადვოკატის/კონსულტანტის საქმიდან აცილების მოთხოვნით; წვრილმანი შეუსაბამობები, რომელსაც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ერთობლიობაში საქმის დროულად, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოებაზე არ შეიძლება გახდეს შემფასებლის მხრიდან ადვოკატისავის/კონსულტანტისათვის საქმის აცილების მიმართვის საფუძველი;

10.5. თუ შემფასებელი დაადგენს, რომ საქმე/კონსულტაცია შეესაბამება „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებს“ („სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასების კითხვარით“ დადგენილი წესით) მაშინ აყალიბებს დასკვნას;



10.6. რეკომენდაცია/დასკვნა ეგზავნება სამსახურის დირექტორს და შესაბამის ადვოკატს/კონსულტანტს;

## 11. რეკომენდაციის შედეგები და გადახედვა

11.1. ადვოკატი/კონსულტანტი უფლებამოსილია რეკომენდაციასთან დაკავშირებით თავისი დასაბუთებული შენიშვნები წარადგინოს შემფასებელთან რეკომენდაციის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

11.2. რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ ადვოკატის/კონსულტანტის შენიშვნები არ შეიძლება ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ ადვოკატს/კონსულტანტს არასრულყოფილად ჰქონდა შევსებული იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) ან/და არ მოუხდენია კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარის/მომსახურეობის პირობები შევსება ან/და არ წარუდგენია/არასრულყოფილად წარადგინა თვითშეფასების ფორმა ან/და არასწორად (ამ წესით დადგენილი დებულებების დარღვევით) აწარმოა საქმის მარეტიკული მასალები. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის/კონსულტანტის შენიშვნები დარჩება რეაგირების გარეშე და ის არ იქნება მხედველობაში მიღებული რეკომენდაციის გადახედვისას;

11.3. ადვოკატის/კონსულტანტის შენიშვნის მიღებიდან 5 სამუშაო ვადაში შესაბამისი ხარისხის შეფასების სამმართველო სწავლობს წარდგენილ შენიშვნებს. საკითხის შესწავლა უნდა განხორციელდეს იმ შემფასებლის მიერ, რომელსაც რეკომენდაციის მომზადებაში არ მიუღია მონაწილეობა;

11.4. შენიშვნების გაზიარების ან არ გაზიარების შედეგები ეცნობება სამსახურის დირექტორს და შესაბამისად ადვოკატს/კონსულტანტს;

11.5. რეკომენდაციაზე შენიშვნების წარდგენა არ აჩერებს ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის მენტორის განსაზღვრის ან ტრენინგებზე დასწრების ან რეკომენდაციის გათვალისწინების ვალდებულებას.

## **თავი III. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების შედეგები**

### 1. მენტორის დანიშვნა

1.1. შემფასებლის მიერ რეკომენდაციის გაცემის შეთხვევაში ადვოკატს/კონსულტანტს კონკრეტულ სფეროში ან ზოგადად განესაზღვრება მენტორი (ერთი ან რამდენიმე პირი);

1.6. შემფასებელი, შეფასებული საქმის/კონსულტაციის (დასრულებული საქმე) სამართლებრივი მომსახურეობის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიუხედავად,



მიმართავს სამსახურის დირექტორს ადვოკატისათვის მენტორის დანიშვნის მოთხოვნით თუ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას (კარი III, თავი I, 1.1. „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტები) გამოვლინდება, რომ:

ა) ადვოკატს მიმდინარე წელს ასევე შემოწმების განხორციელების წინა წელს არცერთ საქმეში არ აქვს მიღწეული წარმატებული შედეგი (საბოლოო გადაწყვეტილებით კლიენტის სასარგებლო შედეგი: სარჩელის დაკმაყოფილება ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება ან გამამართლებელი განაჩენი ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი, მორიგება, მედიაცია და ა.შ.);

ბ) ადვოკატს მიმდინარე წელს ასევე შემოწმების განხორციელების წინა წელს არცერთ საქმეში არ აქვს მიღწეული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება (შესაბამისი საქმეების არსებობისას);

გ) ადვოკატს მიმდინარე წელს ასევე შემოწმების განხორციელების წინა წელს არცერთ საქმეში არ აქვს მიღწეული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილება (შესაბამისი საქმეების არსებობისას, საქმეში მსგავსი მოთხოვნის არსებობისას);

დ) ადვოკატს მიმდინარე წელს ასევე შემოწმების განხორციელების წინა წელს უმეტესწილად (საქმეების 50% და მეტი) საერთოდ არ აქვს ჩატარებული საქმეების დამოუკიდებელი გამოძიება;

ე) ადვოკატს მიმდინარე წელს ასევე შემოწმების განხორციელების წინა წელს არ აქვს გავლილი გადამზადების პროგრამები (იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურს ზოგადად ჰქონდა შეთავაზებული ადვოკატებისათვის ტრენინგები და ადვოკატმა თავისი ინიციატივით არ ჩათვალა საჭიროდ მათზე დასწრება ან/და არ გაიარა სამსახურის მიერ დადგენილი სავალდებულო ტრენინგები).

1.2. მენტორის შერჩევისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მენტორის სახელმძღვანელო წესების (დანართი N2) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ტრენინგების გავლა

3.1. თუ რეკომენდაცია შეიცავს ადვოკატის/კონსულტანტის კონკრეტულ საკითხებში გადამზადების საჭიროებას, მაშინ მენტორის განსაზღვრასთან ერთად ადვოკატი ვალდებულია გაიაროს შესაბამისი ტრენინგები;

3.2. ტრენინგების საჭიროების შემთხვევაში საკითხი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო ცენტრს, რომელიც აორგანიზებს შესაბამისი ტრენინგის ჩატარებას;

3.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დაესწროს ტრენინგს;

3.4. გადამზადების პროგრამის - ტრენინგის დასრულების შემდეგ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გაიაროს შესაბამისი ტესტირება/შეასრულოს წერილობითი დავალება. ტრენინგის გავლა შესაძლოა მოხდეს განმეორებით, თუ ადვოკატი/კონსულტანტი ვერ ჩააბარებს ტესტირებას/ვერ შეასრულებს დავალებას. ტრენინგის ხელმეორედ გავლის შემთხვევაშიც ხდება შესაბამისი ტესტირება/დავალების შესრულება. ტრენინგის გავლის უფლება ადვოკატს აქვს მხოლოდ ორჯერ.

3.5. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ტრენინგის გავლის ინფორმაცია და შედეგები ეგზავნება სამსახურის დირექტორს და შესაბამის ადვოკატს/კონსულტანტს.



**მომსახურების პირობები<sup>1</sup>**

N/\_\_\_\_\_ /  
(ნომერი ან/და ბარკოდი)

**საზოგადოებრივი  
ადვოკატის საქმეში  
ჩართვის საფუძველი,  
კონსულტაციის მიღების  
წესი**

- საზოგადოებრივ ადვოკატის (შემდგომ „ადვოკატი“) საქმეში ჩართვის საფუძველია „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რათა კლიენტისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მართლმსაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობა და დაცულ იქნეს კლიენტის კანონიერი უფლებები და ინტერესები;
- ადვოკატი ინიშნება კლიენტის, მისი ახლო ნათესავის/ოჯახის წევრის ასევე შესაბამისი საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მომართვის საფუძველზე.
- კლიენტს ნებისმიერ დროს აქვს უფლება უარი განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებაზე და ისარგებლოს კერძო ადვოკატის მომსახურებით.
- ყველას აქვს უფლება, იურიდიული დახმარების შესახებ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე.

**მომსახურების პირობები**

- ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული ყველა სახის მომსახურება არის უფასო.

**ადვოკატის/კონსულტანტის  
მომსახურების ფორმა**

- ადვოკატის მომსახურება მოიცავს სამართლებრივ კონსულტაციას, დოკუმენტის შედგენას, წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში.
- კონსულტანტის მომსახურება მოიცავს სამართლებრივ კონსულტაციას, დოკუმენტის შედგენას.

**ადვოკატის საქმიანობის  
პრინციპები (ვრცელდება  
კონსულტანტზეც)**

- **დამოუკიდებლობის პრინციპი** - ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეზე ზეგავლენისგან ან სხვა სახის ზეწოლისგან და ემორჩილება მხოლოდ კანონმდებლობას და ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის ნორმებს. სამსახურს არ აქვს უფლება ჩაერიოს ადვოკატის მიერ საქმის წარმართვის პროცესში. ადვოკატი საქმის ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებს/სტრატეგიას უთანხმებს მხოლოდ კლიენტს.
- **კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა** - ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ის პირად ან სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმართვის სტრატეგია (ადვოკატის მიერ საქმეზე განსახორციელებელი კანონიერი მოქმედებები და მათი განხორციელების მეთოდები) შეთანხმოს კლიენტთან და იმოქმედოს ამ მითითებების შესაბამისად. შეთანხმებული ქმედებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა განუმარტოს კლიენტს მიზეზები. ადვოკატს არ აქვს უფლება შეასრულოს კლიენტის მითითებები თუ ისინი ეწინააღმდეგება კანონს.
- **კონფიდენციალობის პრინციპი** - კლიენტს შეუძლია თავისუფლად გაანდოს ადვოკატს საქმესთან დაკავშირებული ან სხვა ინფორმაცია, რადგან ასეთი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია კანონით. დაუშვებელია კლიენტისა და ადვოკატის კომუნიკაციის ფარული ჩაწერა ან სხვაგვარად მიყურადება. ადვოკატს შეუძლია გამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ კლიენტის თანხმობით, ასევე თუ ეს გამომდინარეობს კლიენტის ინტერესების დაცვის პრინციპიდან ან თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად. კლიენტს შეუძლია ადვოკატს განუსაზღვროს იმ პირთა წრე (მაგალითად, ოჯახის წევრები), რომელთაც შეიძლება გადაეცეთ საქმეზე ინფორმაცია ან პირიქით, აუკრძალოს მესამე პირებისთვის (მათ შორის, ოჯახის წევრებისთვის) ინფორმაციის მიწოდება. თუ კლიენტს არ გამოუთქვამს ამ საკითხზე მოსაზრება, ადვოკატი ვალდებულია თავისი ინიციატივით დაადგინოს იმ საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ ინფორმაცია. კლიენტისა და ადვოკატის ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცულია წარმომადგენლობის განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომაც.
- **ინტერესთა შეუთავსებლობა** - ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა იმ კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმომადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის ან კონფიდენციალობის

<sup>1</sup> შენიშვნა! მომსახურების პირობები არ იცვლება არასრულწლოვანის, მხარდაჭერისა და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეებზე. აღნიშნულ შემთხვევაში, მომსახურების პირობებს ხელს აწერს მხოლოდ ადვოკატი. ადვოკატის ხელმოწერით ის იღებს პასუხისმგებლობას და ადასტურებს, რომ ადვოკატმა კლიენტს კეთილსინდისიერად და მისთვის გასაგებ ენაზე და ფორმით განუმარტა „მომსახურების პირობები“ და ადვოკატს გულისხმიერად სჯერა, რომ კლიენტმა გაიგო და თანხმობას აცხადებს მასზე.

<sup>2</sup> აღნიშნული და ამ დოკუმენტის მე-4 გვერდზე მითითებული ნომერი ან/და ბარკოდი უნდა იყოს ერთი და იგივე.



ხელყოფის საფრთხე, ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ურთიერთსაწინააღმდეგოა (მაგალითად, როდესაც წარმომადგენელია მშობლ(ებ)ის და ბავშვის ინტერესები) ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე, ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა მაშინაც თუ კლიენტის ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებს.

➤ **ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი** - ადვოკატი ვალდებულია გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის ინტერესების დაცვას და გამოიჩინოს სათანადო ყურადღება მის მიმართ. ადვოკატმა აქტიურად უნდა მოუსმინოს კლიენტს, ადვოკატი კლიენტსა და სხვა პირებს უნდა მოეპყრას პატივისცემით, დაიცვას კოლეგალობა და დადგენილი წესრიგი.

**კლიენტთან კომუნიკაცია**

- ადვოკატისათვის საქმის გადაცემის შემდგომ კლიენტთან შეხვედრა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ ან 24 საათის განმავლობაში პირისპირ. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც კლიენტთან დაუყოვნებლივ ან 24 საათში შეხვედრა ობიექტურად შეუძლებელია და ეს არ ხელყოფს კლიენტის ინტერესებს ადვოკატი კლიენტს უნდა შეხვედეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, პირველივე შესაძლებლობისთანავე გონივრულ ვადაში;
- ადვოკატი კლიენტს უნდა შეხვედეს საპროცესო, საგამომიებო ან სხვა ღონისძიების, ასევე სასამართლო სხდომის გამართვამდე.
- შეხვედრისას ადვოკატმა/კონსულტანტმა კლიენტს უნდა განუმარტოს უფლებები, გააცნოს საქმე და შეათანხმოს საქმის წარმართვის სტრატეგია, განსაზოგადოებელი მოქმედებები და მათი განხორციელების საშუალებები.
- ადვოკატი ვალდებულია საქმის დასრულებამდე, გონივრული პერიოდულობით ჰქონდეს კლიენტთან კომუნიკაცია პირადად, სატელეფონო ან სხვა ელექტრონული საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტთან კონფიდენციალურ კომუნიკაციას და ინფორმაციის თავსუფლად და სათანადოდ მიმოცვლას.
- შეჩერებულ ან ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც სამართლებრივი პროცედურების განხორციელება იგეგმება ხანგძლივი პერიოდის შემდგომ, ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს მომდევნო კომუნიკაციის სავარაუდო დრო და პირობები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირების საშუალება. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი კლიენტთან პერიოდული კომუნიკაცია თუ ეს საფრთხის ქვეშ არ დააყენებს ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობას.
- კლიენტთან შეხვედრა სავალდებულოა თუ სასამართლო პროცესამდე ან სხვა საგამომიებო ან საპროცესო ღონისძიებების განხორციელებამდე შეიცვალა საქმესთან დაკავშირებული ვითარება (ახალ მტკიცებულებების მოპოვება, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ შეთავაზების მიღება და ა.შ.) ან თუ კლიენტი კომუნიკაციას ითხოვს მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკების, სამართალდამცავი, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ მის მიმართ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ახალი მტკიცებულების აღმოჩენის ან საქმესთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხის გამო.

**კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება და ფარგლები**

- ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია დროულად, გასაგები ენით მიაწოდოს კლიენტს ამომწურავი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქმესთან დაკავშირებით კლიენტის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად.
- კლიენტს უნდა განუმარტოს მისი უფლებები, ადვოკატის როლი და საქმიანობის პრინციპები, საქმის არსი, მისი წარმართვის პროცედურები, ალტერნატივები და შედეგები ასევე ნებისმიერი სამართლებრივი საკითხი, რომელიც მას საქმესთან დაკავშირებით აინტერესებს.
- ადვოკატი ვალდებულია კლიენტს გააცნოს საქმის მასალები და მისი მოთხოვნის შემთხვევაში უფასოდ გადასცეს ასლები, ხოლო საქმის დასრულების შემდეგ, კლიენტს მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მიწოდებული დოკუმენტების დედნები.
- ადვოკატი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებების შესახებ და განიხილოს მასთან ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.
- ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატთან კომუნიკაციის დროის, პერიოდულობისა და საშუალებების შესახებ;

**პერსონალური მონაცემების დამუშავება**

- იურიდიული დახმარების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ამუშავებს კლიენტის პერსონალურ ინფორმაციას საქმის წარმოების, ხარისხის კონტროლის, სტატისტიკის დამუშავების, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და კანონით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით.
- **პერსონალური მონაცემში** იგულისმება კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მას. კერძოდ, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია,



ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი, ჯანმრთელობის მდგომარეობა ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

➤ მესამე პირებისათვის კლიენტის პერსონალური მონაცემების გადაცემა შესაძლებელია კლიენტის თანხმობით ან მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით;

**მომსახურების ხარისხის  
კონტროლი**

- სამსახურში არსებობს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც გულისმობს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის კონტროლს. შეფასების სისტემის მიზანია კლიენტმა მიიღოს ეფექტური სამართლებრივი დახმარება. ამისათვის, სამსახურს უფლება აქვს შეისწავლოს ადვოკატის საქმისწარმოება, გაანალიზოს ადვოკატის მიერ საქმეზე განსახორციელებელი აქტივობები, კლიენტთან სხვა უწყებებთან სათანადოდ კომუნიკაციის საკითხები, აქტივობების დროულობა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- მომსახურების შეფასებისას სამსახური უფლებამოსილია დაუკავშირდეს კლიენტს და ჩაატაროს კლიენტის კმაყოფილების კვლევა;

**კლიენტის  
პასუხისმგებლობა და  
ვალდებულებები**

- ორმხრივი ნდობა, თავაზიანობა და პატივისცემა არის ადვოკატის/კონსულტანტისა და კლიენტის ურთიერთობისა და კლიენტის უფლებების ეფექტურად დაცვის უმთავრესი წინაპირობა. ამ ურთიერთობის ფარგლებში კლიენტი მიმართავს ადვოკატს ინფორმაციის მიწოდებისათვის, საქმის განმარტებისათვის, უფლებების დაცვის/რეალიზაციის გზების ძიებისა და სამართლებრივი რჩევისათვის. კლიენტი უნდა აცნობიერებდეს, რომ ადვოკატს/კონსულტანტს კანონის საფუძველზე აქვს ვალდებულება შეასრულოს კლიენტის უფლებების დაცვა/წარმომადგენლობა; კლიენტის უფლებების დაცვის მოლოდინების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:
  - კლიენტი ადვოკატს/კონსულტანტს უნდა მოექცეს თავაზიანად და შეინარჩუნოს მასთან საქმიანი ურთიერთობა. დაუშვებელია შეურაცმყოფელი დამოკიდებულება, ყვირილი, უშვერი სიტყვების გამოყენება ადვოკატის/კონსულტანტის ან მისი ახლობლების, გარემოცვის მიმართ ან მათი შევიწროება ან კანონით აკრძალული სხვა ღონისძიებების გამოყენება. თუ კლიენტი რაიმე საფუძველით უკმაყოფილოა ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურებით მას შეუძლია საჩივარი დააფიქსიროს მხოლოდ მომსახურების პირობებში მითითებული ფორმით ან მოითხოვოს ადვოკატის აცილება სასამართლოში ან პროცესის მწარმოებელ ორგანოში;
  - კლიენტმა ადვოკატს/კონსულტანტს გულწრფელად და სრულად უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია და მტკიცებულებები მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაძლოა იყოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ან მისთვის უხერხული;
  - კლიენტმა ხელი არ უნდა შეუშალოს ადვოკატს/კონსულტანტს თავისი ვალდებულებების შესრულებაში;
  - კლიენტმა უნდა დაიცვას ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული კომუნიკაციის წესი და უმიზეზოდ და დაუსაბუთებლად არ უნდა მოითხოვოს ადვოკატთან/კონსულტანტთან შეხვედრა;
  - კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ადვოკატს მისი საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;

**თუ თქვენ თვლით რომ ადვოკატის/კონსულტანტის საქმიანობა, თქვენდამი, საქმეში ჩართული სხვა პირებისადმი ან საქმისადმი დამოკიდებულება არ შეესაბამება ზემოთ მითითებულ სტანდარტებს ან არსებობს სხვა გარემოება, შეგიძლიათ თავად ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით:**

- ❖ განცხადებით მიმართოთ სამსახურის დირექტორს (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 140ა).
- ❖ დარეკოთ ცხელ ხაზზე 1485 ან ნომერზე 292 00 55
- ❖ გამოაგზავნოთ წერილი ელ-ფოსტაზე: [complaints@legalaid.ge](mailto:complaints@legalaid.ge)
- ❖ დაუკავშირდეთ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ტელეფონზე: 298 78 78 ან ელ-ფოსტაზე: [ethics@gba.ge](mailto:ethics@gba.ge).



N/ \_\_\_\_\_  
(ნომერი ან/და ბარკოდი)

**კლიენტის საინფორმაციო ფურცლის გადაცემის ხელმოწერილი**

**კლიენტი**

სახელი, გვარი, ხელმოწერა

**ხელმოწერა<sup>3</sup>**

**ადვოკატი/კონსულტანტი**

სახელი, გვარი, ხელმოწერა

**ხელმოწერა**

**თარჯიმანი**

სახელი, გვარი, ხელმოწერა

**თარიღი**

<sup>3</sup> შენიშვნა! თუ კლიენტი უარს აცხადებს მომსახურების პირობების ხელმოწერაზე, მაშინ დოკუმენტს ხელს აწერს მხოლოდ ადვოკატი/კონსულტანტი. კლიენტის ხელმოწერის გრაფაში ადვოკატი/კონსულტანტი აღნიშნავს კლიენტის მიერ ხელის მოწერაზე უარის თქმის საფუძველს. ადვოკატის/კონსულტანტის ხელმოწერით ის იღებს პასუხისმგებლობას და ადასტურებს, რომ მან კლიენტს კეთილსინდისიერად და მისთვის გასაგებ ენაზე და ფორმით განუმარტა „მომსახურების პირობები“ და ადვოკატს/კონსულტანტს გულისმობდა სჯერა, რომ კლიენტმა გაიგო პირობები.







<p>სამართალდამცავი, პროცესის მწარმოებელი ან სხვა ორგანოს მხრიდან კლიენტის მიმართ წამების, არადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის ან სხვა სახის ძალადობის განხორციელების მოტივით კლიენტის მიერ ადვოკატთან კომუნიკაციის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტთან დაუყოვნებლივ შეხვედრა (სტანდარტი 1, 4.7-ე ქვეპუნქტი)</p>			
<p>საქმის გადაცემიდან 24 საათში ან/და გონივრულ ვადაში კლიენტთან შეხვედრა (სტანდარტი 1, 2.2-ე ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან შეხვედრა საქმეზე აქტივობების განხორციელებამდე (სტანდარტი 1, 2.1-ე ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან პირადად შეხვედრა (პირველად კომუნიკაციას) ან/და გამონაკლის შემთხვევაში სათანადო საფუძვლების არსებობისას სხვა საშუალებებით კომუნიკაცია (სტანდარტი 1, 2.3-ე ქვეპუნქტი და 3.3. ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან შეხვედრა/კომუნიკაცია საქმის მასალების გაცნობის შემდგომ, თუ პირველი კომუნიკაცია მოხდა საქმის მასალების გაცნობის გარეშე (სტანდარტი 2, 8.3-ე ქვეპუნქტი)</p> <p>შუამდგომლობა საპროცესო/საგამომიებო ან სხვა დონისძიების გადადების ან/და კლიენტთან სათანადო კომუნიკაციისთვის სავმარისი დროის მოთხოვნის შესახებ, როცა ადვოკატისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ ხორციელდება კლიენტთან შეხვედრა საპროცესო/საგამომიებო ან სხვა მოქმედების განხორციელებამდე/სამართლო სხდომის გამართვამდე (სტანდარტი 1, 2.6 ქვეპუნქტი)</p>			

დამატებითი





<p>კლიენტთან პირველი შეხვედრისას მომდევნო კომუნიკაციის ფორმის შეთანხმება (სტანდარტი 1, 2.4.-ე ქვეპუნქტი)</p>			
<p>კლიენტის შეტყობინება/კლიენტთან შეხვედრა შეთანხმებული ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში (სტანდარტი 1, 4.1. „ბ“ ქვეპუნქტი, სტანდარტი 2, 14.2. „ბ“ ქვეპუნქტი)</p>			
<p>კლიენტის შეტყობინება/კლიენტთან შეხვედრა სავროცესო მოქმედების შესრულების ვადების გაშვების შესახებ/ამ ვადების გაშვების საფუძვლების ასევე შემდგომი შესაძლო მოქმედებების განმარტება (სტანდარტი 2, 14.2. „გ“ ქვეპუნქტი)</p>			
<p>კლიენტთან პირისპირ კომუნიკაცია საქმის მიმდინარეობისას, თუ კლიენტის პიროვნული მახასიათებლები ან საქმის გარემოებები, მათ შორის შესათანხმებელი ინფორმაციის სირთულე, მოცულობა და ა.შ. ამას მოითხოვს (სტანდარტი 1, 3.2.-ე ქვეპუნქტი)</p>			
<p>კლიენტთან შეხვედრა თუ კლიენტი დააყენებს ადვოკატთან კომუნიკაციის „გონივრულ მთხოვნას“ (სტანდარტი 1, 4.1, 4.5. და 4.6.-ე ქვეპუნქტები)</p>			
<p>„პასიურ საქმესთან“ მიმართებით კლიენტისთვის მომდევნო კომუნიკაციის სავარაუდო დროის და პირობების განმარტება (სტანდარტი 1, 4.2. ქვეპუნქტი)</p>			
<p>„პასიურ საქმეზე“ სამართლებრივი პროცედურების დაგეგმვისთანავე ან აქტივობების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში ან მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებების შემთხვევაში კლიენტთან შეხვედრა (სტანდარტი 1, 4.4.-ე ქვეპუნქტი)</p>			
<p>კლიენტისათვის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობების გაცნობა (სტანდარტი 2, 14.2. „ა“ ქვეპუნქტი)</p>			



კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის საქმის მასალების გადაცემა (სტანდარტი 2, 20.1.-ე ქვეპუნქტი)					
კლიენტთან შეხვედრა საქმისათვის არსებითი ახალი მტკიცებულების მოპოვების შემთხვევაში (სტანდარტი 2, 14.2. „დ“ ქვეპუნქტი)					
კლიენტთან კომუნიკაციას თავაზიანობა (სტანდარტი 2, 1.2.-ე ქვეპუნქტი)					
კლიენტთან კომუნიკაციას გასაგები, მარტივი ენის გამოყენება, ასაკის, შესაძლებლობებისა და ა.შ. გათვალისწინება (სტანდარტი 2, 1.3.-ე, 3.1.-ე, 4.4.-ე, 5.1.-ე, 5.2.-ე, 5.3.-ე ქვეპუნქტი)					
კლიენტის საქმეზე ინფორმაციის მიწოდებისათვის საკონტაქტო პირთა წრის დადგენა (სტანდარტი 2, 19-ე ქვეპუნქტი)					
კლიენტთან კომუნიკაციისას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვის მოთხოვნა (სტანდარტი 2, 1.4, 2.3.-ე ქვეპუნქტი)					
კლიენტის ნდობის მოპოვებაზე ორიენტაცია (სტანდარტი 2, 1.5 ქვეპუნქტი)					
საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების შესახებ კლიენტის მიერ ადვოკატის ინფორმირების შემთხვევაში ადვოკატის შესაბამისი რეაგირება (სტანდარტი 2, 31.1-ე ქვეპუნქტი)					
სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შესახებ კლიენტის მიერ ადვოკატის ინფორმირების შემთხვევაში ადვოკატის შესაბამისი რეაგირება (სტანდარტი 2, 31.2-ე ქვეპუნქტი)					
ადვოკატის/მისი ახლობლების/ოჯახის წევრებისათვის ზიანის მიყენების შესახებ კლიენტის მიერ ინფორმირების შემთხვევაში ადვოკატის შესაბამისი რეაგირება (სტანდარტი 2, 31.3-ე ქვეპუნქტი)					





სავალდებულო					
<b>II. უფლებების განმარტება</b>					
კლიენტისათვის უფლებების განმარტება (სტანდარტი 2, 12.1.-ე, 12.3-ე ქვეპუნქტები, სტანდარტი 8, მე-4 ქვეპუნქტი)					
კლიენტისათვის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება (სტანდარტი 2, 13.1.-ე, 13.2-ე ქვეპუნქტები)					
კლიენტისათვის „მომსახურების პირობების“ გადაცემა (სტანდარტი 2, 1.1.-ე, 12.5-ე ქვეპუნქტები)					
ადვოკატის აცილების წინაპირობების წესის კლიენტისათვის განმარტება (სტანდარტი II, 12.4-ე ქვეპუნქტი, სტანდარტი 5, 8.4-ე ქვეპუნქტი)					
საზოგადოებრივი ადვოკატის წარმომადგენლობაზე კლიენტის უარის თქმის შემთხვევაში, კლიენტისათვის შედეგების დეტალურად განმარტების შესახებ ხელწერილის ჩამორთმევა (სტანდარტი 2, 39.1-ე ქვეპუნქტი)					
<b>III. საქმის წარმართვის სტრატეგია</b>					
კლიენტთან საქმის წარმართვის სტრატეგიის შეთანხმება (სტანდარტი 2, 22.1-ე ქვეპუნქტი, სტანდარტი 8, მე-4 ქვეპუნქტი)					



	<p>საქმის წარმართვის სტრატეგიის - საქმის წარმართვასა და საქმესთან დაკავშირებით განსახორციელებელი მოქმედებების არსებით პირობებზე კლიენტთან შეუთანხმებლობის მოტივით საქმიდან გამოცილების შემთხვევაში, კლიენტისათვის წერილობითი დასაბუთებული პოზიციის ჩამართვა (სტანდარტი 2, 23.4-ე ქვეპუნქტი)</p>					
<p><b>დამატებითი</b></p>	<p>პროცესზე ან სხდომაზე დაცვის მხარის მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში, კლიენტთან საკითხის წერილობით შეთანხმება (სტანდარტი 2, 22.5-ე ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან საქმის წარმართვის სტრატეგიის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქმის წარმოების გაგრძელება თუ ამას მოითხოვს კლიენტის ინტერესი კლიენტის მითითების შესაბამისად (სტანდარტი 2, 23.5-ე ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან სტრატეგიის შეუთანხმებლობისას მენტორის პოზიციის მოსმენა და კლიენტისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება (სტანდარტი II, 23.6-ე ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან შეთანხმებული კონკრეტული ქმედების განხორციელება (სტანდარტი 2, 22.2-ე ქვეპუნქტი)</p>					
<p><b>შედეგი</b></p>	<p>IV. საქმეზე მომზადება</p> <p>კლიენტის საქმის მასალების არსებობა (სტანდარტი 5, 2.2-ე ქვეპუნქტი)</p>					



დამატებითი						
<p>აღვოვატის მიერ იმ დარგის მატერიალური და სპორივსო კანონმდებლობის ცოდნა, რომელშიც მას საქმეში ესაჭიროება (სტანდარტი 2.10.2. ქვეპუნქტი)<sup>7</sup>.</p> <p>პროცესმდე/სავროცესო, სავამომიებო მოქმედებამდე საქმის მასალებს გაცნობის ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი შუამდგომლობის დაყენება გადადების ან საქმის გასაცნობად დროის მიცემის შესახებ (სტანდარტი 2.8.4-ე ქვეპუნქტი)</p> <p>საქმის მასალების დადგენილი წესით წარმოება (სტანდარტი 5.2.5-ე, 2.6-ე, 2.7-ე, 2.8-ე, 2.9-ე, ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტი)</p> <p>საქმის დასრულება დადგენილი წესით (სტანდარტი 5.5.1-ე ქვეპუნქტი)</p> <p>საქმის დაარქივება დადგენილი წესით (სტანდარტი 5.5.2-ე ქვეპუნქტი)</p> <p>დედნების დამზრუნება კლიენტისათვის დადგენილი წესით (სტანდარტი 5, მე-6 ქვეპუნქტი)</p> <p>კლიენტთან კომუნეიაციის კითხვარის შევსება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით (სტანდარტი 2.12.2-ე ქვეპუნქტი)</p> <p>იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემებში (case-bank) ინფორმაციის სრულყოფილად ასახვა (სტანდარტი 2.41.1-ე ქვეპუნქტი)</p> <p>საქმის კოდის (court.ge) მითითება იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემებში (case-bank) (სტანდარტი 2.41.2-ე ქვეპუნქტი)</p> <p>იმავე საქმის აღვოვატის ჩართულობის საკითხის დაზუსტება (სტანდარტი 8, 23-ე პუნქტი)</p>						

<sup>7</sup> აღნიშნული ვასდება ერთი შეხედვის პრინციპით „prima facie“ საქმის წარმოება ზოგადად უნდა ეხრიდეს აღნიშნულის მთაბეჭდილებას. აქტუობა ვასდება დადგენილად თუ საქმეში არ არის ვინეორ აშვარა მტვირეხულობა, რომეოვ ადასტურებს საწინააღმდეგოს.



<p>კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარისათვის მორიგების გაფორმების შეთავაზება (სტანდარტი 8, მე-15 პუნქტი)</p> <p>ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე მონაწილეობის გამოცდილების არარსებობისას მენტორის ჩართვის მოთხოვნა (სტანდარტი 8, 16.3.-ე ქვეპუნქტი)</p>			
<b>V. საქმის გამოძიება</b>			
<p>ადვოკატის მიერ საქმეზე დამუკიდებელი გამოძიების ჩატარება - მტკიცებულებების მოპოვება/შეკრება, მოწმეების დაკითხვა, ადგილის დათვალიერება, ფაქტობრივი გარემოებების მოძიება, ექსპერტიზის დანიშვნა, ექსპერტიზის დასკვნაზე მოსაზრებების წარდგენა და ა.შ.<sup>8</sup> (სტანდარტი 4, 1.1.-ე, 1-4-ე ქვეპუნქტები)</p>			
<p>მტკიცებულებების მოპოვების დროულობა (პროცესიდან გამომდინარე არსებობს თუ არა მათი წარდგენის შესაძლებლობა) (სტანდარტი 4, 2.2.-ე ქვეპუნქტი)</p> <p>საქმეში ბრალდების მხარის/მოწინააღმდეგე მხარის მიერ ექსპერტის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში შესაბამისი შედაგების/მოსაზრების წარდგენა მათ შორის მაგ. ექსპერტის მეთოდზე, კვალიფიკაციაზე, კომპეტენციაზე, სპეციალიზაციაზე, დამოუკიდებლობაზე, მიუკერძოებლობაზე და ა.შ. (სტანდარტი 4, 8.2.-ე ქვეპუნქტი)</p>			

<sup>8</sup> საქმეში ზოგადად უნდა ფიქსირდებოდეს ადვოკატის აქტივობა(ებ)ა საქმის გამოძიებისათვის.





მოწმეების მოძიება და გამოკითხვა (სტანდარტი 4, მე-4 პუნქტი)					
3.5. საპროცესო ვადების გაშვების მიზეზები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

შეთანხმდა შემდგომი მოქმედებები

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

მოქმედებები<sup>12</sup> \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

<sup>9</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად. მაგ. მოწმის გამოკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.

<sup>10</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად. მაგ. გასაჩივრება და ა.შ.

<sup>11</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად. მაგ. გასაჩივრება და ა.შ.





საქმე N \_\_\_\_\_

კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი  
სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე

თავი I.  
ზოგადი ინფორმაცია

კლიენტის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

ადვოკატის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

საქმის მასალების გაცნობა<sup>1</sup>

კლიენტთან შეხვედრამდე  შეხვედრის შემდეგ \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

საქმის მასალების გაცნობის შემდგომ კლიენტთან შეხვედრა/დროის მოთხოვნა საქმის მასალების გასაცნობად<sup>2</sup>

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

თავი II.  
ძირითადი ინფორმაცია<sup>3</sup>

**1. კლიენტს განემარტა:**

1.1. იურიდიული დახმარების პირობები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.2. ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობის პრინციპები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა აცილება

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.4. საზოგადოებრივი ადვოკატის წარმომადგენლობაზე კლიენტის უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულის შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.5. კლიენტთან შემდგომი კომუნიკაციის ფორმა და წესი

შეთანხმება  არ განემარტა, არ შეთანხმდნენ \_\_\_\_\_

<sup>1</sup> ავსებს თავად ადვოკატი;

<sup>2</sup> თუ ადვოკატი კლიენტს შეხვდა საქმის მასალების გაცნობის გარეშე, ავსებს თავად ადვოკატი;

<sup>3</sup> თუ საქმისათვის რომელიმე აქტივობა არ არის რელევანტური უნდა მიეთითოს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ აქტივობა არ განხორციელებულა.



(მიზეზი)

1.6. საქმისათვის რელევანტური საპროცესო და მატერიალური უფლებები, მათ შორის სარჩელის ცნობის, სარჩელზე უარის თქმის, აღიარების და ა.შ. შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.7.  საქმის არსი  საჭირო მტკიცებულებები და  საქმის წარმართვის ალტერნატივები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.8. პროცესის ხარჯები და ოდენობა, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების/შემცირების/გადახდის გადავადების შესახებ

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების/შემცირების/გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომლობის წარდგენაზე თანხმობა

კი  არა

1.9.  სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების,  საპროცესო უზრუნველყოფის,  მტკიცებულებათა უზრუნველყოფის არსი, განცხადების წარდგენის წესი, პროცედურა და ვადები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა  სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების,  საპროცესო უზრუნველყოფის,  მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენაზე თანხმობა

კი  არა

1.10. საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესაძლებლობა და სამართლებრივი საფუძვლები, მედიაციის პროცედურა, ვადები, მედიატორის როლი და მედიაციაში საქმის დასრულების შესაძლო შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა საქმის მედიაციაში გადაცემის თანხმობა

კი  არა

1.11.  ადმინისტრაციულ ორგანოში  სასამართლო სხდომაზე,  მედიაციაში გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_

1.12. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა მოპოვების წესი

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.13. მორიგების შესაძლებლობა და შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა თანხმობა

საქმე N \_\_\_\_\_

კი  არა

1.14. საქმისწარმოების მიმდინარების ეტაპები, საქმეში მონაწილე პირების როლი

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.15. იმავე სქესის ადვოკატის ჩართვის უფლება<sup>4</sup>

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა თანხმობა იმავე სქესის ადვოკატის მოწვევაზე

კი  არა

1.16. კლიენტის საწინააღმდეგოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების (განჩინება და ა.შ.) შედეგები, მისი გასაჩივრების წესი, ვადები და პროცედურები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა გასაჩივრებაზე თანხმობა

კი  არა<sup>5</sup>

1.17. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესი და პროცედურა

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

## 2. კლიენტთან შეთანხმება:

2.1. საქმის წარმართვის სტრატეგია

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

2.2. კონკრეტული ქმედების განხორციელება

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

მოქმედებები<sup>6</sup>

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

2.3. საქმის წარმართვის სტრატეგიის შეცვლა

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

2.4. შეცვლილი სტრატეგიის შესაბამისად კონკრეტული ქმედების განხორციელება

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

მოქმედებები<sup>7</sup>

\_\_\_\_\_

<sup>4</sup> იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის ჩატარება დაკავშირებულია გაშიშვლებასთან, აგრეთვე სირცხვილის გრძნობის გამომწვევ სხვა მოქმედებასთან;

<sup>5</sup> ამ შემთხვევაში საჭიროა ცალკე ხელწერილის არსებობა და „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებით“ დადგენილი წესის დაცვა;

<sup>6</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად. მაგ. მოწმის გამოკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.

<sup>7</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად. მაგ. მოწმის გამოკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.



საქმე N \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

2.5. საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ ინფორმაცია

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

კლიენტმა მიუთითა საკონტაქტო პირთა წრე

კი  არა

**3. კლიენტს ეცნობა:**

3.1. მოწინააღმდეგე მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

შეთანხმდა მორიგების გაფორმება

კი  არა

3.2. საქმისათვის არსებითი ახალი მტკიცებულების მოპოვების შესახებ და შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

შეთანხმდა შემდგომი მოქმედებები

კი  არა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

მოქმედებები<sup>8</sup> \_\_\_\_\_

3.3. კლიენტთან შეთანხმებული აქტივობების განუხორციელებლობის მიზეზები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

შეთანხმდა შემდგომი მოქმედებები

კი  არა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

მოქმედებები<sup>9</sup> \_\_\_\_\_

3.4. ადვოკატის მიერ პროცესზე/საპროცესო ღონისძიებებზე დროულად გამოუცხადებლობის მიზეზები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

შეთანხმდა შემდგომი მოქმედებები

კი  არა \_\_\_\_\_ (მიზეზი)

მოქმედებები<sup>10</sup> \_\_\_\_\_

3.5. საპროცესო ვადების გაშვების მიზეზები

<sup>8</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად, მაგ. მოწმის გამოკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.

<sup>9</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად, მაგ. გასაჩივრება და ა.შ.

<sup>10</sup> მიეთითება მხოლოდ ზოგადად, მაგ. გასაჩივრება და ა.შ.





საქმე N \_\_\_\_\_

კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი  
კონსულტაციის გაცემისას

თავი I.  
ზოგადი ინფორმაცია

კლიენტის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

კონსულტანტის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

საქმის მასალების გაცნობა კონსულტაციის გაცემამდე<sup>1</sup>

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

თავი II.  
ძირითადი ინფორმაცია<sup>2</sup>

**1. კლიენტს განემარტა:**

1.1. კონსულტაციის, იურიდიული დახმარების პირობები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.2. ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობის პრინციპები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.3. კონსულტანტის/ადვოკატის აცილების საფუძვლები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა აცილება

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.4. კონსულტაციისათვის რელევანტური საპროცესო და მატერიალური უფლებები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.5.  კლიენტის სამართლებრივი პრობლემის არსი  საჭირო მტკიცებულებები და  საქმის წარმართვის ალტერნატივები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.6. პროცესის ხარჯები და ოდენობა, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების/შემცირების/გადახდის გადავადების შესახებ (სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეზე)

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_

<sup>1</sup> ავსებს თავად კონსულტანტი;

<sup>2</sup> თუ საქმისათვის რომელიმე აქტივობა არ არის რელევანტური უნდა მიეთითოს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ აქტივობა არ განხორციელებულა.

საქმე N \_\_\_\_\_

(მიზეზი)

1.7. საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესაძლებლობა და სამართლებრივი საფუძვლები, მედიაციის პროცედურა, ვადები, მედიატორის როლი და მედიაციაში საქმის დასრულების შესაძლო შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.8.  მტკიცების ტვირთი,  მტკიცებულებათა მოპოვების წესი

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.9. მორიგების შესაძლებლობა და შედეგები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა თანხმობა

კი  არა

1.10. საქმისწარმოების მიმდინარების ეტაპები, საქმეში მონაწილე პირების როლი

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

1.11. გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება და ა.შ.) შედეგები, მისი გასაჩივრების წესი, ვადები და პროცედურები

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

განაცხადა გასაჩივრებაზე თანხმობა

კი  არა<sup>3</sup>

1.12. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესი და პროცედურა

განემარტა  არ განემარტა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

## 2. კლიენტთან შეთანხმდა:

2.1. საქმის წარმართვის სტრატეგია

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

2.2. სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება

კი  არა \_\_\_\_\_  
(მიზეზი)

სამართლებრივი დოკუმენტები<sup>4</sup>

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

2.3. საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ ინფორმაცია

\_\_\_\_\_

<sup>3</sup> ამ შემთხვევაში საჭიროა ცალკე ხელწერილის არსებობა და „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებით“ დადგენილი წესის დაცვა;

<sup>4</sup> მიეთითება მხოლოდ დასახელება. მაგ. სარჩელი, შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვაზე და ა.შ.





## კლიენტის კმაყოფილების კითხვარი

### I. ზოგადი ინფორმაცია

1. კლიენტი \_\_\_\_\_  
თქვენი სახელი და გვარი
2. ადვოკატი/ კონსულტანტი \_\_\_\_\_  
სახელი და გვარი
3. რამდენჯერ იყავით იურიდიული დახმარების სამსახურის კლიენტი?  1  2  3  4 და მეტი

### II. ზოგადი შეფასება

4. როგორ შეაფასებდით საზოგადოებრივი ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობას ზოგადად?  
 არაადამაკმაყოფილებელი<sup>1</sup>  საშუალო<sup>2</sup>  კარგი<sup>3</sup>
5. რა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობისას?

- |                 |  |
|-----------------|--|
| კომუნიკაცია     | <input type="checkbox"/> არაადამაკმაყოფილებელი<br><input type="checkbox"/> საშუალო<br><input type="checkbox"/> კარგი |
| პროფესიონალიზმი | <input type="checkbox"/> არაადამაკმაყოფილებელი<br><input type="checkbox"/> საშუალო<br><input type="checkbox"/> კარგი |
| აქტიურობა       | <input type="checkbox"/> არაადამაკმაყოფილებელი<br><input type="checkbox"/> საშუალო<br><input type="checkbox"/> კარგი |
| ორგანიზებულობა  | <input type="checkbox"/> არაადამაკმაყოფილებელი<br><input type="checkbox"/> საშუალო<br><input type="checkbox"/> კარგი |
| დამდგარი შედეგი | <input type="checkbox"/> არაადამაკმაყოფილებელი<br><input type="checkbox"/> საშუალო<br><input type="checkbox"/> კარგი |

<sup>1</sup> „სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარის“ მიზნებისთვის აქტივობა ფასდება უარყოფითად;

<sup>2</sup> „სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარის“ მიზნებისთვის აქტივობა ფასდება დადებითად;

<sup>3</sup> „სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების კითხვარის“ მიზნებისთვის აქტივობა ფასდება დადებითად;



6. გადმოგვით თუ არა ადვოკატმა/კონსულტანტმა „მომსახურების პირობების“ დოკუმენტი  კი  
 არა
7. მოაწერეთ თუ არა ხელი კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარს ან განაცხადით თუ არა უარი კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარის ხელმოწერაზე (თუ საქმეში აღნიშნული ფიქსირდება)  კი  
 არა

III. ძირითადი ინფორმაცია

8. რამდენად მარტივად და გასაგებად გადმოგვით საზოგადოებრივი ადვოკატმა/კონსულტანტმა ინფორმაცია საქმისა და განსახორციელებელი ქმედებების შესახებ?  არაადამაკმაყოფილებელი  საშუალო  კარგი
9. დაგითმით თუ არა ადვოკატმა/კონსულტანტმა საკმარისი დრო?  არაადამაკმაყოფილებელი  საშუალო  კარგი
10. დაგითმით თუ არა ადვოკატმა/კონსულტანტმა საკმარისი ყურადღება?  არაადამაკმაყოფილებელი  საშუალო  კარგი
11. ხართ თუ არა კმაყოფილი საქმის/კონსულტაციის შედეგით?  არაადამაკმაყოფილებელი  საშუალო  კარგი
12. სხვა კითხვა/საკითხი, რომელიც საქმის/კონსულტაციის გაცნობის შემდგომ შემფასებლისათვის მნიშვნელოვანია კონკრეტული აქტივობის შეფასებისას, რომელიც ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით\*:  არაადამაკმაყოფილებელი  საშუალო  კარგი

/ \_\_\_\_\_ /  
ხელმოწერა

/ \_\_\_\_\_ / / \_\_\_\_\_ / /20\_ /  
თარიღი

\* უნდა მიეთითოს შემფასებლის ყველა დასმული კითხვა და შესაბამისი პასუხი;



## მენტორის სახელმძღვანელო წესები

### პრეამბულა

მენტორის სახელმძღვანელო წესები განსაზღვრავს მენტორის პროგრამის დანეგვის წესსა და პროცედურას.

### თავი I.

### ზოგადი დებულებები

#### 1. სახელმძღვანელო წესების მიზანი

1.1. სახელმძღვანელო წესები ემსახურება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომ „სამსახური“) საზოგადოებრივი ადვოკატის (იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, შემდგომ „ადვოკატი“) და კონსულტანტის პროფესიულ გაძლიერებას, ხელშეწყობასა და მხარდაჭერას იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა (შემდგომ „კლიენტი“) უფლებების ეფექტურად და კვალიფიციურად დაცვისა და რეალიზაციისათვის;

1.2. სახელმძღვანელო წესების მიზანია მენტორის საქმიანობის პრინციპების, ფარგლების, მენტორისა და ადვოკატის ურთიერთობის, ადვოკატისათვის მენტორის განსაზღვრის ასევე მენტორის შერჩევისა და მენტორის საქმიანობის შეჯამების პროცედურების დადგენა;

#### 2. მენტორი

2.1. მენტორი არის სამართლის კონკრეტულ სფეროში კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, რომელიც ადვოკატს (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, უწევს მხარდაჭერას საქმესთან დაკავშირებით სტრატეგიის მიმართულებების ან/და საქმისათვის საჭირო აქტივობების იდენტიფიცირებაში და საჭიროების ან/და წინამდებარე წესებით დადგენილ შემთხვევაში ერთვება საქმეში წარმომადგენლობის განხორციელებისათვის;

<sup>1</sup> ამ წესების მიზნებისათვის ადვოკატში იგულისმება კონსულტანტი, თუ მენტორი განესაზღვრა კონსულტანტს.





2.2. ადვოკატისათვის მენტორის განსაზღვრისას მენტორი საქმეში ერთვება ადვოკატის სტატუსით და მასზე ხდება შესაბამისი ორდერის გამოწერა;

2.3. კონსულტანტისათვის მენტორის განსაზღვრისას მენტორი საქმეში ერთვება კონსულტანტის უფლებამოსილებებით;

2.4. მენტორი შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელსაც აქვს იურიდიული დახმარების სამსახურში ადვოკატად მუშაობის გამოცდილება, გამოირჩევა სამართლის კონკრეტული დარგის ცოდნითა და გამოცდილებით და მის მიმართ ხარისხის შეფასების ფარგლებში არ გამოვლენილა დარღვევები.

### 3. მენტორის პროგრამის არსი და მენტორის საქმიანობის პრინციპები

3.1. მენტორის პროგრამის მიზანია ადვოკატის პროფესიული გაძლიერება, მისი ხელშეწყობა და მხარდაჭრა კლინეტისათვის კვალიფიციური და ეფექტური იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების მიწოდებასათვის. მენტორი უზრუნველყოფს ადვოკატის მიერ „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებების ეფექტურად და მაღალი ხარისხით შესრულებას;

3.2. მენტორის პროგრამა ეფექტური ინსტრუმენტია ადვოკატის უნარებისა და ცოდნის განსავითარებლად და გასაძლიერებლად, რადგან ის ქმნის ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი გაცვლისა და სწავლის გარემოების საშუალებას. მენტორინგი ავითარებს ადვოკატების პრობლემების იდენტიფიცირების, ახალი გადაწყვეტილებების პოვნის ასევე ახალი ტექნიკისა და სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენების უნარებს;

3.3. მენტორისა და ადვოკატის ურთიერთობის საფუძვლებია ურთიერთთანამშრომლობა, აზრთა გაცვლა/გაზიარება საქმეზე საუკეთესო შედეგის მისაღებად. მენტორი წარმოადგენს დამატებით ინტელექტუალურ რესურსს ადვოკატისათვის;

3.4. მენტორი არ წარმოადგენს ადვოკატის ზედამხედველს ან/და მაკონტროლებელს. ამასთან, მენტორი არ წარმოადგენს ადვოკატის დამხმარეს. საქმეზე „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებების უშუალოდ შესრულება ეკისრება ადვოკატს. ამასთან, შესაძლებელია მენტორი საქმეში ჩაერთოს წარმომადგენლობის განხორციელებისათვისაც ამ წესების მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.



3.5. მენტორინგი ქმნის უფრო კომპეტენტურ, კვალიფიციურ, პროაქტიულ და თავდაჯერებულ ადვოკატს, რომელსაც უკეთ შეუძლიათ დაიცვას კლიენტის უფლებები;

3.6. მენტორის პროგრამის მიზანს არ წარმოადგენს:

ა) ადვოკატის დამოუკიდებლობის შეზღუდვა მათ შორის საქმესთან დაკავშირებით ძირითადი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას;

ბ) ადვოკატის განსჯის შემცირება საქმის ძლიერ ან არსებით მხარეებზე;

გ) ადვოკატის კრიტიკული აზროვნების უნარის შეფერხება, რაც აუცილებელია ეფექტური ადვოკატირებისთვის;

დ) ადვოკატის შემოქმედებითობის შეფერხება ახალი სამართლებრივი საკითხების შემუშავებაში ან იდენტიფიცირებაში;

ე) ადვოკატის კლიენტთან ურთიერთობისათვის ხელის შეშლა;

ვ) საფუძვლიანი სამართლებრივი არგუმენტების ჩამოყალიბებისა და კვლევის განხორციელების შეზღუდვა;

#### **4. ადვოკატისათვის მენტორის განსაზღვრის საფუძვლები**

4.1. ადვოკატისათვის/კონსულტანტისათვის მენტორის განსაზღვრა ხდება სამსახურის შინაგანაწესითა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესითა და კრიტერიუმებით დადგენილი წესით შემდეგ შემთხვევებში:

ა) სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესითა და კრიტერიუმებით დადგენილ შემთხვევაში;

ბ) პრევენციის მიზნით ადვოკატის/კონსულტანტის მიმართ, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების განხორციელებასთან დაკავშირებით დისციპლინური სახდელის გამოყენებისას;

გ) სამსახურში ახალი ადვოკატის/კონსულტანტის მიღებისას;





დ) ნაფიცებ მსაჯულთა სასამართლოს განსჯად საქმეებზე;

ე) ადვოკატის მოთხოვნით მისთვის მენტორის განსაზღვრის შესახებ;

4.2. მენტორს იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) უნდა მიცეს წვდომა იმ ადვოკატის საქმეებზე, რომლებსაც განესაზღვრათ მენტორი;

## 5. მენტორის შერჩევის საფუძვლები

5.1. მენტორის შერჩევა ხორციელდება სამსახურის დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის საფუძველზე;

5.2. წესების 5.1.-ე ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს არაუმეტეს 9 წევრისაგან. მენტორების შერჩევისათვის კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს წევრები ან/და ექსპერტი;

5.3. კომისიის წევრს აქვს 1 ხმა. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

5.4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარდგენილი კანდიდატების სამოტივაციო წერილის, გამოცდილების, ცოდნისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე. კომისიამ მენტორის შერჩევისას შესაძლოა გაითვალისწინოს კონკრეტულ კანდიდატზე ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებიც.

5.5. მენტორთა რაოდენობა, სპეციალიზაცია, სამართლის მიმართულებები და სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება სამსახურის დირექტორის მიერ კონკურსის გამოცხადებისას საჭიროებისა და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით; კონკრეტული ბიუროს მიმართულებით გამოცხადებულ ვაკანსიაზე, თანაბარი კომპეტენციის და სხვა დადგენილი პირობების არსებობისას, უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს ამავე ბიუროს ადვოკატს;

5.6. მენტორები შეირჩევიან სამართლის კონკრეტულ დარგში. სამსახურის მიერ შეიქმნება მენტორთა რეესტრი, საიდანაც მოხდება მენტორთა განსაზღვრა (4.1-ე ქვეპუნქტით არსებული საჭიროებისას);



5.7. კომისიის საფუძველზე შერჩეულ მენტორთან დაიდება შრომის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრება მენტორის სამოქმედო ტერიტორია და ანაზღაურება, ასევე შრომის ხელშეკრულებისათვის საჭირო სხვა დებულებები;

## **6. მენტორის განსაზღვრის ვადა**

6.1. ადვოკატს მენტორი შესაძლოა განესაზღვროს არაუმეტეს 3 თვის ვადით.

6.2. მენტორის საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე, თუ არ არსებობს მენტორობის გაგრძელების საფუძველები, მენტორობა შესაძლოა შეწყდეს განსაზღვრიდან 3 თვემდეც.

6.3. ამ პუნქტის 6.1. ქვეპუნქტით დადგენილი ვადა, მენტორის ანგარიშის საფუძველზე შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით არაუმეტეს 3 თვის ვადით;

## **7. მენტორის ვალდებულებები**

7.1. მენტორი ვალდებულია მენტორობა განახორციელოს წინამდებარე წესებით დადგენილი პრინციპებით, კეთილსინდისიერად და გულისხმიერად;

7.2. მენტორობის განხორციელებისას მენტორი ვალდებულია:

ა) გააძლიეროს ადვოკატი „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებების ეფექტურად და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის;

ბ) იცოდეს საქმის/კონსულტაციის მასალების შინაარსი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პირადად გაეცნოს საქმის/კონსულტაციის მასალებს;

გ) გაეცნოს ადვოკატის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დოკუმენტებს და უკუკავშირი მიაწოდოს ადვოკატს;

დ) გამოცდილებიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე მიაწოდოს ადვოკატს ინფორმაცია (მათ შორის დადგენილი ეროვნული თუ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ) საქმის წარმოების ეფექტური სტრატეგიის მიმართულებების შესახებ;

ე) დაეხმაროს ადვოკატს საქმის ეფექტური სტრატეგიის მიმართულებების იდენტიფიცირებაში ან/და საქმისათვის საჭირო აქტივობების ან/და საქმის გამოძიების დროულად და ეფექტურად დაგეგმვაში;





ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს კლიენტს და მოახდინოს მასთან გასაუბრება;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საქმეზე სასამართლო განხილვაში წარმომადგენლის სახით, თუ დროულობიდან ან/და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მენტორის მიერ წარმომადგენლობის განხორციელება ან/და თუ ადვოკატი, რომელსაც განესაზღვრა მენტორი მოითხოვს აღნიშნულს;

თ) ადვოკატის მიერ კომუნიკაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან/და გონივრულ ვადაში (თუ საკითხი არ არის სასწრაფო) მოახდინოს მასთან კომუნიკაცია/უკუკავშირი;

ი) საქმის დასრულებამდე განახორციელოს მენტორობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეწყდა მენტორთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ან სხვა მიზეზით, საქმეში მენტორის მონაწილეობის ობიექტური საჭიროება აღარ არსებობს;

კ) წინამდებარე წესებით დადგენილი წესითა და ვადაში მიაწოდოს ხარისხის უზრუნველყოფი დეპარტამენტს ანგარიშები;

ლ) დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს, თუ საქმეში, რომელშიც ის ჩართულია როგორც მენტორი არსებობს ადვოკატის (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) წარმომადგენლობის ისეთი ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეფექტური იურიდიული დახმარების უფლებას (ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს „მენტორის საქმიანობის ანგარიშის ფორმით“;

7.3. მენტორი ვალდებულია თავისი საქმიანობის განზოგადების საფუძველზე ჩაატაროს ტრენინგები საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მენტორის სპეციალიზაციას მიკუთვნებულ საკითხებზე ასევე პარალელგალებისათვის;

## **8. ადვოკატის ვალდებულებები**

8.1. ადვოკატი (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) ვალდებულია გულისხმიერად მოეკიდოს მენტორის განსაზღვის საკითხს, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს მენტორთან და გამოიჩინოს კოლეგიალობა კლიენტის უფლებების ეფექტურად დაცვისა და რეალიზაციისათვის;

8.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია:



ა) მენტორის განსაზღვრისთანავე დაუკავშირდეს მენტორს და მისცეს მას ინფორმაცია მის წარმოებაში არსებულ საქმეებზე/კონსულტაციებზე და წვდომა საქმის/კონსულტაციის მასალებზე;

ბ) მიაწოდოს მენტორს მოთხოვნილი ან ყველა საჭირო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების დაცვით;

გ) მიაწოდოს მენტორს ინფორმაცია საქმის განვითარების შესახებ;

დ) გამოიჩინოს გონივრული მიმდებლობა განსხვავებული პოზიციის მოსმენისა და გაანალიზებისათვის;

ე) აზრთა სხვადასხვაობის დროს გამოიჩინოს კონსტრუქციულობა და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კოლეგიალობის პრინციპის დაცვით განსხვავებული პოზიციები წარუდგინოს კლიენტს ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისა და შეტანხმებისათვის;

ვ) მენტორის მიერ კომუნიკაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან/და გონივრულ ვადაში (თუ საკითხი არ არის სასწრაფო) მოახდინოს მასთან კომუნიკაცია/უკუკავშირი;

## **9. მენტორისა და ადვოკატის კომუნიკაციის ფორმა და წესი**

9.1. მენტორის განსაზღვრის შემდგომ, მენტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 48 საათისა დაუკავშირდეს ადვოკატს და დაიწყოს წინამდებარე წესებით დადგენილი ვალდებულების შესრულება;

9.2. მენტორი ვალდებულია პირველი კომუნიკაცია ადვოკატთან განახორციელოს პირადად ან ვიდეო პლათფორმის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის/საკითხის დროულობიდან გამომდინარე აღნიშნული შეუძლებელია (ასეთ შემთხვევაში, მეორე კომუნიკაცია აუცილებლად უნდა განხორციელდეს პირადად ან ვიდეო პლათფორმის გამოყენებით) ან/და მენტორი და ადვოკატი იცნობენ ერთმანეთს და მათ აკავშირებთ ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა.

9.3. ადვოკატისა და მენტორის ყოველი შემდგომი კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს მათ მიერ შეთანხმებული ფორმითა და დროულობით;





9.4. მენტორი ვალდებულია ადვოკატთან ჰქონდეს არანაკლებ 3 კომუნიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საქმის სტადიიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

9.5. მენტორისა და ადვოკატის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს გონივრულ ფარგლებში და გონივრული დროით, რაც საჭიროა ადვოკატსა და მენტორს შორის ნდობის ჩამოყალიბების ან/და წინამდებარე წესებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისათვის. ამასთან, კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს საქმეზე ყოველი კონკრეტული ქმედებების განხორციელებამდე;

9.6. მენტორი ადვოკატს უნდა შეხვდეს სხვა ადვოკატებისაგან დამოუკიდებლად, რომლებსაც ასევე განესაზღვრათ მენტორი. სამსახურში ახლად მიღებულ ადვოკატებთან შესაძლოა განხორციელდეს ერთობლივი შეხვედრაც საქმეთა წარმოების ზოგადი წესების და მიმართულებების გასაზიარებლად ან სხვა პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობისათვის. ამასთან, კონკრეტულ საქმეზე მსჯელობა უნდა განხორციელდეს ადვოკატთან დამოუკიდებლად.

## 10. მენტორის მიერ საქმის მასალების გაცნობა

10.1. მენტორი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ადვოკატი სწორად აღიქვამს საქმის გარემოებებს, სწორად ახდენს საქმის არსისა ან/და გარემოებების იდენტიფიცირებას და მხედველობიდან არ რჩება საქმისათვის რელევანტური გარემოებები თუ სამართლებრივი საკითხები. ამისათვის, მენტორი, დანიშვნისა და ადვოკატთან პირველად გასაუბრების შემდგომ ვალდებულია პირადად გაეცნოს ერთ ან რამდენიმე საქმის მასალას ასევე საჭიროების შემთხვევაში გაესაუბროს ბენეფიციარს ან განახორციელოს სხვა ღონიძიებები.

10.2. თუ მენტორს წარსულში ადვოკატთან ჰქონდა პირდაპირი საქმიანი კომუნიკაცია (ჩართული იყვნენ ერთი საქმის წარმოებაში, ჰქონდათ პირდაპირი სუბორდინაციული ურთიერთობა, იყვნენ კო-ტრენერები) და დარწმუნებულია, რომ ადვოკატი სწორად აღიქვამს საქმის გარემოებებს, სწორად ახდენს საქმის არსისა ან/და გარემოებების იდენტიფიცირებას და მხედველობიდან არ რჩება საქმისათვის რელევანტური გარემოებები თუ სამართლებრივი საკითხები, მაშინ მენტორის მიერ საქმის მასალების პირადად გაცნობა არ არის სავალდებულო და ის შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მენტორი მაინც მიიჩნევს, რომ საქმის მასალების გაცნობის გარეშე ის ვერ განახორციელებს მენტორობას);



10.3. მენტორისათვის საქმის მასალების ასლების მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს მატერიალურად ან ელექტრონულად;

## 11. მენტორის საქმეში ჩართვის ფარგლები

11.1. მენტორი ვალდებულია ადვოკატისათვის მენტორის განსაზღვრის შემდეგ მე-9 პუნქტით დადგენილი წესით კომუნიკაციისას მოისმინოს ადვოკატის მოხსენება საქმესთან დაკავშირებით, გაეცნოს საქმის მასალებს (მე-10 პუნქტის შესაბამისად) და მოახდინოს ადვოკატთან აზრების ურთიერთგაცვლა კლიენტის უფლებების ეფექტურად დაცვისათვის სტრატეგიის მიმართულებების ან/და საქმისათვის საჭირო აქტივობების იდენტიფიცირებისათვის, გაუზიაროს მას პრაქტიკული გამოცდილება, მიაწოდოს ინფორმაცია არსებული პრაქტიკის ან/და საერთაშორისო მიდგომების ასევე გამოწვევების შესახებ;

11.2. ადვოკატი უფლებამოსილია მენტორს დაუკავშირდეს საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისა და აზრთა გაზიარებისათვის;

11.3. წინამდებარე წესებით დადგენილ შემთხვევაში მენტორი უფლებამოსილია ჩაერთოს საქმეში წარმომადგენლობის განხორციელებისათვის; ასეთ შემთხვევაში არ ხდება ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება, გარდა იმ შემთხვევისა თუ არ არსებობს კანონითა და სამსახურის აქტებით დადგენილი ადვოკატის აცილების წინაპირობები ან სასამართლომ მიიღო ადვოკატის აცილების გადაწყვეტილება;

## 12. მენტორის დატვირთულობა

12.1. მენტორს ერთი თვის განმავლობაში შესაძლოა დაევალოს მენტორობა არაუმეტეს 5 ადვოკატთან მიმართებით (არაუმეტეს 15 საქმისა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავად არის თანახმა გასწიოს მენტორობა უფრო მეტ ადვოკატთან/საქმესთან მიმართებით ან/და როდესაც ის ახორციელებს სამსახურში ახლად მიღებული ადვოკატების მენტორობას. მენტორის ანაზღაურებაც შესაძლოა განსხვავდებოდეს საქმეთა რაოდენობის მიხედვით.

12.2. მენტორი, მენტორობასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებისას არ თავისუფლება ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ადვოკატის ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3. მენტორი უფლებამოსილია მენტორობასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებისას ისარგებლოს სამსახურის ავტომატურად ბიუროს ხელმძღვანელთან შეთანხმებით;





### 13. მენტორის ანგარიში

13.1. მენტორი ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ხარისხის შეფასების დეპარტამენტში წარადგინოს მენტორობასთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიში.

13.2. ანგარიში შედგენილ უნდა დამტკიცებული ფორმით (დანართი - „მენტორის საქმიანობის ანგარიშის ფორმა“ დანართი N 2.1.) და მასში სხვა ინფორმაციასთან ერთად, დეტალურად უნდა მიეთითოს მენტორის ჩართვის საფუძველი, მენტორის მიერ განხორციელებული აქტივობები (კომუნიკაციები ადვოკატთან, საქმეზე წარმომადგენლობა და ა.შ.), მენტორის შეფასება ადვოკატის საქმიანობასთან დაკავშირებით, ადვოკატის საქმიანობაში მენტორის მიერ გამოვლენილი ხარვეზები და მის მიერ გასაუმჯობესებელი საკითხები (რეკომენდაციები ადვოკატთან მიმართებით), ასევე მენტორის წვლილი/მენტორობის დასრულებისას ადვოკატის მიერ გამოსწორებული ხარვეზები;

13.3. მენტორის ანგარიში უნდა იქნეს წარდგენილი თითოეულ ადვოკატთან მიმართებით ცალ-ცალკე;

13.4. თუ მენტორის განსაზღვრიდან 6 თვის შემდგომ მენტორის ანგარიში შეიცავს მითითებას ადვოკატის საქმიანობაში ხარვეზების გამოუსწორებლობასთან დაკავშირებით, მაშინ საკითხი გადაეცემა იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტს შესაბამისი რეაგირებისათვის;

13.5. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახდენს მენტორის საქმიანობის ანგარიშის გაცნობას და მენტორის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას. ამისათვის, დეპარტამენტი უფლებამოსილია გასაუბრება მოახდინოს ადვოკატთანაც, რომელსაც განესაზღვრა მენტორი;

13.6. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიში წარედგინება სამსახურის დირექტორსა და თავად მენტორს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიში გათვალისწინებულ იქნება მენტორთან ხელშეკრულების გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისას.



### მენტორის საქმიანობის ანგარიშის ფორმა

1. მენტორის დანიშვნის საფუძველი

---

---

2. მენტორობის ვადა

---

---

3. ადვოკატი<sup>1</sup> (რომელსაც განესაზღვრა მენტორი)

---

---

4. საქმეთა რაოდენობა, რომელშიც ადვოკატებს გაეწიათ მენტორობა

---

---

5. მენტორის ადვოკატთან კომუნიკაციის რაოდენობა, ფორმა და შინაარსი

პირველი კომუნიკაცია

---

---

შემდგომი კომუნიკაციები

---

---

6. საქმეში მენტორის ჩართულობის ფორმა და ფარგლები (მხოლოდ ადვოკატთან კომუნიკაცია თუ წარმომადგენლობის განხორციელება)

---

---

7. მენტორობის ფარგლებში გამოკვეთილი ხარვეზები (ადვოკატთა საქმისწარმოების შეფასება)

---

---

<sup>1</sup> ამ ფორმის მიზნებისთვის ადვოკატში იგულისმება კონსულტანტიც თუ მენტორი განესაზღვრა კონსულტანტს.





8. ადვოკატის მიერ დაუყოვნებლივ გამოსასწორებელი ხარვეზები<sup>2</sup>

- ა) \_\_\_\_\_
- ბ) \_\_\_\_\_
- გ) \_\_\_\_\_

9. მენტორის რეკომენდაციები ადვოკატებთან მიმართებით

- ა) \_\_\_\_\_
- ბ) \_\_\_\_\_
- გ) \_\_\_\_\_

10. მენტორის წვლილი/მენტორობის დასრულებისას ადვოკატის მიერ გამოსწორებული ხარვეზები<sup>3</sup>

\_\_\_\_\_

11. მენტორის რეკომენდაციები მენტორობასთან მიმართებით (არსებობის შემთხვევაში)<sup>4</sup>

\_\_\_\_\_

12. მენტორობის ზოგადი გამოწვევები (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/ 202\_წელი  
ანგარიშის წარდგენის თარიღი

\_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/ 202\_წელი  
თვე, რომლის ანგარიშის წარდგენაც ხორციელდება

<sup>2</sup> ივსება იმ შემთხვევაში, თუ საქმეში, რომელშიც ჩართულია მენტორი, არსებობს ადვოკატის (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) წარმომადგენლობის ისეთი ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეფექტური იურიდიული დახმარების უფლებას;

<sup>3</sup> სავალდებულოა შეესება მხოლოდ მენტორობის დასრულებისას. მენტორი უფლებამოსილია შეავსოს ყოველი ანგარიშის წარდგენის შემთხვევაშიც.

<sup>4</sup> არ არის სავალდებულო;

<sup>5</sup> არ არის დავალდებულო;